

ნინო აბულაძე

ფარმაცევტული
ჰომეოპათია

PHARMACEUTICAL HOMEOPATHY

Work book

ნინო აბულაძე

ფარმაცევტული კომერკათია

(წიგნი განკუთვნილია ფარმაცევტული პროფილის უმაღლესი
სასწავლებლებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების ფარმაციის
სპეციალობის სტუდენტების, მაგისტრანტებისა და
სპეციალისტებისათვის)

ქუთაისი
2009

ნაშრომში განხილულია ჰომეოპათიისა და ჰომეოპათიური ფარმაციის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, გამოყენებული მოქმედი და დამხმარე ნივთიერებები. მოცემულია ჰომეოპათიური წამლის ფორმების კლასიფიკაცია, განზავებები; მომზადების, სტანდარტიზაციისა და მოხმარების წესები.

სახელმძღვანელოზე მუშაობისას გამოყენებულია ოფიციალური გერმანული ჰომეოპათიური ფარმაცოპიის, რუსული შესაბამისი ლიტერატურის, ტრადიციული ჰომეოპათიური ლიტერატურული წყაროების მასალები.

ჰომეოპათიური წამლის ფორმების ტექნოლოგიის შესახებ წინამდებარე ნაშრომი ქართულ ენაზე პირველი ცდაა. მეთოდები, რომლებიც აქ არის მოცემული, აღიარებულია ევროკავშირის ქვეყნებსა და მთელს მსოფლიოში.

ნინო აბულაძე

წიგნი განკუთვნილია ფარმაციის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მომუშავე ფარმაცევტ-სპეციალისტებისა და ამ დარგით დაინტერესებული პირებისათვის.

Nino Abuladze

Pharmaceutical Homeopathy

რედაქტორი ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი,
აკადემიკოსი ვაჟა ერიაშვილი

რეცენზენტები:

საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი
ექიმი-ჰომეოპათი თორნიკე ალაშვილი

ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი პაველ იავიჩი

ISBN 978-9941-417-22-1

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 5

თავი 1

ჰომეოპათიის როლი და ადგილი მედიცინასა და ფარმაციაში. ჰომეოპათიაში გამოყენებული ძირითადი ცნებები და ტერმინები 7

თავი 2

ზოგადი ნაწილი

2.1. ჰომეოპათიის წარმოშობა და მისი განვითარების ისტორია მსოფლიოში 11

2.2. ენერგონფორმაციული ასპექტები ჰომეოპათიის მეცნიერული დასაბუთებისათვის 22

2.3. ჰომეოპათიის ძირითადი მიმართულებები 28

2.4. ნორმატიული დოკუმენტაცია ჰომეოპათიურ ფარმაციაში; სახელმწიფო რეგლამენტაცია და საერთაშორისო ორგანიზაციები 32

2.5. სამკურნალო და დამხმარე ნივთიერებები, ნედლეულის დახასიათება 45

2.6. განზავებები, წამლის ფორმების კლასიფიკაცია, ზოგადი ტექნოლოგია 55

თავი 3

კერძო ნაწილი

3.1 დედა ტინქტურები და თხევადი განზავებები 64

3.2. ხსნარები და პოტენციები 75

3.3. ტრიტურაციები 83

3.4 ტრიტურაციებიდან მომზადებული თხევადი პრეპარატები 88

3.5 პილულები 90

3.6 ტაბლეტები 95

3.7. ჰომეოპათიური საინექციო ხსნარები 96

3.8 რბილი წამლის ფორმები ჰომეოპათიაში

3.8.1. მალამოები 98

3.8.2 თხევადი ოპოდელოკები 102

3.8.3. სუპოზიტორიები 104

3.9. ჰომეოპათიური პრეპარატები ზეთის ფუძით 105

3.10. თვალის წვეთების მომზადების თავისებურებები ჰომეოპათიაში	107
3.11. ჰომეოპათიური წყლიანი გამონაწვლილები	109
3.12. დაფერმენტებული ჰომეოპათიური დედა ტინქტურები	111

თავი 4

ჰომეოპათიური წამლის ფორმების შიდასააფთიაქო კონტროლი	116
ინგლისური ანოტაცია	120
ოფიციალური გერმანული ჰომეოპათიური ფარმაცო- კოპიის კერძო მონოგრაფიების ჩამონათვალი	122
ლათინურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი	135
გამოყენებული ლიტერატურა	170
ზოგიერთი ჰომეოპათიური ნედლეულის სურათები	172

წინასიტყვაობა

არაორგანული და ორგანული, ცოცხალი და არაცოცხალი, ადამიანი.....

ყველაფერი სისხლბორცულ კავშირშია.

ეს არის მარტივიც და რთულიც. და საერთოდ, ეს არის გენიალური, ხოლო მისი ავტორი შემოქმედია.

ამის თქმა მინდოდა ამ წიგნით, რომელსაც, ვუძღვნი:

მამაჩემის ბეჟან ტიტოვს მე აზულაძის ნათელ ხსოვნას

- მისი გარდაცვალების მეათე წელს და ადამიანის

გამთლიანება-გაჯანსაღებას.

ალოპათია და ჰომეოპათია მედიცინასა და ფარმაციაში კანონიერად დამკვიდრებული ორი მიმართულებაა. მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია. ჰომეოპათია იყენებს ძლიერ განზავებულ საშუალებებს, რომლებიც მომზადებული არიან განსხვავებული ტექნოლოგიით - ნჯღრევისა და სრესვის საშუალებით. ამ დროს მათში თავისუფლდება ძალები, რომელთა გამოთავისუფლება უბრალო „განზავებით“ შეუძლებელია.

სწორად გამოყენებისას ჰომეოპათიურ საშუალებებს არ გააჩნიათ გვერდითი მოქმედებები. ისინი ორიენტირებულნი არიან თვით ორგანიზმის რეზერვებზე, აძლიერებენ მის თავდაცვით ფუნქციებს, მოქმედებენ სისტემურ დონეზე, ესე იგი, არა ცალკეულ ორგანოზე, არამედ მთელს ორგანიზმზე.

ჰომეოპათიის შესახებ მოძღვრება ჩამოაყალიბა ს.ჰანემანმა დაახლოებით 200 წლის წინ; მედიკამენტოზური თერაპიის ეს ექსტრაორდინალური ფორმა უნიკალური მეთოდებით აძლიერებს ორგანიზმის შინაგან თვითგანმკურნავ ძალებს და შეიძლება ჩაითვალოს, როგორც მკურნალობის სპეციფიკური, მასტიმულირებელ-მარეგულირებელი სისტემა.

ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებებისა და პრეპარატების ეფექტურობა განპირობებულია მათი შერჩევით მსგავსების კანონზე დაყრდნობით, პრეპარატების მომზადებით თანმიმდევრული განზავებების გზით და მომზადების პროცესში აქტიურობის პოტენცირება-დინამიზაციით.

ჰომეოპათიის ძირითადი პრინციპია Similia similibus curentur. სხვა პრინციპთა რიცხვს მიეკუთვნება: წამლების მცირე დოზებში მიღება - უსასრულო განზავებებშიც კი; პოტენცირება-დინამიზაცია, როგორც ჰომეოპათიური პრეპარატების მომზადების მეთოდი; სამკურნალო საშუალებათა გამოცდა ჯანმრთელ ადამიანებზე არატოქსიკურ დოზებში; ავადმყოფის დიაგნოსტიკისა და მკურნალობისადმი ინდივიდუალური და ყოველმხრივ კომპლექსური მიდგომა; დაავადების ინდივიდუალური სურათის გათვალისწინება და სხვა.

ჩვენი ვალთა ჩამოვუყალიბოთ სტუდენტებს მედიცინასა და ფარმაციაში დამკვიდრებულ ამ ორ მიმართულებას - ჰომეოპათიასა და ალოპათიას შორის ურთიერთკავშირის შეგნება. უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულმა ფარმაცევტმა უნდა შეძლოს მუშაობა ჰომეოპათიურ აფთიაქში, რომელთა რიცხვი

მსოფლიოში უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვნად იზრდება. იმისათვის, რომ სპეციალისტმა აქ იმუშაოს, მას უნდა ესმოდეს ჰომეოპათია, მისი თავისებურებები, უნდა ფლობდეს ჰომეოპათიაში გამოყენებული წამლის ფორმებისა და პრეპარატების მომზადებისა და ხარისხის შეფასების ძირითად პრინციპებს.

ამ ორასი წლის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა. გაიზარდა სამკურნალო ნედლეულის ასორტიმენტი, აღმოჩენილი იქნა ანალიზის ახალი, ინსტრუმენტული მეთოდები და რაც მთავარია, გაიზარდა პაციენტთა ინტერესი მკურნალობის ამ მეთოდის მიმართ. ძალიან დიდხანს ჰომეოპათიური წამლის ფორმების მოსამზადებლად ერთადერთი სახელმძღვანელო ვ. შვაბეს ე. წ. „ფარმაკოპეა“ იყო. ახალმა ტალღამ წარმოშვა მრავალი ქვეყნის ჰომეოპათიური ფარმაკოპეა, აგრეთვე ჰომეოპათიური ტექნოლოგიით სამკურნალო პრეპარატების მოსამზადებელი სპეციალიზებული საწარმოები აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, რუსეთში, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჰომეოპათიური წამლის ფორმების ტექნოლოგიის ქართულ ენაზე გამოცემის პირველ მცდელობას. მისი გამოყენება შეუძლია მას, ვინც გაიარა ფარმაცევტული ტექნოლოგიის კურსი და გაეცნო ნაყენების, მშრალი და ნედლი მცენარეული ნედლეულიდან გაღებული პრეპარატების მომზადების კრიტერიუმებსა და თავისებურებებს, ხსნარების მომზადებას აქროლად და არა-აქროლად გამხსნელებზე, სტერილიზაციის რეჟიმებს, წყლის გაწმენდის მეთოდებს და სხვა.

ვფიქრობ, ნაშრომი სათანადო სამსახურს გაუწევს ფარმაციის სპეციალობის სტუდენტებს და ამ საკითხით დაინტერესებულ პირებსა და სპეციალისტებს.

ნაშრომს თან ერთვის სამკურნალო სუბსტანციებისა და დამხმარე ნივთიერებების ლათინურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი.

ავტორი მადლიერებით გაიზიარებს ყველა რეკომენდაციას, სურვილსა და შენიშვნას, რომლის გაანალიზებაც და გათვალისწინებაც შეეცდება შემდეგ გამოცემებში.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფარმაციისა და სტომატოლოგიის დეპარტამენტის
პროფესორი

ნინო აბულაძე

თავი 1.

ჰომეოპათიის როლი და ადგილი მედიცინასა და ფარმაციაში. ჰომეოპათიაში გამოყენებული ძირითადი ცნებები და ტერმინები

ჰომეოპათია განმარტებულია, როგორც წამლის პათოგენები - წამლის არასამკურნალო, ზოგჯერ ტოქსიკური დოზის გამოყენების შემთხვევაში წამლისმიერი დაავადების სიმპტომების გამოვლინება ჯანმრთელ ადამიანზე. ტერმინი წარმოდგება ბერძნული სიტყვებისაგან - homoios, რაც ნიშნავს „მსგავსი“ და pathos, რაც ნიშნავს „ავადმყოფობა“.

ჰომეოპათია არის წამლით მკურნალობის სისტემა, რომელიც ემყარება პრინციპს: „მსგავსი იკურნება მსგავსით“.

ალოპათია და ჰომეოპათია მედიცინასა და ფარმაციაში კანონიერად დამკვიდრებული ორი მიმართულებაა; მათ შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია.

დიდი ხნის მანძილზე მედიცინის ძირითადი მიმართულება იყო **ალოპათია**. ტერმინი წარმოდგება ბერძნული სიტყვებისაგან: allos - „განსხვავებული“, pathos - „ავადმყოფობა“.

ალოპათია ჰომეოპათიის საწინააღმდეგო ცნებაა და აერთიანებს მკურნალობის არაჰომეოპათიურ მეთოდებს, რომლებიც ავადმყოფობის საწინააღმდეგო ქმედებას ახდენენ.

ალოპათიურ მკურნალობაში შედარებით დიდი დოზით დანიშნული პრეპარატი მიმართულია დაავადების მიზეზისაკენ. მაგალითად: ანტიბიოტიკული, ტკივილგამაყუჩებელი, ანთების საწინააღმდეგო, წნევის დამწვევი და სხვა.

ტრადიციული მედიცინის ქვეშ იგულისხმება დასავლური მედიცინა, ან აღმოსავლური ხალხური და ძველი პროფესიული მედიცინა. მჯო-ს განმარტებაც ტრადიციულ მედიცინაზე ასეთივეა - იგულისხმება ჩინური, ინდური, ტიბეტური და სხვა ნაციონალური სამედიცინო სისტემები. ჰომეოპათიისა და ქართული ტრადიციული მედიცინის ლიგა (პრეზიდენტი **თორნიკე ალაშვილი**) აწარმოებს მუშაობას, რომ მათ შორის დამკვიდრდეს ზოგადად კავკასიური და კერძოდ კოლხურ-იბერიული ტრადიციული მედიცინის ცნებები და დაარსდეს იბერიულ-კავკასიური ტრადიციული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

თანამედროვე (დასავლური) **ოფიციალური** მედიცინა ის მედიცინაა, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა; ანუ ეს არის დაწესებული მეთოდების გამოყენება განსაკუთრ-

ნებლად. იგი შეისწავლის, ამჟამად უკვე მტკიცებულებითი მედიცინის მეთოდებით გამოცდის და გამოიყენებს ხალხური მედიცინის სამკურნალო საშუალებებს და მეთოდებს.

ჰომეოპათია რჩება, ძირითადად, ოფიციალურის ფარგლებს გარეთ, როგორც მკურნალობის **ალტერნატიული** მეთოდი. თუმცა ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც, იგი დარეგისტრირდა და შედის სამედიცინო სპეციალობათა ნუსხაში, მაგრამ ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებები და წამლის ფორმები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შესწავლილი და გამოცდილი.

კაცობრიობის ისტორიაში გამოიყენებოდა მკურნალობის მრავალი მეთოდი. დღეისათვის გამოყენებული მეთოდები პირობითად შეიძლება ხუთ ჯგუფად დაიყოს: მექანიკური, ნატურალური, დიეტა, სულიერი ზემოქმედება და მედიკამენტოზური მკურნალობა.

ჰომეოპათიასა და ფარმაციაში გამოყენებული ზოგიერთი ტერმინის განმარტება:

ტერმინი **ჰომეოპათიური პრეპარატი** ნიშნავს სამკურნალო სუბსტანციას, გადამუშავებულს შესაბამის ჰომეოპათიურ ფარმაცოპიაში მოყვანილი წარმოების მეთოდებით. ჰომეოპათიური პრეპარატების მომზადების მეთოდები დაკანონებულია სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული ჰომეოპათიური ფარმაცოპეებით. ჰომეოპათიური პრეპარატები გამოიყენება არა მხოლოდ კლასიკურ ჰომეოპათიაში, არამედ მსგავსი თერაპიის სხვადასხვა მიმართულებებში. ისტორიულად ჰომეოპათიური პრეპარატები წარმოადგენდნენ პატარა ტკბილ აბებს, რომლებიც დნებოდნენ ენის ქვეშ. ისინი აგრეთვე წარმოდგენილი იყვნენ ბოთლში მოთავსებული სითხის სახით.

ჰომეოთერაპია არის თერაპიის ყველა ის მიმართულება, სადაც გამოიყენება ჰომეოპათიურად დამზადებული როგორც ერთ-, ისე მრავალკომპონენტური ანუ კომბინირებული პრეპარატები. ჰომეოთერაპიაში მკურნალობა ინიშნება სამი რამის გათვალისწინებით - კონსტიტუციურობის (აღნაგობის), ორგანოტროპულობისა (განსაზღვრულ ორგანოზე ამორჩევითი მოქმედებისა) და პერსონოტროპულობის (ტიპიურობის - კანის ფერის, ცხოვრების პირობების, საცხოვრებელი ადგილის, კლიმატური სარტყელისა და სხვათა) მიხედვით. ჰომეოთერაპია ადაპტაციური ანუ მარეგულირებელი თერაპიაა, რომლის მიზანია მკაცრად ინდივიდუალურად შერჩეული წამლებით და ორგანიზმის რეაქციის გათვალისწინებით თვითრეგულაციის პროცესებზე ზემოქმედება (გერ-

ჰარდ კოჰლერი). ჰომეოთერაპია მოიცავს თერაპიის ყველა იმ მიმართულებას, რომლებშიც ჰომეოპათიური პრეპარატები გამოიყენება.

ფარმაცევტული ჰომეოპათია არის ფარმაციის მიმართულება, რომლის ყურადღების ობიექტია ჰომეოპათიური სამკურნალო პრეპარატები - მიღებული ჰომეოპათიური ტექნოლოგიით და გამოყენებული ჯანდაცვაში ჰომეოპათიური მეთოდით მკურნალობის პრინციპების შესაბამისად.

ამჟამად ფარმაცევტული ჰომეოპათიის აქტუალური ამოცანებია: ფარმაციის ამ მიმართულების მეცნიერული დასაბუთება, ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებების სტანდარტიზაციისა და ნორმატიული დოკუმენტების ბაზის შექმნა, საორგანიზაციო-მეთოდური და სამეცნიერო მუშაობა, ბუნებრივი წარმოშობის ახალი სამკურნალო საშუალებების ძიება და დამუშავება, კონტროლის მეთოდების სრულყოფა, წარმოების ორგანიზაცია და სხვა საკითხები. ამ მიზნით სასურველია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, პრაქტიკული ჰომეოპათიური ცენტრებისა და ჯანდაცვის ორგანიზატორების გაერთიანება.

ფარმაკოპეა (ფარმაკონ - წამალი, საწამლავე; პოეა - ვამზადებ) აუცილებელია ჰომეოპათიური პრეპარატების შემადგენლობისა და ხარისხის რეგლამენტაციისათვის. **ჰომეოპათიური ფარმაკოპეა** გამოცემულია აშშ-ში, ინდოეთსა და ევროკავშირის რიგ ქვეყნებში. იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც არ გააჩნიათ ასეთი ფარმაკოპეა, სახელმძღვანელო დოკუმენტად გამოდგება HAB, იგივე GHP (German Homoeopathic Pharmacopoeia) - ოფიციალური გერმანული ჰომეოპათიური ფარმაკოპეა (1978 წ. და დამატებები 1981-2001 წლებში), BHP - (British Homoeopathic Pharmacopoeia -1993 წ.) - ბრიტანული ჰომეოპათიური ფარმაკოპეა, HPUS (Homoeopathic Pharmacopoeia of United States 1982 წ. და დამატებები 1989-1995 წწ.), PhF - ოფიციალური ფრანგული ჰომეოპათიური ფარმაკოპეა (1995 წ.). ჰომეოპათიაში ევროპული სახელმძღვანელოა EC 92/73 და EC 92/74 დირექტივები, რომლებიც ევროკავშირის 15 ქვეყნისათვის აკანონებენ ადამიანთა თერაპიასა და ვეტერინარიაში ჰომეოპათიური პრეპარატების გამოყენებას.

ჰომეოპათიური ფარმაცევტული პრეპარატების კლასიფიკაციისათვის გადამწყვეტია არა მათი გამოყენების მეთოდი, არამედ მათი წარმოების ასპექტი. ეს პრეპარატები იწარმოება ფარმაცევტულ-გალენური კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებიც მოცემულია ოფიციალურ ჰომეოპათიურ ფარმაკოპეაში, ევროკავშირის მოქმედ ავტორიზებულ სახელმძღვანელოში.

ჰომეოპათიური მედიკამენტები გამოიყენება სხვადასხვა თერაპიულ მიმართულებებში. ეს მიმართულებები შეიძლება გაერთიანდეს ტერმინით **ჰომეოთერაპია**.

ჰომეოპათიური მედიკამენტი არის ნებისმიერი სამკურნალო საშუალება, რომელიც დამზადებულია ჰომეოპათიური წარმოების ტექნოლოგიის მიხედვით იმ სუბსტანციებისაგან, რაც ევროპულ, გერმანულ და სხვა ჰომეოპათიურ ფარმაცოპეაში წოდებულია, როგორც **ნედლეული**. შესაბამისი მონოგრაფიის ანუ ფარმაცოპეის სტატიის არარსებობისას, ნორმატიულ დოკუმენტად გამოიყენება ევროკავშირის წევრი რომელიმე ქვეყნის მოქმედი ოფიციალური ფარმაცოპეის მონოგრაფია ანუ ფარმსტატია.

ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალება ანუ სუბსტანცია არის მხოლოდ ის საშუალება, რომელიც დამზადებულია ოფიციალური ევროპული ფარმაცოპეის მეთოდების მიხედვით ან უკიდურეს შემთხვევაში, იმ ალტერნატიული მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ოფიციალურად არის აღიარებული ევროკავშირის წევრი რომელიმე სახელმწიფოს ჰომეოპათიური ფარმაცოპეის მიერ.

სხვა ტერმინები იხმარება იმავე მნიშვნელობით, როგორც ფარმაციაში.

თავი 2. ზოგადი ნაწილი

2.1. ჰომეოპათიის წარმოშობა და მისი განვითარების ისტორია მსოფლიოში

ჰომეოპათიის, როგორც მკურნალობის სისტემის, განვითარება იწყება XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში. მისი ფუძემდებელია გერმანელი ექიმი, ფარმაცევტი და ქიმიკოსი ქრისტიან ფრიდრიხ სამუელ ჰანემანი (1755- 1843). იგი დაიბადა 1755 წლის 10 აპრილს მაისენში (საქსონია). მშობლები მას ფარმაცევტად ამზადებდნენ რომ ემუშავა დროგისტად აფთიაქში, მაგრამ მიიღო-რა უმაღლესი სამედიცინო განათლება, მან დაიწყო საექიმო პრაქტიკული და სამეცნიერო მოღვაწეობა; თუმცა ფარმაცეასთან კავშირი არასოდეს გაუწყვეტია - იგი და მისი თანამოაზრეები თვითონ ამზადებდნენ წამლებს.

ჰანემანი იყო არაორდინალური, განათლებული პიროვნება. ჰომეოპათიის დებულებების ჩამოყალიბებამდე მას შესრულებული აქვს სამედიცინო და ქიმიური ლიტერატურის თარგმანები, ნაშრომი ფარმაკოლოგიაში, სახელმძღვანელო „სააფთიაქო ცნობარი“; იგი აქტიურად მონაწილეობდა გერმანიის ფარმაცოპიის სტანდარტიზაციის საკითხებში და სხვა.

ჰანემანი უკმაყოფილო იყო იმდროინდელი მკურნალობის მეთოდებით. ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორის კულენის წამალთმცოდნეობის სახელმძღვანელოს „Materia Medica“-ს თარგმნისას მისი ყურადღება მიიპყრო იმან, თუ როგორ აღწერდა ავტორი ქინაქინის ხის ქერქის გამოყენებას მალარიის სამკურნალოდ. კულენის ვარაუდმა იმის შესახებ, რომ ქინაქინის ხის ქერქის სამკურნალოდ გამოყენება შესაძლებელია დაკავშირებული ყოფილიყო კუჭზე მის აღმგზნებ მოქმედებასთან, გადააწყვეტინა ს. ჰანემანს, გამოეცადა იგი საკუთარ თავზე და მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ქინაქინის ხის ქერქის ნახარში დიდი დოზებით იწვევდა მალარიის მსგავს სიმპტომებს; მალარიისას, რომელსაც ქინაქინით მკურნალობდნენ. ამ რევოლუციური ექსპერიმენტით დაიწყო ახალი ერა მედიცინაში. ქინაქინის მიღებისთანავე ჰანემანს განუვითარდა პერიოდული ციებ-ცხელების სიმპტომები. მან ივარაუდა, რომ ამ მოვლენის უკან იმალებოდა სამკურნალო საშუალების თერაპიული მოქმედების არსი. ვარაუდის შემდგომი შემოწმების მიზნით დაიწყო საკუთარ თავსა და ახლობლებზე სხვა სამკურნალო საშუალებების გამოცდა. 1796 წელს გამოცემულ ნაშრომში მან გაამუქა 60 დასახელების საშუალებით მკურნალობის შედეგები, რამაც საყოველთაო აღიარებაც მოუპოვა.

ეს კვლევები დაედო საფუძვლად მკურნალობის ახალი მეთოდის აღმოჩენას, რომელსაც ჰანემანმა უწოდა **ჰომეოპათია**. დაკვირვებების შედეგად გამოაშკარავდა ბუნების შემდეგი მოვლენა: **ნივთიერება, რომელიც ჯანმრთელ ადამიანში იწვევს ავადმყოფობის მსგავს გარ-კვეულ სიმპტომებს, იგივე სიმპტომებს კურნავს დაავადებულში**. ცდები ექვსი წელი გაგრძელდა. ყველა დაკვირვება გაანალიზდა და დაფიქსირდა. ჰანემანის მიმდევრები ორგანიზებულად მოქმედებდნენ - ისინი ატარებდნენ ექსპერიმენტს, ცდიდნენ ასობით წამალს თავის თავზე და ეს კეთდებოდა უდიდესი ენთუზიაზით, რათა შეექმნათ ისეთი წამალთმცოდნეობა, რომელიც სამედიცინო ექსპერიმენტზე იქნებოდა დამყარებული.

1810 წელს ს. ჰანემანმა დაწერა ნაშრომი „საექიმო ხელოვნების ორგანონი“, ხოლო 1811-1819 წლებში კი, ექვსტომიანი ნაშრომი „წმინდა წამალთმცოდნეობა“ (Reine Arsneimittellehre), სადაც მოცემულია სიმპტომები 62 ჰომეოპათიური პრეპარატის გამოყენების დროს. „სამედიცინო ხელოვნების ორგანონში“ სამუელ ჰანემანმა ჩამოაყალიბა ჰომეოპათიის ძირითადი პრინციპები. **ჰომეოპათია** მან უწოდა თავის სისტემას ბერძნული (homoios - მსგავსი და pathos - ავადმყოფობა) სიტყვების საფუძველზე ისევე, როგორც დანარჩენ მედიცინას ჰანემანმა უწოდა **ალოპათია** (Allos - სხვა, განსხვავებული).



**სამუელ ჰანემანი
(1755-1843)**

განისაზღვრა ჰომეოპათიის პრინციპი: **Similia similibus curentur** - მსგავსი იკურნება მსგავსით. ეს პრინციპი ჰანემანმა ჩამოაყალიბა ორგანონის შესავალში: „რომ უმკურნალო სწორად, უსაფრთხოდ, სწრაფად და სანდოდ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეარჩიე ისეთი წამალი, რომელსაც შეუძლია იმისი მსგავსი მდგომარეობის გამოწვევა, რისი განკურნებაც გსურს“. ეს არის **მსგავსების კანონი**,

მედიცინის ისტორია შეიცავს იმის დადასტურებებს, რომ მსგავსების კანონს ვარაუდობდა მრავალი დიდი სწავლული. მაგალითად, ჰოპოკრატე (ჩვ. წ-მდე V-IV სს.) აღიარებდა მკურნალობის ორ მეთოდს: „მსგავსით“ და „საწინააღმდეგოთი“; ბეტარდინგი ამბობდა, რომ სინამაქი, იგივე ალექსანდრიის ფოთოლი (Folium Senae) იმიტომ კურნავს მუცლის ჭვალს, რომ იწვევს ჭვალს ჯანმრთელ ადამიანებში, ხოლო შტალის აზრით, „მცდარია მედიცინაში დამკვიდრებული საწინააღმდეგოთი მკურნალობის წესი, დაავადებები ქრებიან იმ წამლებით, რომლებსაც მსგავსი ავადმყოფობის გამოწვევა შეუძლიათ.“

ხვდებოდა-რა მსგავსების კანონის მოქმედებას, პარაცელსი (XVI ს.) ეყრდნობოდა მას თავის პრაქტიკაში. მას ეკუთვნის გამოთქმები: „ყოველი საწამლავი ერთდროულად წამალია“, „საწამლავი რასაც წამლავს, იგივეს მკურნალობს მცირე დოზით გამოყენებისას“, „დაავადების დასახელება არაა ჩვენება წამლისათვის, მსგავსი უნდა შედარდეს მსგავსთან და ეს მსგავსება ავლენს განკურნების საოცარ შესაძლებლობებს.“

ეს ადამიანები - ჰიპოკრატე, ბეტარდინგი, შტალი, პარაცელსი, ცხოვრობდნენ და ეწეოდნენ პრაქტიკას ჰანემანამდე.

საქართველოში ზედა პალეოლითის ეპოქიდან ქვა, ქვის ნალესი, ქვის ნაფხვენი სამკურნალოდ გამოიყენებოდა და ხალხი მას მაგიურ ძალას მიაწერდა. ამ სახის ზოგიერთ ქვას ისინი ფაზარს, ხუთოს, ნატვრის თვალს უწოდებდნენ. მინერალური და ცხოველური წარმოშობის ქვათა უძველესი კოლექციები დაცულია მუზეუმებში. ფაზარ-ხუთოს ნალესები იხმარებოდა როგორც დასალევად, ისე გარეგან სახმარად დიდ განზავებებში - თითქმის ყველა დაავადების დროს. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში დაცულია ამ ქვების უმდიდრესი კოლექცია. მათმა ქიმიურმა და სპექტრულმა ანალიზებმა აჩვენეს ქვების შემადგენელი ქიმიური ელემენტების - სილიციუმის, მანგანუმის, რკინის, მაგნიუმის, კალციუმის, ტიტანის, კალიუმისა და სხვათა ძლიერ განზავებული კონცენტრაციები. ისინი, სავარაუდოა, უძველესი ქართველი მკურნალებისა და წამალთმცოდნეების მიერ გამოიყენებოდა სწორედ ჰიპოკრატეს ეპოქამდე და მის შემდეგაც, მსგავსების მეთოდით სამკურნალოდ. ხალხი ამ ქვებს ძირითადად ცხოველური წყაროდან აგროვებდა, კლდეთა შორის მოძინადრე „ნიამორთა ნაღველთა შინა“. ნიამორი გარეული თხაა, იგი ქვებს ბადებდა თავისითაც და ადამიანსაც შეეძლო მისი ნაღველიდან ამოღება. თუ ქვა ჯიხვის კუჭიდან იყო ამოღებული, მას „ნატვრის თვალი“ ეწოდებოდა. ზოგი „ქვა-ხვითო“ ზღვის ზღარბებისა და მხარფეხიანების გაკაჟებით წარმოიშობოდა - მაგალითად არგილიტი, კვარელი, იასპიტი, მარჯანი, ქალცედონი და სხვა. ქვა-ხვითოს ქართველი ხალხი უებარ წამლად თვლიდა.

საქართველოში მრავლად იყო აგრეთვე მინერალური წარმოშობის ქვები: გიშერი, ქარვა, სარდიონი (სერდოლიკი). მათ გამოყენებას ავგაროზებად (ამულეტებად) ავსულებისა და გათვალვის წინააღმდეგ საქართველოში, პლინიუსიც აღიარებს. თაბაშირ-კვარციტული, აპატიტური, მაგნეტიტური, კირქვული და სხვა ქვების ქიმიური შემადგენლობა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტშია შესწავლილი და მიკროელემენტების თვალსაზრისით ისინი ძალიან მდიდარი

აღმოჩნდნენ. თუმცა ამ ფაქტის განზოგადება ხალხური მედიცინის დონეს არ გასცილებია.

როგორც აღვნიშნეთ, ჰომეოპათიის ძირითადი პრინციპი „მსგავსი იკურნება მსგავსით“, გულისხმობს სამკურნალოდ იმ ნივთიერების გამოყენებას მცირე დოზებით, რომლებიც დიდ დოზებში განსაკურნი დაავადების მსგავს სიმპტომებს იწვევენ.

ჰომეოპათიის **მეორე პრინციპია** - დაავადების სიმპტომების გამოსავლენად ჯანმრთელ ადამიანებზე ნივთიერებათა დიდი, ზოგჯერ ტოქსიკური დოზების გამოცდის აუცილებლობა. გარდა ამისა, ჰომეოპათია ეყრდნობა ტოქსიკოლოგიის მონაცემებს და წამლებით ავადმყოფთა მკურნალობისას მიღებულ შედეგებს.

ჰომეოპათიაში მკურნალობა ინიშნება კონსტიტუციურობის, ორგანოტროპულობისა და პერსონოტროპულობის პრინციპების გათვალისწინებით. ეს არის წამლის ინდივიდუალური შერჩევა კონკრეტულ ავადმყოფზე, კონკრეტული პათოლოგიური მდგომარეობისას - პაციენტის ფიზიკური და ფსიქიკური თავისებურებების გათვალისწინებით. ინდივიდუალური მკურნალობის პრინციპი მსგავსების კანონიდან გამომდინარეობს. წამლის პერსონოტროპული მოქმედების გამოვლენა ჰანემანის მოძღვრების კიდევ ერთი ბრწყინვალე მიღწევაა.

ჰომეოპათია მკურნალობს ავადმყოფს მთლიანობაში და არა ცალკეულ დაავადებას. იგი ავლენს მედიცინაში ვიწრო სპეციალიზაციის სუსტ მხარეებს, როცა ავადმყოფს მკურნალობენ ნაწილ-ნაწილ, ორგანოების მიხედვით, მისი ობიექტური და სუბიექტური რეაქციების ერთიანობაზე დაკვირვებისა და გათვალისწინების გარეშე. ამიტომ მომავალში თერაპიაში ინდივიდუალური მიდგომის დამკვიდრება და განვითარება მნიშვნელოვანი ამოცანაა. იგი თანდათან იწყებს განვითარებას საქართველოში, კლინიკური ფარმაციის, ფარმაკოპიდემიოლოგიისა და ფარმაკოკონომიკის რამდენიმე დისციპლინის სახით.

ჰომეოპათიაში არსებობს აგრეთვე მინიმალური დოზის პრინციპი. ჰომეოპათიური წამლები პირველად იწვევენ ავადმყოფის მდგომარეობის გამწვავებას. ამის მინიმუმამდე დასაყვანად და თავიდან ასაცილებლად ჰანემანი და მისი მიმდევრები იძულებული გახდნენ დაეწყოთ წამლის დოზის შემცირება. აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მცირეა დოზა, მით უკეთესია მკურნალობის შედეგი.

ჰომეოპათიის **მესამე პრინციპია** წამლის გამოყენება მინიმალური დოზით და მათი მომზადება პოტენცირების წესით. რძის შაქართან გასრესილი, სპირტთან ან წყალთან შენჯღრეული სამკურნალო სუბსტანციების ნარევებსა და ხსნარებში ადგილი აქვს დინამიზაციას ანუ

პოტენციურებას; გამოიყენება ძლიერ მცირე დოზები - ეს არის „მცირე დოზების კანონი“. ჰომეოპათიური წამლის ფორმა, როგორც წესი, უნდა იყოს მეტისმეტად განზავებული. ჰანემანი მუშაობდა განზავებების ხარისხზე. ასე გაჩნდა წარმოდგენა პოტენციურებაზე, დინამიზაციაზე. სწორედ ამ პრინციპით მზადდება წამლები ჰომეოპათიურ აფთიაქებში. აქ პრეპარატებს ამზადებენ ნედლეულიდან საწყისი ნაყენების მიღებით. შემდეგ აქედან იღებენ პრეპარატებს მისი განზავებით რძის შაქართან ათჯერ, ასჯერ, ათასჯერ და მეტად ან კიდევ, წყალთან და სპირტთან ნჯღრევითა და პოტენციურებით. ჰანემანის მოძღვრების მიხედვით განზავება იწვევს სამკურნალო ნივთიერების მოქმედების გაძლიერებას. ჰომეოპათია თვლის, რომ მოქმედებს არა მარტო მატერიალური საწყისი, არამედ ენერგეტიკული ძალა, რომელიც გაზავებისას იზრდება. ესე იგი, დიდი განზავებები იწვევენ დინამიზაციას და განსაკუთრებული ფარული ძალების პოტენციურებას; ამისათვის კი, აუცილებელია ყველა ეტაპზე მექანიკური ნჯღრევა.

როგორც აღვნიშნეთ, წამლებში დოზის შემცირებას ჰანემანი აღწევდა მათი განზავებით. იგი აზავებდა ჯერ 1:9, შემდეგ 1:99 პროპორციებით და ა. შ.. რამდენიმეჯერ - სპირტით გაზავებულ წამალში თუ დოზა მაინც დიდი აღმოჩნდებოდა, ეს პროცესი გრძელდებოდა.

ჰანემანი დააკვირდა, რომ მრავალჯერადი განზავების შემდეგაც წამალი ინარჩუნებდა თავის სამკურნალო თვისებებს, თუკი ყოველი განზავების შემდეგ ხსნარი 10-30-ჯერ იქნებოდა შენჯღრეული. ჰანემანი ამზადებდა ისეთ მაღალ განზავებებს, რომლებშიც ფიზიკისა და ქიმიის კანონების მიხედვით, საწყისი ნივთიერების თითქმის არცერთი მოლეკულა აღარ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ წამალს სამკურნალო ძალა არა თუ ეკარგებოდა, არამედ მკვეთრად ეზრდებოდა. ამ პროცესს შემდეგ პოტენციურება ანუ დინამიზაცია ეწოდა.

ჰომეოპათია მწვავე და ქრონიკული დაავადების რადიკალური განკურნებისა და აქტიური პროფილაქტიკის ხელოვნება და მეცნიერებაა. რით განსხვავდება ჰომეოპათია თანამედროვე აკადემიური მეცნიერებისაგან? დღევანდელი მედიცინის დანაწევრებულობა გამოიწვია მეცნიერულმა პროგრესმა - უჯრედული თეორიის, მიკრობიოლოგიის, ენდოკრინოლოგიის და ასობით ვიწრო სპეციალიზაციის განვითარებამ მედიცინაში. ყოველ დანაწილებას გამთლიანებაც უნდა მოჰყვეს, ინტეგრალური მედიცინა თანამედროვეობის მოთხოვნილებაა. ჰომეოპათია მედიცინაში წინ უსწრებდა თანამედროვე ალოპათიურ მეთოდებს. იგი ეყრდნობა ზოგად თერაპიულ კანონზომიერებებს. თუ ზოგადი

სწორია, კერძოს განვითარება მას ვერასოდეს უარყოფს, არამედ უფრო დააზუსტებს.

ცოცხალი ორგანიზმი წამალზე ორგვარ რეაქციას იძლევა - პირველადს და მეორადს. ფარმაკოლოგია სწავლობს ბიოლოგიურ ობიექტზე წამლის დაუყოვნებელგამოვლინებად მოქმედებას, ხოლო ჰომეოპათია კი წამალზე მეორად რეაქციას. ეს რეაქცია არ არის ისე უხეში, ცალმხრივი, მოკლე, როგორც პირველადი. მისი ხანგრძლივობა ფარმაკოკინეტიკასა და დოზაზე არაა დამოკიდებული. დოზის ნულამდე დაყვანაც კი ჰომეოპათიაში იძლევა ხანგრძლივ ფარმაკოლოგიურ ეფექტს.

ჰომეოპათია, როგორც მკურნალობის მეთოდი, მთელს მსოფლიოში გავრცელებული და მხარდი პოპულარობით სარგებლობს. უბრალოდ, ჰანემანის მტერთა სიმრავლე, თუ 200 წლის შემდეგ სპეციალისტთა სკეპტიციზმი, ყოველივე ეს გამოიწვია ამ დრომდე მეთოდის მეცნიერული დასაბუთების შეუძლებლობამ.

XXI საუკუნეში მდგომარეობა გაუმჯობესდა. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ ჰომეოპათიის ბურუსით მოცულ საიდუმლოებასაც თანდათანობით მოჰფინა ნათელი. სპეციალისტები თვლიან, რომ როგორც მეცნიერებას და როგორც მკურნალობის მეთოდს, მას დიდი პერსპექტივა აქვს.

წარმოშობისთანავე ჰომეოპათიამ დიდი პოპულარობა მოიპოვა. იყო დევნა და შევიწროებაც. სკეპტიციზმს იწვევდა ის, რომ ჰომეოპათიური საშუალება დიდი განზავებისას ზოგჯერ არ შეიცავს სამკურნალო ნივთიერების ერთ მოლეკულასაც კი; აგრეთვე არ არსებობს უმცირესი დოზების ფიზიოლოგიური მოქმედების დასაბუთება. ბევრი ახლაც თვლის, რომ ჰომეოპათიაში მოქმედებს „პლაცებოს ეფექტი“ - ე. ი. ავადმყოფს არჩენს მკურნალობისა და ექიმისადმი რწმენა.

და მაინც, 1848 წლიდან ამერიკაში ფუნქციონირებდა ჰომეოპათიის ინსტიტუტი, ინგლისში დედოფალ ვიქტორიას მმართველობიდან დაწყებული ჰომეოპათების დაკვირვების ქვეშ იყო სამეფო ოჯახის ყველა წევრი.

XIX ს. 20-იან წლებში **რუსეთში** მკურნალობის ახალი მეთოდი შემოიტანა ექიმმა დ. ადამმა, რომელმაც გერმანიაში ს. ჰანემანი გაიცნო. 1828 წ. რუსეთის იმპერატორმა ნება დართო მის პირად ექიმს ემკურნალა ჰანემანის მეთოდით. ნიკოლოზ I-ის მეფობის დროს რუსეთში გაიხსნა პირველი ჰომეოპათიური აფთიაქი, ჯერ სანკტ-პეტერბურგში (1832 წ), ხოლო შემდეგ - მოსკოვში (1835 წ. ექიმი ა. ფორბრიხერის მიერ), რიგასა და კიევში. ეს აფთიაქები ამზადებდნენ წამალს ექიმი-ჰომეოპათების რეცეპტებით. 1833 წ. რუსეთის სახელმწიფო საბჭომ ოფიციალურად დართო ნება ექიმებს ეწარმოებინათ კერძო ჰომეოპათიური პრაქტიკა, მაგრამ ეს

მეთოდი არ იყო ნებადართული სახელმწიფო დაწესებულებებში. დიდგვაროვანთა ოჯახებში გამოჩნდნენ ექიმი-ჰომეოპათები და მეთოდის პოპულარობამ თანდათან იწყო ზრდა, თუმცა ნ. პიროგოვი, ა. ნელუბინი, ა. იოვსკი და მრავალი სხვა რუსი ექიმი, სიფრთხილით, ზოგჯერ კი, აშკარა უნდობლობით და უარყოფითად ეკიდებოდნენ მკურნალობის ამ მეთოდს. ამის მიუხედავად, XIX ს. მეორე ნახევარში ჰომეოპათიისადმი ექიმთა ინტერესი იზრდებოდა. იზრდებოდა ჰომეოპათიური აფთიაქების რიცხვიც. მრავალ ქალაქში გაჩნდა ჰომეოპათთა საზოგადოებებიც, რომლებიც ეწოდნენ ამ მეთოდის პოპულარიზაციას. ჰომეოპათიის ისტორია დაკავშირებულია ექიმების - ვ. დერიკერის, ნ. გაბრილოვიჩის, ლ. ბრაზოლის, ფ. ოსეცკის, ი. ლუცენკოს და სხვათა სახელებთან.

საქართველოში XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში ჰომეოპათია დიდი ბრძოლით იკიდებდა ფეხს. XX ს. დასაწყისში თბილისში, სასახლის ქუჩაზე დობრჟინსკის სახლში, უკვე ფუნქციონირებდა ჰომეოპათიური აფთიაქი. ჰომეოპათიით დაინტერესებულ პირებს ურთიერთობა ჰქონდათ იურიევის (ტარტუს), მოსკოვის, პეტერბურგის ექიმ-ჰომეოპათებთან. საზოგადო მოღვაწეს, დიმიტრი ყიფიანს, ხალხის სიდუხჭირემ შთააგონა შეესწავლა ეს „უკვდავების წამლობა“ და მკურნალობდა სოფლის მოსახლეობას. წარსულში მოღვაწეობდა რამდენიმე ექიმი-ჰომეოპათი: - გორგასლიძე, ანანოვი, ბერგი და სხვა.

ამჟამად ჰომეოპათიის აღმავლობაა მის სამშობლოში - გერმანიაში, აგრეთვე მთელს ევროპაში, ამერიკასა და აზიის ქვეყნებში ჰომეოპათიამ მიიღო ფართო აღმავლობა. მეტნაკლები ხარისხით იგი დასაშვებია გახდა მსოფლიოს 30-ზე მეტ ქვეყანაში. ინდოეთში ექიმთა 50% მიმართავს ჰომეოპათიური სისტემით მკურნალობას, ინგლისში - 45%, საფრანგეთში - 32%, გერმანიაში - 25%, ინდოეთში, მექსიკაში, დიდ ბრიტანეთსა და ნორვეგიაში ჰომეოპათიას აქვს სახელმწიფო სტატუსი. გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ვატიკანში, ნიდერლანდებში, ბელგიასა და სხვა ქვეყნებში პრაქტიკოსი ჰომეოპათების დიდი რაოდენობაა.

მრავალი ქვეყნის ინსტიტუტებსა და კოლეჯებში არის ჰომეოპათიის კათედრები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები საკმაოდ დიდი ტრადიციებით; მრავალ ქვეყანაში ფუნქციონირებს ჰომეოპათიური ჰოსპიტალი და კლინიკა, კლინიკური ჰომეოპათიური კონსულტაციებით. გამოიგემა 70-ზე მეტი ჟურნალი. მაგ. გერმანიაში 1934 წლიდან გამოდიოდა „წამლების ჰომეოპათიური წიგნი“, რომელიც ყოველი ახალი გამოცემისას ივსებოდა და მდიდრდებოდა. ზოგ ქვეყნებში არსებობს ჰომეოპათიური ფარმაცოპეები (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ინდოეთი), ზოგან ფარმაცოპეის განყოფილებები ან სხვა

საკანონმდებლო დოკუმენტები. დამუშავების სტადიაშია ევროპული ჰომეოპათიური ფარმაცოპეა. ევროპარლამენტთან შექმნილია ჰომეოპათიის ევროპული კომიტეტი, რომელიც აწარმოებს ჰომეოპათიასთან დაკავშირებული ყველა საკითხის კოორდინაციას.

ჰომეოპათიის განვითარებამ მიიღო ძლიერი იმპულსი XX საუკუნის 90-იან წლებში, რაც გამოიწვია მოსახლეობის ფართო მიმართებებმა ჰომეოპათიური დახმარებისადმი. 1991წ. გამოიცა რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს ბრძანება „ჰომეოპათიური მეთოდის განვითარება სამედიცინო პრაქტიკაში და ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებებით მოსახლეობის უზრუნველყოფის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“ (ბრძ. № 115 - 01.07.91). ოფიციალური აღიარება და საექიმო პრაქტიკაში ჰომეოპათიური მეთოდის გამოყენების ნებართვა მოხდა 1995 წლის 29.11-ის №335 ბრძანების „ჰომეოპათიური მეთოდის გამოყენების შესახებ პრაქტიკულ ჯანდაცვაში“ საფუძველზე. დღეს რუსეთში ჰომეოპათია დამოუკიდებელი მიმართულებაა და შედის ჯანდაცვის სისტემაში, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი. აქ მიღებულია დარგობრივი კანონმდებლობა, რომლის მიხედვით ჰომეოპათია ექვემდებარება ლიცენზირებას დადგენილი წესით. მკურნალობის ამ მეთოდის ოფიციალური აღიარება გახდა რუსეთში მისი განვითარების მძლავრი სტიმული.

დიდი ხანი არ არის, რაც რუსეთი მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც ჰომეოპათიას უჭირავს ღირსეული ადგილი, რისი დადასტურებაც არის 2002 წ. ივნისში ჰომეოპათიის საერთაშორისო ლიგის კონგრესის აქ ჩატარება.

სწავლება უნივერსიტეტში: გაიზარდა ყურადღება ფარმაცევტულ უმაღლეს სასწავლებლებსა და კოლეჯებში ჰომეოპათიის სწავლების მიმართ, აქ იგი ისწავლება, როგორც ძირითადი, ისე ელექტიური კურსის სახით.

რუსული სამამულო ჰომეოპათიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს რუსეთის ფედერაციის ფარმაციის НИИ ინსტიტუტის ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებების სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელობამ და თანამშრომელებმა. ლაბორატორიაში დამუშავდა და მუშავდება ზოგადი ფარმსტატიები ჰომეოპათიურ წამლის ფორმებზე (ნაყენებზე, „დედა ხსნარებზე“, ტრიტურაციებზე, მალამოებზე, ზეთებსა და სხვა). დამუშავდა კერძო ფარმსტატიების მნიშვნელოვანი რაოდენობა კონკრეტულ „დედა ნაყენებზე“. ამჟამად ეს დაწესებულება შედის ო. მ. სეჩენოვის სახელობის მოსკოვის სამედიცინო აკადემიის შემადგენლობაში და აგრძელებს მუშაობას რუსეთის ჰომეოპათიური ფარმაცოპეის გამოსაცემად. თანამედროვე ქიმიის და სხვა

მონათესავე მეცნიერების მიღწევები წარმოადგენენ მძლავრ ბიძგს მედიცინის როგორც ალოპათიური, ასევე ჰომეოპათიური მიმართულებების განვითარებისათვის.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ჰომეოპათიური მეთოდის გავრცელება XXI საუკუნის დასაწყისისათვის წარმოდგენილია № 1 ცხრილში.

ცხრილი №1

ჰომეოპათიური მეთოდის გავრცელება მსოფლიოში

ქვეყანა	მოსახლეობის რაოდენობა %, რომელიც სარგებლობს ჰომეოპათიური მკურნალობით
ბელგია	56
დანია	27,5
საფრანგეთი	32
გერმანია	63
ნიდერლანდები	40
შვეცია	15
დიდი ბრიტანეთი	16
აშშ	3
ინდოეთი	68
ლათინ. ამერიკა	27
პოლონეთი	38

ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებების ბაზარი მთელს მსოფლიოში უკვე ორი ათეული წელია ხასიათდება გაყიდვების მოცულობის საგრძნობლად გადიდებით. მოსახლეობის მისწრაფება უსაფრთხო თერაპიისაკენ და ექიმებში ჰომეოპათიური პრეპარატების მზარდი პოპულარობა იმითაა განპირობებული, რომ თანამედროვე გამოკვლევები ასაბუთებენ ამ მეთოდის ეფექტურობას და უახლოეს მომავალშიც გამოიწვევენ მის აღმავლობას.

1996 წ. აშშ-ში ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებათა გაყიდვების მოცულობა 200 მილიონი აშშ დოლარი იყო, Frost and Sullivan-ის მიხედვით 2003 წ. მიაღწია 705,8 მილიონ აშშ დოლარს, ე. ი. გაიზარდა 3,5-ჯერ. ეს დაკავშირებულია განსაკუთრებით საშუალო ასაკის ადამიანების მზარდ ინტერესთან ამ ჯგუფის პრეპარატებისადმი. ამასთანავე, გაყიდვათა ტემპის სწრაფი ზრდა დაკავშირებულია, ძირითადად, მათ ურეცეპტოდ გაყიდვასთან (OTC – Over the Counter Drugs), რამდენადაც ამერიკელ ექიმებში ევროპელი ექიმებისაგან განსხვავებით ჰომეოპათია ჯერ კიდევ არ სარგებლობს საკმარისი პოპულარობით, ამიტომ - თუ ევროპელი ექიმების ნახევარი ნიშნავს ჰომეოპათიურ საშუალებებს, ამერიკის მოსახლეობის მხოლოდ 2/3 იყენებს მათ თვითმკურნალობისათვის.

ყველა ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალება, რომელიც ამჟამად რუსულ ფარმაცევტულ ბაზარზე იმყოფება, შეიძლება ორ დიდ ჯგუფად გაიყოს: მარტივი ანუ ერთკომპონენტური და კომპლექსური.

ერთკომპონენტური პრეპარატები შეადგენენ ჰომეოპათიური საშუალებების ბაზრის მოცულობის არაუმეტეს 20-25)-ს რუსეთში, რაც უფრო მეტია, ვიდრე გერმანიაში, აშშ-ში და უფრო ნაკლებია, ვიდრე საფრანგეთში. მარკეტინგისა და გასაღების თავისებურებები რუსეთში განპირობებულია მათი გავრცელებით ჰომეოპათიური აფთიაქებიდან, ურეცეპტო გაყიდვების არარსებობით და განსწავლული ჰომეოპათი-სპეციალისტების ყოლის აუცილებლობით. რეგისტრირებული წამლის ფორმების ყველაზე დიდი ჯგუფია გრანულები - 38,4) . თუმცა ეს ტრადიციული ფორმა გამოყენებისათვის მთლად მოსახერხებელი არაა, მაგრამ რუსეთში არსებული სიმძლავრეების პირობებში მათი გამოშვება იოლია. ამას მოსდევს წვეთები - 28) , ტაბლეტები - 11,1) და მალამოები - 10,8) . ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს შინაგანი დანიშნულების საშუალებები - 75) , გარეგან საშუალებებზე მოდის მიახლოებით 20) , ხოლო პარენტერალურზე - 5) .

ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებების ბაზარზე მოღვაწეობის ეკონომიკური მაჩვენებლებით დომინირებს სააქციო საზოგადოება „არნებია“, იგი არის გერმანული ფირმის „Biologische Heilmittel Heel“-ის და აკონტროლებს რუსული ჰომეოპათიური ბაზრის 30) , შემდეგ მოდის რუსული საწარმოო ფირმა „მატერია მედიკა“, საერთაშორისო კონცერნი „ედასი“, გერმანული „DHU“ და მოსკოვის ფარმფაბრიკა. მომავალში მოსალოდნელია ფირმების „Richard Bittner“ (ავსტრია) და „Laboratoires Boiron“ (საფრანგეთი) წილის გადიდება.

მსოფლიოს უმსხვილესი მარკეტინგული აგენტის Frost and Sullivan (აშშ-დიდი ბრიტანეთი)-ის მონაცემებით, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ჰომეოპათიური პრეპარატების გაყიდვათა მოცულობა ყოველწლიურად 16-29))- ით იზრდება. 1995 წლიდან იგი რამდენადმე შემცირდა და ამჟამად ყოველწლიურად 5-10))-ს შეადგენს. ამასთანავე გერმანიასა და ავსტრიაში გაყიდვათა საერთო მოცულობამ შეადგინა ამ ქვეყნების ფარმაცევტული ბაზრის საერთო გაყიდვების 1,1- 1,3) . რამდენადმე მაღალია ჰომეოპათიური პრეპარატების წილი საფრანგეთის ბაზარზე - 2,3) . მთლიანად ევროპაში ეს მაჩვენებელი 0,9-დან 1))- მდე მერყეობს.

№ 2 ცხრილში მოცემულია თანამედროვე ჰომეოპათიური პრეპარატების ბაზრის შეფასება.

ჰომეოპათიური საშუალებების რეალიზაცია სხვადასხვა რეგიონში

რეგიონი, ქვეყანა	რეალიზაციის მოცულობა- მლნ აშშ \$
ჩრდილოეთი ამერიკა	702
აშშ	682
კანადა	16
ევროპა	77600
გერმანია	210
საფრანგეთი	320
იტალია	93
დიდი ბრიტანეთი	82
ესპანეთი	55
იაპონია	სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში და იაპონიაში პრაქტიკულად არ გამოიყენება
ლათინური ამერიკა	73
ბრაზილია	32
მექსიკა	29
არგენტინა	12
ავსტრალია და ახალი ზელანდია	17
სხვები (მ.შ. რუსეთი 7 მლნ. აშშ \$)	48
სულ:	1 600 მლნ. აშშ \$

კომპანიების Heel, Wala, Weleda და DHU მიერ ევროპაში ჰომეოპათიური პრეპარატების რეგისტრაციის ინტერესით და ფარმაცევტულ ბაზარზე ამ პროდუქციის წილის გადიდების მიზნით შეიქმნა ჰომეოპათიური პრეპარატების მწარმოებელთა ევროპული ასოციაცია - ECHAMP, რომელშიც შევიდა 25 მწარმოებელი ფირმა ევროკავშირის 10 ქვეყნიდან.

ამჟამად რუსეთის ფარმაცევტულ ბაზარზე მუშაობს ჰომეოპათიური საშუალებების სხვადასხვა ფორმები: ნაყენები, მალამოები, მარცვლები, წვეთები, სიროფები, ტაბლეტები, სუპოზიტორიები, ოპოდელდოკები, ზეთები, კარამელები, საინექციო ხსნარები, ემპლასტროები, საწუწნი დრაჟეები, გელები. ზეთები და კარამელები მხოლოდ რუსი მეწარმეების მიერ არის დარეგისტრირებული, ხოლო საინექციო და შინაგანი ხსნარები, დრაჟე, ემპლასტრო, გელი, კრემი, ნაზალური სფრეი - სხვა ქვეყნების მიერაც.

ამჟამად ექიმი-ჰომეოპათების დეფიციტით საქართველოში არაექიმები სარგებლობენ. უახლოეს მომავალში ეს მდგომარეობა უნდა შეიცვალოს. ჰომეოპათიური მეთოდისადმი წარსულის გადმონაშთი დამოკიდებულების წყალობით უფროსი თაობა ამ საკითხს უნდობლობით ეკიდება, ხოლო ახალგაზრდა თაობას სწორედ უფროსებისაგან ესწავლება.

ფარმაციის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში ჰომეოპათია ელექტიური კურსია, რიგ უმაღლეს სკოლაში კი ასეთი საერთოდ არ არის. ჰომეოპათიური პრეპარატების სააფთიაქო და სამრეწველო დამზადება მოითხოვს კვალიფიციურ სპეციალისტებს - ფარმაცევტებს. ამ საკითხთან მიმართებაში წინ ბევრი სამუშაოა.

2.2 ენერგონფორმაციული ასპექტები ჰომეოპათიის მეცნიერული დასაბუთებისათვის

ნებისმიერ ჰომეოპათიურ საშუალებას, უკვე D6 განზავებიდან პრაქტიკულად უკვე დაკარგული აქვს მატერიალური სუბსტანცია, შენარჩუნებული აქვს მხოლოდ ძალა. არის მოსაზრება, რომ ისინი ზემოქმედებენ ორგანიზმის არა მატერიალურ ნაწილზე, არამედ სულზე - ძალებზე, რომლებიც ადამიანის სხეულსა და ნერვულ სისტემას მართავენ.

საუნივერსიტეტო მეცნიერებას, რომელიც მატერიას იკვლევს, დღემდე არ ჰქონდა ჰომეოპათიის მეცნიერული დასაბუთება. მედიცინის ოფიციალური წარმომადგენლების მიერ იდეალისტურად მიჩნეულია ჰანემანის დებულება - „წამლების მოქმედების ხარისხი იზრდება დოზის შემცირებასთან ერთად“.

რაც უფრო ვეცნობით ბუნებას, მით უფრო ვრწმუნდებით მასში არსებული ქიმიური ელემენტების ფაქიზად გაბნეულ მდგომარეობაში ყოფნის აუცილებლობის უდიდეს მნიშვნელობაზე. აკადემიკოს ვ.ი. ვერნანდსკის შრომებში ვხვდებით ასეთ მტკიცებულებას: „ცოცხალი ორგანიზმი მიწის ქერქში მატერიის გაბნევის ერთ-ერთი ყველაზე უძლიერესი ძალაა. მიწის ქერქში არ მოიძებნება მისი ტოლფასი სხვა ძალა. გაფანტული მატერია ქიმიურად ყოველთვის უფრო ქმედითია“.

რა არის ჩვენთვის ცნობილი ქიმიური ელემენტების ცოცხალ ორგანიზმში არსებობის შესახებ? ცნობილია ძალიან ცოტა.

კვლევის მეთოდების სრულყოფამ და კვლევის სფეროში სპექტრული და ლუმინესცენტური ანალიზის მეთოდების შემოტანამ საშუალება მისცა

მეცნიერებს განესაზღვრათ ნივთიერება 10^{-6} – 10^{-7} და უფრო ნაკლები პროცენტული შემცველობით. მაშინ გახდა ცნობილი, რომ ცოცხალ ორგანიზმში შედის მენდელეევის ტაბულის თითქმის ყველა ელემენტი და ისინი აქ იმყოფებიან სწორედ გაზნევის მდგომარეობაში. ანალიზის მეთოდები გვიჩვენებენ, რომ მიკროელემენტები შედიან ადამიანის ორგანიზმის ძირითადი ორგანოების ფორმის მიმცემი სამშენებლო ცილების დიდ მოლეკულებში. მაგ. ტვინში - 15-მდე მიკროელემენტი, სისხლში - 24-ზე მეტი. მეცნიერები ვარაუდობენ არა მარტო ქიმიური ელემენტების გაზნეული ფორმით არსებობას, არამედ მათი შეთანხმების ფორმასაც ანუ ნივთიერების სტრუქტურასაც.

აქედან გამომდინარეობს ჰომეოპათიის მეორე დებულება, რომ წამლის ეფექტი იზრდება დოზის შემცირებისას, თვით 1:1 -ზე 60 წულით. ასეთი წამალი ინიშნება 2-3-ჯერ დღეში 1-2 და მეტი თვის განმავლობაში. ჰომეოპათები თვლიან, რომ სწორედ ასე შეიძლება ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმისათვის საჭირო მიკროელემენტების კონცენტრაციამდე მიყვანა. ამ მიკროდოზების შემცველი მიკროელემენტების წამლის ფორმების საშუალებით შეიძლება აღდგეს სხვადასხვა დაავადებებით გამოწვეული უძლიერესი რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებები *in vivo*.

ჰომეოპათიაში ავადმყოფობა განიხილება, როგორც მიკროელემენტების თვისობრივი და რაოდენობრივი ცვლილებების გამოწვევი მიზეზი ცოცხალ ორგანიზმში. ეს საინტერესო მიზეზ-შედეგობრივი დიალექტიკური კავშირია.

სწორედ ცოცხალი ორგანიზმების ქიმიური შემადგენლობის მსგავსებამ გამოიწვია მცენარეთა ფართო გამოყენება ჰომეოპათიაში, გამონაკლისს არც ცხოველური ნედლეული შეადგენს. იყენებენ ველურადმოზარდ მცენარეებს, ვინაიდან მათი სამკურნალო პოტენციალი მაღალია. გამოყენებულია ბუნებრივი მინერალებიც; მათში კი ყოველთვის არსებობს სხვა ელემენტა კვალი (იხილე ტექსტში ქვახვითოს შესახებ), რასაც აქვს დიდი მნიშვნელობა.

ჰომეოპათიის ფილოსოფია იყო და არის იდეალისტური. თუნდაც ასე იყოს, თვლის პროფ. ქ. ბარამიძე, ეს არასგზით არ ვნებს ავადმყოფობისა და დაავადების მთლიანობის აღქმას. ფიზიკური ტანჯვა ხომ ყოველთვის განიხილება ფსიქიურთან ერთობლიობაში.

მცირე დოზების მექანიზმის ასახსნელად ჰომეოპათიის მომხრეები იყენებდნენ არნდტ-შულცის კანონს, რომლის თანახმადაც სუსტი გაღიზიანებები აძლიერებენ ბიოლოგიურ მოვლენებს. შესაბამისად, წამლის მცირე დოზები აღაგზნებენ ორგანოსა და ორგანიზმს, ძლიერნი კი

- ადამბლავებენ. თუმცა არნდტ-შულცის კანონიც არ არის უნივერსალური. გამდიზიანებელ ძალასა და ცოცხალი უჯრედის ან მთელი ორგანიზმის საპასუხო რეაქციას შორის არსებობს რთული დამოკიდებულება. დღეს არსებობს ალტერნატიული მოსაზრებების სიმრავლე და მათი დასაბუთების მთელი სისტემა.

ადამიანის ორგანიზმი ურთულესი სივრცული ორგანიზაციაა. ყველაფერი, რაც ეხება თვითორგანიზაციასა და თვითრეგულაციას, ჩაწერილია გენებში. ფსიქოფიზიოლოგიების, ბიოფიზიკოსების და სხვა სპეციალისტების აზრით, ადამიანის ორგანიზმი შეუძლებელია არსებობდეს მთლიანი კონტროლის გარეშე.

სულ რამდენიმე ათეული წელია არსებობს საგნის მოცულობითი გამოსახულების მიღების მეთოდი - ჰოლოგრაფია (ბერძნ. Holos - მთლიანი, Graphos - წერა). იგი ეფუძნება ინტერფერენციის მოვლენას. ინტერფერენცია არის მოვლენა, რომელიც შეინიშნება კოჰერენტული (სინათლის, ზგერის და სხვა) ტალღების შეკრების დროს: ხდება სივრცის ერთ წერტილში ტალღების გაძლიერება და მეორეში მათი შესუსტება მაინტერფერირებელი ტალღების ფაზათა სხვადასხვაობას-თან დამოკიდებულებაში.

მოცულობითი გამოსახულების მიღება ხდება სინათლის ორი - ერთი სინათლის წყაროდან, მეორის - საგნიდან, გამოსული სხივის დასხივებით ჰოლოგრამაზე იგივე სიგრძის ტალღის სინათლით, რაც აქვს საყრდენ სხივს. სინათლის დიფრაქციის შედეგად წარმოიშობა მოცულობითი გამოსახულება, გარკვეულ პირობებში ფერადიც კი. არსებობს ოპტიკური და აკუსტიკური ჰოლოგრაფია. ერთი და იგივე წყაროდან (ლაზერიდან) ორი სხივის - საგნის მიერ არეკლილისა და პირდაპირ სინათლის წყაროდან წამოსულის (საყრდენი სხივის) ინტერფერენციის მოვლენა შეიძლება დარეგისტრირდეს ფირზე სურათის სახით. საგნის ამ დეტალურ გამოსახულებას **ჰოლოგრამა** ეწოდება.

შეიქმნა ადამიანის ბიოჰოლოგრაფიული მოდელი, რომლის თანახმადაც ადამიანის აზროვნება, მახსოვრობა და სხვა მოვლენები, ხორციელდება არა თავის ტვინის სტრუქტურულ დონეზე, არამედ იმ ველის დონეზე, რომელიც ჰოლოგრაფიულ დამოკიდებულებაშია ადამიანის ტვინთან. ეს მოდელი დასაბუთებულია მათემატიკურად. ჰოლოგრაფია ამ ბოლო წლების მონაპოვერია. ჰოლოგრამის გადაღება ხდება ფოტოფირზე. თუ დავჭრით ფირს და მის რომელიმე ნაწილს დავასხივებთ პირდაპირ სინათლის წყაროდან წამოსული სინათლის სხივს, ობიექტი მაინც მთლიანი გამოჩნდება - არ მოხდება გადაღებული ჰოლოგრამის დანაწევრება. ამ მოვლენას ჰოლოგრაფიული განაწილება

ეწოდება. ეს არის ინფორმაციის ჩაწერის ყველაზე კომპაქტური ხერხი. სავარაუდოა, რომ მას ბიოლოგიური ორგანიზაციაც იყენებდეს და ამ ბიოჰოლოგრაფიული მექანიზმებით მართავდეს და აკონტროლებდეს თავის მთლიანობას.

ჯანმრთელობა, ავადმყოფური მდგომარეობა, ადაპტაცია ბიოჰოლოგრაფიული მოდელის მიხედვით სხვადასხვა მდგომარეობაა. კერძოდ, ჯანმრთელობა წონასწორობაა სრული კონტროლის არსებობით, ავადმყოფობა - კონტროლის მთლიანად დაკარგვა, ხოლო ადაპტაცია - ბრძოლა კონტროლის შესანარჩუნებლად.

ვარაუდობენ, რომ მაღალპოტენცირებული ჰომეოპათიური პრეპარატები კორექციას უკეთებენ ორგანიზმის მთლიან ჰოლოგრაფიულ ფორმას და ამყარებენ ჰარმონიას ფიზიკურსა და ბიოჰოლოგრაფიულ ფორმებს შორის (თ. ალაშვილი).

როგორც აღვნიშნეთ, ჰომეოპათია არის მარეგულირებელი თერაპია, რომლის მიზანია თვითრეგულაციის პროცესებზე ზემოქმედება ავადმყოფის რეაქციის გათვალისწინებით და მკაცრად ინდივიდუალობის პრინციპით შერჩეული წამლებით.

ჰომეოპათიაში გამოყენებული პრეპარატები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. პირველ ჯგუფში შედიან პრეპარატები, რომლებშიც სამკურნალო ნივთიერება იმყოფება თუნდაც ზემცირე, მაგრამ მაინც რეალური მატერიალური კონცენტრაციით. ამ ჯგუფის პრეპარატებისათვის ო. ი. ეპშტეინმა მოგვაწოდა სპეციალური ტერმინი „ბიპათია“. მეორე ჯგუფში შედიან მაღალი განზავების პრეპარატები, რომლებშიც სამკურნალო ნივთიერების მოლეკულები არ არის.

თუ გავანალიზებთ ჰომეოპათიურ პრეპარატებს ენერგოინფორმაციული პოზიციიდან, უფრო გასაგები გახდება ჰომეოპათიური მკურნალობის ეფექტურობა. ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებები არიან ინფორმაციის მატარებლები და თავიანთ მცირე დოზებში შეიცავენ ენერგიის ულუფას, რომელიც კმარა ორგანიზმის მთელი მარეგულირებელი სისტემის მოძრაობაში მოსაყვანად.

საწყის ხსნარებში იმყოფება აქტიური სამკურნალო ნივთიერება, რომელსაც აქვს სპეციფიკური ენერგოსტრუქტურა და იგი განსაზღვრული სახით ახდენს გამხსნელის ენერგოსტრუქტურის კოდირებას. თანმიმდევრული მრავალჯერადი განზავებისა და პოტენცირების (ნჯღრევის) დროს სამკურნალო ნივთიერების ენერგეტიკული კოდი გამხსნელის (წყლის, წყალ-სპირტის ნარევის) ან მყარი მატარებლის (რძის შაქრის, შაქრის) შემდეგ ულუფას გადაეცემა.

არის თუ არა ბოლო განზავებაში სამკურნალო ნივთიერება, ამას აღარ აქვს პრინციპული მნიშვნელობა, რადგან სამკურნალო მოქმედება ვლინდება ენერგოსტრუქტურული კოდით, რომლის მატარებელია გამხსნელი (ან მყარი მატარებელი) ნივთიერება. სამკურნალო ნივთიერების ენერგოსტრუქტურის კოდი ინარჩუნებს საწყის მნიშვნელობას ნებისმიერ განზავებაში, თვით ყველაზე მაღალ განზავებაში და მყარ ან თხევად არეში სამკურნალო ნივთიერების არარსებობის დროსაც კი.

ნივთიერების გახსნისა და ხსნარის შენჯღრევის დროს წყლის მოლეკულები განლაგდებიან გასახსნელი ნივთიერების მოლეკულათა ველში განსაზღვრული - კლასტერული წესრიგით და თითქოსდა იმ-ხსოვრებენ რაღაც ინდივიდუალურ ინფორმაციას ამ ნივთიერების შესახებ.

მომდევნო განზავებებისას (პოტენციები C12, D24 და ზემოთ), საწყისი ნივთიერების მოლეკულები უკვე აღარ არსებობენ, ნივთიერებათა შემცველობა უფრო მცირეა, ვიდრე ერთი მოლის მასა ($N = 6.10^{23}$ მოლეკულა). კლასტერები ინარჩუნებენ თავიანთ სტრუქტურას და ინფორმაციას თითქმის არარსებულ ნივთიერებაზე. ამ დროს სამკურნალო ეფექტი ნარჩუნდება და ხშირად იზრდება კიდევ.

მრავალი სწავლული, რომლებიც მკურნალობის ჰომეოპათიური მეთოდის თეორიით არიან დაკავებული, ადამიანის ორგანიზმს განიხილავს, როგორც ერთიან ინფორმაციულ-ენერგეტიკულ სისტემას, ხოლო ჰომეოპათიურ საშუალებებს, როგორც ამ სისტემის რეგულატორებს და როგორც ბიოლოგიური მოქმედების მქონე ინფორმაციულ-ენერგეტიკულ კომპლექსებს, რომლებსაც აქვთ უნარი თვით ამ ნივთიერების არარსებობის დროსაც კი ბიოლოგიური მოქმედება გადაიტანონ ერთი მატარებლიდან მეორეზე.

ამ წარმოდგენების განვითარებას ხელი შეუწყო ულტრამოლეკულური ხსნარების თვისებების გამოკვლევამ, ბიოველის თეორიის განვითარებამ, ბიოპლაზმის ჰოლოგრაფიული თვისებების დადგენამ, ნერვულ და ჰუმორულ სისტემებთან ერთად ორგანიზმის მმართველი ლაზერული ბიოველების რეგისტრაციის შესაძლებლობამ და მრავალმა სხვა თანამედროვე გამოკვლევებმა.

ჰომეოპათიური პრეპარატების მოქმედების თეორიული საფუძვლების შესწავლაში დიდი წვლილი შეიტანა ფრანგმა სწავლულმა ჟ. ბენვენისტმა, რომელმაც ამ ბოლო წლებში გვიჩვენა და დაასაბუთა ჰომეოპათიური პრეპარატების განსაკუთრებული თვისებები, მათი პროტექტორული (დამცავი) შესაძლებლობები. ჟ. ბენვენისტმა ამასთანავე გამოავლინა გარემო ფაქტორები, რომლებიც უარყოფით ზეგავლენას ახდენენ

ჰომეოპათიური პრეპარატების შენახვაზე (გაცხელება, სხივური ენერგია და სხვა).

ჰომეოპათიური პრეპარატების ეფექტურობა ჟ. ბენვენისტმა დაასაბუთა წყლის განსაკუთრებული თვისებებით, რომლის სტრუქტურას აქვს უნარი გადასცეს არა მხოლოდ ხსნარების თვისებები, არამედ ინფორმაციაც. ამ თვისებას წყლის ელექტროინფორმაციულობა ანუ წყლის მეხსიერება ეწოდება. საქმე დასაბუთება იყო, თორემ წყლის ელექტროინფორმაციულობაზე ჯერ კიდევ 150 წლის უკან იცოდნენ ტიბეტურსა და მრავალი სხვა ქვეყნის მედიცინაში.

ამჟამად წარმოებს ადამიანის ორგანიზმის ბიოლოგიური სითხეებისა და ჰომეოპათიური პრეპარატების ენერგოინფორმაციულობის გამოკვლევა კრისტალოგრაფიის მეთოდით (ვორობიევი ა. ვ., ვორობიევა ვ. ა., ზამარენკო ნ. ა. და სხვები, 2002 წელი).

ფ. რ. ჩერნიკოვმა 1985 წელს დაამუშავა მოლეკულური ფლუქტუაციული შუქგა(ნ)ბნევის მეთოდი, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდა ჰომეოპათიური პრეპარატის ფიზიკური არსის შეფასება.

ვ. ნ. სოროკინმა 1995 წელს განავითარა და დაასაბუთა ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებების წარმოქმნის პროცესების თეორია პროტონული ტრანსპორტის საფუძველზე. ამ თეორიის თანახმად, პროცესების არსი მდგომარეობს პროტონების გადატანაში სამკურნალო ნივთიერების მოლეკულიდან წყლის მოლეკულაზე. ამ დროს სამკურნალო ნივთიერების მოლეკულების მახასიათებლები გადაიტანება გამხსნელის მოლეკულაზე, ხოლო თვით მოლეკულა ჩამოშორდება არეს განზავების პროცესში.

1995-2003 წლებში ნ.ი. სინიციანის. ვ. ა. ელკინის, ე. კ. ლიაპინის და სხვათა მიერ შემოთავაზებული იყო ტრანსრეზონანსული რადიოსპექტროსკოპიის მეთოდი, რამაც გამოავლინა წყლისა და რძის შაქრის ხსნარების ფარული სტრუქტურულ-ტალღოვანი მახასიათებლების ცვლილებები ჰომეოპათიურ პრეპარატებში მათი შეყვანის დროს. გამოკვლევის შედეგები ფართო პერსპექტივებს შლიან ბიოლოგიური ობიექტების მიერ ჰომეოპათიური ინფორმაციის აღქმის მექანიზმების და მათზე ბიორეაქციების გასაგებად, ამასთანავე, ჰომეოპათიური პრეპარატების სტანდარტიზაციის მეთოდების შესამუშავებლადაც.

ამ თეორიის განვითარებითა და მისი ექსპერიმენტული დადასტურებით არაა გამორიცხული უახლოეს ხანებში ჰომეოპათიის თეორიული საფუძვლების შექმნის შესაძლებლობა, რაზეც მეცნიერები მუშაობენ.

2. 3. ჰომეოპათიის ძირითადი მიმართულებები

ჰომეოთერაპიის ძირითადი მიმართულებებია:

კლასიკური ჰომეოპათია. მედიკამენტები შეირჩევა მსგავსების კანონთან ზუსტი შესაბამისობით *Similia similibus curentur*, რომელიც ს. ჰანემანმა ჩამოაყალიბა, როგორც კლასიკური ჰომეოპათიის საფუძველი [Hahnemann ხოხმეტერი 1989]. თითოეული ჰომეოპათიური მედიკამენტის თერაპიული პროფილი ეფუძნება ჰომეოპათიური საშუალების გამოცდას ჯანმრთელ მოხალისეებზე და წარმოადგენს კლასიკური ჰომეოპათიის **პირველ ფუნდამენტურ წესს**. აძლევენ აქტიურ სუბსტანციებს დროის განსაზღვრული შუალედით. ამ დროს გამოვლენილი ყველა სიმპტომი რეგისტრირდება და მოდის სისტემაში. ეს მონაცემები ქმნიან ჰომეოპათიური წამლის სიმპტომურ ე. წ. სურათს.

კლასიკური ჰომეოპათიის **მეორე ფუნდამენტური წესი** ეხება თითოეული პაციენტის მიერ წარმოდგენილ სიმპტომთა ზუსტ უნიკალურ ერთობლიობას ავადმყოფის ისტორიის დეტალური ფიზიკური, გონებრივი და ემოციური სიმპტომების მხედველობაში მიღებით. ამ ჰოლისტიკური ჰომეოპათიური პროცედურის მიზანია არა მხოლოდ ზუსტი დიაგნოზის დასმა, არამედ მსგავსების კანონის თანახმად, შესაბამისი მედიკამენტის სწორად შერჩევა. ესაა კლასიკური ჰომეოპათიის **მესამე ფუნდამენტური წესი**. ამ მიზნით, ექიმი ვალდებულია ყურადღება გაამახვილოს პაციენტის ინდივიდუალურ, ფარულ და უცნაურ სიმპტომებზე. სწორედ ამიტომაც, კლასიკურ ჰომეოპათიაში გამოიყენება მხოლოდ ერთეულოვანი კომპონენტები, რომლებიც მსგავსების კანონის შესაბამისად შეირჩევა (ვინსტერი - 1987; კოხლერი - 1994).

კლინიკური ჰომეოპათია. ჰომეოპათიის ეს მიმართულება ახდენს სხვადასხვა კლინიკური ნიშნების ანუ „საიმედო სიმპტომების“ საფუძველზე გამოცდილებით სწორი დანიშნულების მიცემას მწვავე დაავადების დროს (Dorsi -1970, Eichelberger -1994). ეს არის ე.წ. „შემოკლებული მეთოდი“. კლინიკურ ჰომეოპათიაში კონსტიტუციურ მახასიათებლებს პრეპარატის შერჩევისას მეორეხარისხოვანი როლი ენიჭება.

ჰომეოპათია კომპლექსური პრეპარატებით. კომბინირებული პრეპარატები წარმოადგენენ ორი ან მეტი მდგრადი, აქტიური ჰომეოპათიური კომპონენტის (ცალკეული სუბსტანციების) ნარევს. კომბინირებული პრეპარატების რეცეპტები შემუშავდება მოქმედი პრაქტიკოსი ექიმების

კლინიკურ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქ მოქმედებს კუმულაციის და/ან სინერგიზმის მოვლენა. პრეპარატები გამოიყენება კლინიკური სიმპტომების შესაბამისად (Ersfeld – 1991).

ჰომოტოქსიკოლოგია და ანტიჰომოტოქსიკური თერაპია.

სიცოცხლის ყველა გამოვლინება განისაზღვრება ქიმიური ნივთიერებების გარდაქმნებით მიუხედავად იმისა, ფიზიოლოგიურია ეს გამოვლინება, თუ პათოლოგიური. ანუ სხვა სიტყვებით, ყველა სასიცოცხლო პროცესი ქიმიურ და ბიოქიმიურ კანონებს ემორჩილება. 1955 წელს Reckeweg-მა ტერმინით „ჰომოტოქსიკოლოგია“ გააერთიანა ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატებით მკურნალობის მეცნიერული საფუძვლები, ამ აზრს ავითარებს აგრეთვე John (1991 წ.). რეკვეგის მიერ ჰომოტოქსიკოზად წოდებული დაავადება, ყველა პათოლოგიური პროცესი და ჰომეოსტაზის დარღვევა, გამოწვეულია ტოქსინებით. რეკვეგმა მათ „ჰომოტოქსინები“ ანუ ადამიანის შხამები უწოდა. ჰომოტოქსინები შეიძლება წარმოიშვან ორგანიზმში (მათ ეწოდება ენდოტოქსინები) ან შემოვიდნენ გარედან (მათ ეწოდება ეგზოტოქსინები). ისინი არღვევენ ფიზიოლოგიურ წონასწორობას და მოქმედებენ ორგანიზმის დამცავ რეაქციებზე. სხვა სიტყვებით, დაავადება არის ადამიანის ორგანიზმის ტოქსინებისაგან მიზანდასახული თავდაცვის ბიოლოგიური გამოხატულება.

Bertalanffy (1932) ადამიანის ორგანიზმს განიხილავს, როგორც დენად სისტემას. ბალანსის ანუ ჰომეოსტაზის მდგომარეობა ამ სისტემაში ირღვევა დაავადების დროს. ანტიჰომოტოქსიკური მკურნალობის მიზანია დეტოქსიკაცია, მოცილება ან დეპონირება, რათა შენარჩუნდეს ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობა, შეძლებისდაგვარად ექსტენსიურად (ბიოლოგიური მიზანდასახულობის პრინციპი. Reckeweg 1981).

კლასიკურ ჰომეოპათიაში გამოყენებული ცხოველური, მცენარეული და მინერალური წარმოშობის აქტიური კომპონენტების გარდა, ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატები აგრეთვე შეიცავენ ნოზოდებს, ქსოვილებს და/ან ორგანოპრეპარატებს, სინთეზურ ნივთიერებებს, ვიტამინებს, მიკროელემენტებს და სხვა (Shmid1996). რეკვეგის მიერ ანტიჰომოტოქსიკური პრეპარატები მოხსენიებულია, როგორც ანტიჰომოტოქსიკური ბიოთერაპევტიკები.

ანტიჰომოტოქსიკურ პრეპარატებში ხშირად გამოიყენება ეგრეთ წოდებული, პოტენციების აკორდები. ეს არის ერთ გალენურ წამლის ფორმაში გაერთიანებული ერთი და იგივე აქტიური კომპონენტის სხვადასხვა პოტენციების ნარევები. ასეთი პოტენციების მიზანია,

გააქტიუროს თერაპიული ეფექტი და გააუმჯობესოს მათი გადატანისუნარიანობა (Reckeweg 1981).

იზოპათია ჰომეოპათიის თერაპიული მიმართულებაა; იგი მოქმედებს თეორიით: „თანაბარი იკურნება თანაბრით“ – Aequalia aequalibus curentur. იზონი (ტერმინი პირველად იხმარა Gohrum 1904 წ.) გამოიყენება არა მხოლოდ დაავადების განსაკურნად, არამედ ორგანიზმის დასაცავად და გასამდიერებლად. იზოპათიური მიდიკამენტები იყოფა სამ კატეგორიად: ა) იზოპათიური პრეპარატები ვიწრო გაგებით, 2) იზოპათიური პრეპარატები ფართო გაგებით და გ) ორგანოპრეპარატები (Gohrum 1904, Brutzen 1852).

პირველი მოიცავს უშუალოდ განსაკურნავი დაავადების გამომწვევ პათოგენურ სუბსტანციებს. ამის მაგალითია ამაღამა-ექსპულსიური თერაპია, რომელიც ხდება D12 და უფრო მაღალპოტენციურებული ამაღამების გამოყენებით.

მეორე მოიცავს პათოგენურ სუბსტანციებს, რომლებიც სტიმულს აძლევენ ორგანიზმის რეაქციულ პროცესებს. ეს არის არაპირდაპირი მოქმედება და მისი მაგალითია ჰომეოპათიურად მომზადებული ვაქცინები.

ანთროპოსოფიული მედიცინა. რუდოლფ შტაინერის (Rudolf Steiner 1861-1925) მიერ დაარსებული ანთროპოსოფია (ბერძნ.: ანთროპოს - ადამიანი, სოფოს - სიბრძნე) არის სულიერი მეცნიერება. ანთროპოსოფიული მედიცინა შემოქმედებითი მკურნალობისას ადამიანის ორგანიზმს განიხილავს, როგორც მთლიანს (Glockler 1993).

ანთროპოსოფი ექიმი ჯანმრთელობის, დაავადებისა და მკურნალობის შეფასებისას ეფუძნება აზრს, რომ ადამიანის არსება ოთხი ელემენტისაგან შედგება: ფიზიკური სხეული, სასიცოცხლო ძალების ორგანიზება, გრძნობების ორგანიზება სულში და „მე“-ს (ეგო-ს), სულიერების ორგანიზება.

ბიოქიმია შუსლერის (Schussler 1933) თანახმად.

შუსლერს ჰქონდა მრავალწლიანი ჰომეოპათიური პრაქტიკა. მან განავითარა თეორია იმის შესახებ, რომ დაავადება არის სხეულში უჯრედული მინერალური ბალანსის დარღვევა. ჰანემანის მსგავსად ისიც განიხილავდა ამ მკურნალობას, როგორც მასტიმულირებელ თერაპიას. აქაც გამოიყენება პოტენციურებული წამლის ფორმები.

სპაგაირიკული თერაპია კრაუს-ციმპელის თანახმად.

ეს ტერმინი არსებობს პარაცელსის დროიდან. სპაგაირიკული, სპაგირი-რული წარმოდგება ბერძნული ზმნებისაგან Span - დაყოფა და ageirin - გაერთიანება. ამ ორი ფუნდამენტური ალქიმიური მოქმედებით იქმნება

მაღალეფექტური პრეპარატი: ჯერ აუცილებელ ნაწილებს გამო-
აცალკევებენ გაუსუფთავებელი მასალისაგან, ხოლო შემდეგ შეაერთებენ,
რათა მიიღონ გაუმჯობესებული სამკურნალო პრეპარატი (Helmstadter
1990). ამ პრეპარატების ნედლეული მხოლოდ მცენარეული წარმო-
შობისაა. წარმოების ტექნოლოგიის მიხედვით სპაგირიზმში განასხვავებენ
კრაუზის, ციმპელის, პეკანისა და სტრატმაიორის მეთოდებს. კრაუზი
გამოიყენებდა მე-4 - მე-10 ათობით პოტენციებს, მისგან განსხვავებით,
ციმპელი „დედა ნაყენებს“ ამზადებდა ერთეულოვანი, სპაგირიკული
ეთერზეთებისაგან.

ჰემოთერაპია დააფუძნა Henri- მ ბრიუსელში. ჰომეოპათიური
პრეპარატები მზადდება მცენარეული ჩანასახების მაცერაციით. ახალ-
გაზრდა ქერქი, ფესვი, ფესვაკი და ყლორტი მაცერირდება გლიცერინით.
ნედლეული მდიდარია ზრდის ფაქტორებით - ჰორმონებით (auxins) და
გიბერელინებით (gibberellins). გლიცერინიანი მაცერატი გამოიყენება D1
პოტენციაში. თითოეულ ჩანასახოვან მცენარეულ ქსოვილს მსგავსება აქვს
გარკვეულ ორგანოსთან. ისინი ააქტივებენ ორგანოების წმენდას და ხელს
უწყობენ ორგანიზმის დეტოქსიკაციას.

ლითოთერაპია არის ბუნებრივი ქვებითა და მინერალებით
მკურნალობა. ისინი გამოიყენება ჰომეოპათიურ განზავებულ ფორმებში,
ძირითადად D8 პოტენციაში. მაგალითად, ოსტეოპოროზის მკურნალო-
ბისას გამოიყენება კვადრატული მინდვრის შპატი და არა ტრიკლინური,
ან აპატიტი, რადგან მისი კრისტალური სტრუქტურა მიზანმიმართულია
ანალოგიური სტრუქტურის ხელატურ კომპლექსზე. მისი მეშვეობით და-
ვადებულის ორგანიზმიდან გამოიყოფა ხელატური კომპლექსები და
გამოთავისუფლდება ლითონური იონები.

მინერალები იყოფა: მაგმურ, დანალექ (სედიმენტურ) და მეტამორ-
ფულ ქვებად. მაგმურ ქვებს მსგავსება აქვთ გულთან, ფილტვებთან, სი-
სხლძარღვოვან სისტემასთან; სედიმენტურ ქვებს - თირკმელებთან,
კანთან; მეტამორფულ ქვებს - ღვიძლთან, ელენთასთან, ძვლებთან,
კუნთებთან (Tetau 1978) და ა. შ..

რეზონანსული ჰომეოპათია.

რეზონანსი ბუნებრივი ფიზიკური პროცესია. იგი წარმოადგენს
თანხვედრილ რხევებს (Sonanse) ან იმ სისტემების ინტენსიურ თანაოს-
ცილაციას, რომელთა საკუთარი რხევები (ვიბრაცია) მსუბუქად
სუსტდება - ეს თანხვედრილი ოსცილაცია წარმოიშობა შედარებით სუს-
ტი გარე ძალებისაგან, რომლებსაც აქვთ ისეთივე ან თითქმის ისეთივე
სიხშირე, როგორც თვით სისტემას. ზოგიერთი ნივთიერება იწვევს
რეზონანსს ცალკე ან სამკომპონენტთან კომბინაციაში. აღმოჩენილია

რეზონანსული ურთიერთქმედება ერთეულ ჰომეოპათიურ პრეპარატებსა და მიკროორგანიზმებს, სოკოვან ორგანიზმებსა და ვირუსებს შორის. მეორეს მხრივ დადგინდა, რომ სოკოვანი და ვირუსული დაავადებები შეიძლება D6, D12 პოტენციებით, ხოლო ოპტიმალურად D8 პოტენციის საშუალებით განიკურნოს (Schimmel 1992).

ყველა ეს მიმართულება გამოყენებულია თანამედროვე ჰომეოპათიაში ევროპის ქვეყნებსა და მთელს მსოფლიოში.

2. 4. ნორმატიული დოკუმენტაცია ჰომეოპათიურ ფარმაციაში, სახელმწიფო რეგლამენტაცია და საერთაშორისო ორგანიზაციები

ჰომეოპათიური პრეპარატების მომზადებაში ძირითადი სახელმძღვანელო დიდი ხნის განმავლობაში იყო ვ. შვაბეს „სახელმძღვანელო ჰომეოპათიური წამლების მოსამზადებლად“, რომელსაც ზოგჯერ ჰომეოპათიურ ფარმაცოპეასაც უწოდებდნენ. მის ზოგად ნაწილში მოცემულია ჰომეოპათიური ფარმაციის დახასიათება, ჰომეოპათიური პრეპარატების დამზადებისა და გამოკვლევის მეთოდები. კერძო ნაწილში წარმოდგენილია ძირითადი და დამხმარე საშუალებები; სახელმძღვანელოს სპეციალურ ნაწილში მოთავსებულია 514 სამკურნალო საშუალება.

ყოველი საშუალების აღწერა იწყება მისი სარეცეპტურო დასახელებით ლათინურ ენაზე. წიგნის გამოყენებისა და თარგმნის დროს სასურველია მშობლიურ ენაზე დასახელების მითითება, რადგან აფთიაქიდან გაშვებულ პრეპარატებზე ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა მოითხოვს წარწერას მშობლიურ ენაზე - გასაგებად. შემდეგ ამას მოჰყვება: შემადგენელი საწყისი ნივთიერებების დასახელება, სინონიმები, მცენარის ოჯახი, მოქმედი საწყისის ფორმულა, მოლეკულური მასა იქ, სადაც ეს შესაძლებელია. ეს აუცილებელია, რადგან ხშირად სარეცეპტურო დასახელება არ შეესაბამება მის ბოტანიკურ თუ ქიმიურ დასახელებას.

ჰომეოპათიურ საშუალებათა აღწერისას მითითებულია გავრცელებისა და კულტივირების ადგილი და მომზადების ხერხი. ადაპტირებულ თარგმანში გათვალისწინებული უნდა იქნეს და აღიწეროს ვ. შვაბეს „ფარმაცოპეიდან“ რომელი საშუალებებია მოქმედ სახელმწიფო ფარმაცოპეაში, რომელი ნაწილები გამოიყენება, უნდა მიეთითოს შეგროვების დროც.

ამის შემდეგ მოდის წამლის ფორმის დასახელება, მითითებები მის მომზადებაზე, მოყვანილია ანალიზის მეთოდები, გამოყენებული განზავებები და სტანდარტი.

სანამ ეროვნული **ჰომეოპათიური ფარმაცოპეა** შეიქმნებოდა, ეს სახელმძღვანელო გამოსადეგი იყო ყველა ქვეყნისათვის. მისგან იწერებოდა წამლის ფორმებსა და ცალკეულ პრეპარატებზე ფარმაცევტული სტანდარტები - ფარმაცოპეის სტატიები (თანამედროვე ტერმინოლოგიით, მონოგრაფიები). რიგ ქვეყნებში ამ სტატიებისაგან შეიქმნა ეროვნული ჰომეოპათიური ფარმაცოპეები, რომლებშიც გათვალისწინებულია აგრეთვე თანამედროვე ფარმაცევტული მეცნიერების მიღწევებიც.

XIX- XX სს. მიჯნაზე დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად ჰომეოპათია ამერიკის შეერთებულ შტატებში გადარჩა და განვითარდა. აქ იყო მრავალი ჰომეოპათიური სკოლა, საავადმყოფო და აფთიაქი. აშშ-ს აქვს საკუთარი ჰომეოპათიური ფარმაცოპეა (HPUS, 1982 წ. დამატებებით 1989-1995 წლებში). აქვე შეიქმნა HPCUS - შეერთებული შტატების ჰომეოპათიური ფარმაცოპეის გაერთიანება და მისი საბჭო სარევიზიო და სტანდარტების კომიტეტებით. 1993 წლის მარტში დაარსდა E.A.C.H.- ევროპულ-ამერიკული ჰომეოპათიური კოალიცია ანუ ჰომეოპათიურ ფარმაცევტულ კომპანიათა საერთაშორისო ასოციაცია. მასში გაერთიანებულია შემდეგი ქვეყნების კომპანიები: ავსტრია, აშშ, ბელგია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ისრაელი, კანადა, ესპანეთი, კოლუმბია, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, საფრანგეთი, ფინეთი. აშშ-ში არსებობს ამერიკის ჰომეოპათ-ფარმაცევტთა ასოციაცია - AAHP. ყველა მათგანის ამოცანაა ჰომეოპათიის პოპულარიზაცია. ჰომეოპათია ისწავლება უნივერსიტეტებში, კოლეჯებში, შესაძლებელია - კურსებზეც. აშშ ფარმაცევტთა ჰომეოპათიურ ასოციაციაში გაერთიანებულია 7 ფარმაცევტული ლაბორატორია. გამოიცემა სამი ჰომეოპათიური ჟურნალი.

არსებობს ფარმაცევტული ჰომეოპათიის საერთაშორისო კომიტეტი, ევროპაში შექმნილია EANM - ნატურალურ მედიკამენტთა ევროპელი მწარმოებლების ასოციაცია, ჰომეოპათიის ევროპული კომიტეტი ECH.

ჰომეოპათიის სამშობლოში, გერმანიაში, პირველად შეიქმნა ოფიციალური **გერმანული ჰომეოპათიური ფარმაცოპეა HAB (ანუ GHP 1978 წ. და დამატებები 1981-2001წწ.)**. აქ არსებობს ექიმ-ჰომეოპათთა გერმანიის ასოციაცია, გერმანიის ფარმაცევტულ მწარმეთა ფედერალური ასოციაცია BPI და მისი ჰომეოპათიის კომიტეტი.

დიდ ბრიტანეთში ჰომეოპათია ბრიტანეთის გვირგვინის დაცვის ქვეშაა. ლონდონში ფუნქციონირებს ბრიტანეთის პარლამენტის მიერ 1850

წელს დაარსებული ლონდონის უნივერსიტეტის ჰომეოპათიური ფაკულტეტი. აქ გამოიცემა ჟურნალი „ბრიტანეთის ჰომეოპათია“. 1993 წელს გამოიცა ოფიციალური ბრიტანული ჰომეოპათიური ფარმაცოპეა BHP .

საფრანგეთი ერთ-ერთი ქვეყანაა, რომელსაც აქვს ოფიციალური ფრანგული ჰომეოპათიური ფარმაცოპეა PhF; იგი 1995 წელს გამოიცა.

ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობა, რომელთაც არა აქვთ საკუთარი ჰომეოპათიური ფარმაცოპეა, სარგებლობენ ოფიციალური გერმანული ჰომეოპათიური ფარმაცოპეით (**HAB=GHP** – German Homeopathic Pharmacopoeia); იგი შედგება შესავლისა და 5 თავისაგან.

პირველი თავი შეიცავს ზოგად მითითებებს, გამოყენებული ტერმინების განსაზღვრას, ძირითადი აბრევიაციებისა და სიმბოლოების ჩამონათვალს; შენახვის წესებს: გამოყოფილია სამკურნალო საშუალებების ორი ჯგუფი - სიფრთხილით შესანახი და განსაკუთრებული სიფრთხილით შესანახი.

მეორე თავში მოცემულია ზოგადი მეთოდები, სადაც აღწერილია აპარატები, ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები, როგორიცაა, მაგალითად, „დედა ტინქტურებისა“ და ხსნარების სუნი, გემო, მყარი ნივთიერების სიმკვრივე, თხელფენოვანი ქრომატოგრაფიის მეთოდი, იზოელექტრული ფოკუსირების მეთოდი, მშრალი ნაშთის განსაზღვრის მეთოდი, აქ არის აგრეთვე ამოცნობის (იდენტიფიკაციის) მეთოდები, ანალიზის ჩატარების ტექნიკა, რაოდენობრივი განსაზღვრის მეთოდები, ბიოლოგიური გამოცდა და ბიოლოგიური სინჯები აღწერილი არაა. ასეთ და სხვა შემთხვევებზე მითითებულია გერმანული ოფიციალური ფარმაცოპეის გამოყენება.

იმვე თავში მოცემულია ფარმაცოგნოსტური ანალიზის მეთოდები, როგორიცაა: მცენარის ან მისი ნაწილის გაშრობისას წონაში დანაკარგის განსაზღვრა, ტესტი „მეთანოლი და 2 პროპანოლი“, პესტიციდის კვალის განსაზღვრა მცენარეული წარმოშობის წამლებში.

მესამე თავი მოიცავს შესაფუთ მასალებს ანუ მასალებს კონტეინერებისათვის; აქ მითითებულია, რომ უნდა ვისარგებლოთ DAB-ით (ოფიციალური გერმანული ფარმაცოპეით).

მეოთხე თავი მოიცავს რეაგენტებს, სტანდარტულ ხსნარებს, ლიმიტ-ტესტებს, ბუფერულ ხსნარებს, ვოლუმეტრიული (მოცულობითი) ანალიზის ტექნიკას, სატიტრაცი ხსნარების პირველადი განსაზღვრის სტანდარტებს.

მეხუთე თავი ეძღვნება ჰომეოპათიური პრეპარატების წარმოების მეთოდებს, რომლებიც იყოფა შემდეგ ნაწილებად:

- ტერმინების განმარტება,

- ნედლეული (ტერმინოლოგია, მცენარეები, ბალახეული წამლები, ცხოველები, ნოზოდები, მინერალური წარმოშობის ნედლეული, არაორგანული და ორგანული სინთეზური ნედლეული,
- გამხსნელები და დამხმარე ნივთიერებები,
- ჰომეოპათიური ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება: ა) ძირითადი დებულებები, ბ) კანონმდებლობა, გ) „დედა ტინქტურებისა“ და მათი თხევადი განზავებების დახასიათება, დ) წარმოების სპეციფიკური მეთოდები.

მოკლედ განვიხილოთ ამ ჰომეოპათიური ფარმაცოპეის ზოგიერთი საკითხი.

ზოგად დებულებებში ნათქვამია, რომ თუ ჰომეოპათიური ფარმაცოპეის პროცედურებსა და მონოგრაფიებში რაიმე საკითხი არაა გაშუქებული, მაშინ ევროპისა და გერმანული ოფიციალური ფარმაცოპეების სპეციფიკაციები - შესაფუთი მასალების, სტანდარტული ხსნარების, საანალიზო რეაქტივების, ბუფერული და მოცულობითი განსაზღვრის ხსნარების, აგრეთვე რეგულაციის შესახებ, წარმოადგენენ საკანონმდებლო დოკუმენტებს ჰომეოპათიისთვისაც.

თუ ზოგად ცნებებში (H1) და ზოგად მეთოდებში (H2) სხვაგვარად არაა აღწერილი, ევროპული, გერმანული და ჰომეოპათიური ფარმაცოპეების მონოგრაფიების რეგლამენტაცია სავალდებულოა ჰომეოპათიური პრეპარატებისათვის. გარდა იმისა, როცა სპეციალურ მონოგრაფიებსა და სტატიებში არაა მოცემული ნორმატივი რაიმე კონკრეტული შემთხვევის შესახებ. ამ შემთხვევებში, ევროპული და გერმანული ოფიციალური ფარმაცოპეების მეთოდის, რეაგენტის, პროცედურის შესახებ იქვე უნდა იქნეს მითითებული ფარმაცოპეის შესაბამისი მონოგრაფიის დასახელება. ყველა სხვა შემთხვევა უნდა იყოს მოცემული ოფიციალურ ჰომეოპათიურ ფარმაცოპეაში ზოგადი ცნებების (H1), ზოგადი მეთოდების (H2) და/ან რეაგენტების (H4) სათაურების ქვეშ.

ჰომეოპათიურ ფარმაცოპეაში აღწერილი სუბსტანციები და პრეპარატები, გამხსნელები და დამხმარე ნივთიერებები, დაკანონებულია H 5.3. - „Vehicles and excipients“ და უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას, რომელსაც ადგენს ევროპის ან გერმანული ოფიციალური ფარმაცოპეის DAB-ის შესაბამისი მონოგრაფიები.

ჰომეოპათიური სამკურნალო პრეპარატის მომზადება უნდა შეესაბამებოდეს მეთოდს, რომელიც აღწერილია განყოფილებაში H5 „ჰომეოპათიური სამკურნალო პრეპარატების მომზადების მეთოდები“. აქ მოცემული პროცედურები და აგრეთვე ჰომეოპათიური ფარმაცოპეის

მონოგრაფიებში მოცემული პროცედურებიც, რომლებიც აღწერენ ნედლეულის გარეგნულ იერსახეს, ხასიათს, „დედა ტინქტურების“, დოზირებული წამლის ფორმების მომზადებას, უნდა მიმდინარეობდეს ამ ძირითადი ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნების სრული დაცვით.

მონოგრაფია მოითხოვს, რომ მცენარეული და ცხოველური ნედლეული, მთლიანი თუ დაწვრილმანებული, არ უნდა იყოს დაზიანებული, რომ არ დაკარგოს თავისი ეფექტი. მონაცემები ნედლეულზე მოცემულია განყოფილებაში „Description“, ჰომეოპათიური ფარმაცოპიის მონოგრაფიაში და სრულად საჭიროებს საიდენტიფიკაციო ტესტს მგრძნობელობაზე, გამოცდას სუნთანობაზე და სხვა.

ჰომეოპათიური ფარმაცოპიის მინერალური წარმოშობის ნედლეულზე მონოგრაფიის სექციაში „Description“ მოცემულია ცნობები სიმკვრივეზე (Mohs scale), რომლებიც საინფორმაციო ხასიათისაა.

თუ ფარმაცოპია მოითხოვს ნედლეულის გამოკვლევას სუნთანობაზე, იყენებენ ჰომეოპათიური ფარმაცოპიის მეორე თავის მითითებებს. იგივე - სუნთანობის გამოკვლევის მეთოდიკა მზა დოზირებულ წამალთფორმებზე, მოცემულია მათსავე კერძო სტატიებში, ნაწილში - Characters და არის საინფორმაციო ხასიათის.

ზოგადი ინფორმაციები მოცემულია ზოგად მეთოდებში H2, „Identificatio“ H2.3.1., „Tests“ H2.4.1., „Analisis“ H2.5.1.. ესენი ვრცელდება ჰომეოპათიური ფარმაცოპიის ყველა მონოგრაფიაზე. ფარმაცოგნოსტური ტესტი „მეთანოლი და 2 პროპანოლი“ (H2.4.), რომელიც ზოგადი მეთოდების ნაწილშია, ასევე ვრცელდება სახელმძღვანელოში მოცემულ ყველა მონოგრაფიაზე.

ჰომეოპათიურ ფარმაცოპიაში განმარტებულია ტერმინები:

დაწვრილმანების ხარისხი და აღნიშნულია, რომ იგი მოწმდება საცრებით, რომელთა ნომერაცია მოცემულია ფარმაცოპიის შესავალში.

ტემპერატურა. ტერმინის რამდენიმე დასაზუსტებელი ცნებაა მოცემული, კერძოდ:

გრილი - 15-დან 25 გრადუსამდე,

ოდნავ თბილი - 25-დან 40 გრადუსამდე,

თბილი - 40-დან 75 გრადუსამდე,

ცხელი - 75 გრადუსზე მეტი.

მხედველობაშია ფარმაცეპტული ნედლეულის თბური დამუშავების ტემპერატურა.

შენახვა.

შენახვა მოცემულია ნორმატიული დოკუმენტის თავში H 1.3.

თუ ჰომეოპათიური ფარმაკოპეის მონოგრაფიაში სხვაგვარად არაა მითითებული, ნედლეული და მისგან მიღებული მესამე ათობითი განზავება, ინახება ორგვარი რეჟიმის დაცვით - იმისდა მიხედვით, რომელ ფარმაკოლოგიურ ჯგუფთან გვაქვს საქმე. ეს რეჟიმებია: 1. შეინახეთ სიფრთხილით და 2. შეინახეთ დიდი სიფრთხილით. ცხრილებში მოგვყავს ეს სიები.

ცხრილი №3

№	შეინახეთ სიფრთხილით	№№	შეინახეთ სიფრთხილით
1	Acidum aceticum	66	Gelsemium sempervirens, aethanol. Decoctum
2	Acidum hexachloroplatinicum	67	Gratiola officinalis
3	Acidum lacticum	68	Gratiola officinalis 3b
4	Acidum nitricum	69	Gratiola officinalis e radice, aethanol. Decoctum
5	Acidum oxalicum	70	Hydrargyrum chloratum
6	Acidum picricum	71	Hydrargyrum sulfuratum nigrum
7	Acidum sulfuricum	72	Hydrastis Canadensis
8	Aconitum napellus	73	Hyoscyamus niger
9	Aconitum napellus Rh	74	Iodum
10	Adlumia fungosa	75	Iuniperus Sabina
11	Adonis vernalis	76	Kalium bichromicum
12	Adonis vernalis ferm. 33d	77	Kalium iodatum
13	Aethusa cynapium	78	Kalium stibiltartaricum
14	Amanita phalloides	79	Labutnum anagiroides
15	Ammonium iodatum	80	aricifomes officinalis
16	Anamirta cocculus	81	Lithium carbonicum
17	Apis mellifica	82	Lobelia inflata
18	Apisinum	83	Luffa vesicatoria-----
19	Apocinum cannabinum	84	Malachite
20	Argentum nitricum	85	Mandragora e radice siccata
21	Arisaema triphyllum	86	Mandragora ethanol. Decoctum
22	Arum maculatum	87	Mucuna pruriens
23	Atropa bella-donna	88	Natrium tetrachlorauratum
24	Atropa bella-donna Rh	89	Nerium oleander
25	Aurum chloratum	90	Nicotiana tabacum
26	Aurum iodatum	91	Oenanthe aquatica
27	Barium carbonicum	92	Paris quadrifolia
28	Barium chloratum	93	Phytolacca americana

29	Barium iodatum	94	Phytolacca americana e baccis
30	Berberis vulgaris	95	Pilocarpus
31	Bromum	96	Plumbum aceticum
32	Bryonia	97	Plumbum metallicum
33	Bryonia cretica ferm. 33b	98	Podophyllum peltatum
34	Cadmium sulfuricum	99	Prunus dulcis var. amara
35	Calcium fluoratum	100	Prunus laurocerasus
36	Cephaelis ipecacuanha	101	Pulsatilla pratensis
37	Cerium oxalicum	102	Ranunculus bulbosus
38	Chamelirium luteum	103	Rauwolfia serpentine
39	Cheiranthus cheiri	104	Sanguinaria canadensis
40	Chelidonium majus	105	Schoenocaulon officinale
41	Chelidonium majus Rh	106	Secale cornutum
42	Cimicifuga racemosa	107	Semecarpus anacardium
43	Colchicum autumnale	108	Simarouba cedron
44	Colchicum autumnale Rh	109	Solanum dulcamara
45	Colchicum autumnale, aeth. Digestio	110	Solanum nigrum
46	Conium maculatum	111	Spigelia anthelmia
47	Convallaria majalis	112	Stibium sulfuratum aurantiacum
48	Creosotum	113	Strontium carbonicum
49	Croton tiglium	114	Strophantus gratus
50	Cuprum aceticum	115	Strychnos ignacii
51	Cuprum oxydulatum nigrum	116	Strychnos nux-vomica
52	Cuprum sulfuricum	117	Sulfur iodatum
53	Cyclamen purpurescens	118	Taxus baccata
54	Daphne mezereum	119	Toxicodendron quercifolium
55	Datura stramonium	120	Urginea maritime
56	Delphinium staphisagria	121	Urginea maritima, aethanol. Decoct..
57	Digitalis purpurea	122	Ustilago majdis
58	Dioscorea villosa	123	Vincetoxicum hirundinaria
59	Dryopteris filix-mas	124	Witherite
60	Euphorbia cyparissias	125	Zincum aceticum
61	Euphorbium	126	Zincum isovalerianicum
62	Fluoride	127	Zincum phosphoricum
63	Galena	128	Zincum sulfuricum
64	Garcinia	129	Nicotiana tabacum Rh
65	Gelsemium sempervirens		

ოფიციალური გერმანული ჰომეოპათიური ფარმაცოპიის ფორმულირებები: „შეინახეთ დიდი სიფრთხილით“ და „შეინახეთ სიფრთხილით“ შეესაბამება საქართველოში დამკვიდრებულ ტერმინებს: სია „A“ Venena, შხამები და სია „B“ Heroica, ძლიერმოქმედები.

აღბათ გასაგები უნდა იყოს, რომ არა მარტო საქართველოსათვის, არამედ ნებისმიერი ქვეყნისათვის, რომელსაც არა აქვს საკუთარი ჰომეოპათიური ფარმაცოპია, მის შექმნამდე ნებადართულია საკანონმდებლო დოკუმენტად გამოიყენოს რომელიმე ქვეყნის ოფიციალური ჰომეოპათიური ფარმაცოპია. ჩვენთვის - უფრო უპრიანია გერმანული ჰომეოპათიური ფარმაცოპიის გამოყენება.

ცხრილი №4

№№	შეინახეთ დიდი სიფრთხილით	№№	შეინახეთ დიდი სიფრთხილით
1	Acidum arsenicosum	11	Hydrargirum stibiato-sulfuratum
2	Acidum hydrofluoricum	12	Lachesis mutus
3	Arsenum iodatum	13	Mercurius solubilis Hahnemanni
4	Atropinum sulfuricum	14	Naja naja
5	Calcium arsenicosum	15	Nitroglycerinum
6	Hydrargyrum bichloratum	16	Olivenite
7	Hydrargyrum bicyanatum	17	Phosphorus
8	Hydrargyrum biiodatum	18	Stibium arsenicosum
9	Hydrargyrum metallicum	19	Thallium aceticum oxydulatum
10	Hydrargyrum nitricum oxydulat.	20	Zincum cyanatum

რუსეთში მზადაა რვა ფარმაცოპეული სტატია და გამოსაცემად მზადდება პირველი რუსული ჰომეოპათიური ფარმაცოპია. გარდა ამისა, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში - ავსტრიაში, ბელგიაში, შვეიცარიაში, ინდოეთში, დანიაში, კანადაში, ნიდერლანდებში, ნორვეგიაში, ფინეთში, პოლონეთში, პოსტსაბჭოთა სივრცეში, მედიცინის ეს დარგი მეტ-ნაკლები ხარისხითაა განვითარებული. წამალთა უმრავლესობა მზადდება წარმოებაში, ხოლო 10%-მდე - თვით ავთიაქში Ex tempore.

ავთიაქში წამლის მომზადების ნორმატიული დოკუმენტია **რეცეპტი**. იგი გამოიწერება სტანდარტულ სარეცეპტურო ბლანკზე, ლათინურ ენაზე, სახელობით ბრუნვაში, განზავებისა და გამოყენების წესის აღნიშვნით. შინაგანი დანიშნულების სამკურნალო საშუალებების

დასახელების შემდეგ აუცილებელია განზავების აღნიშვნა. განუზავებელი ტინქტურები და ესენციები აღინიშნება θ (ფიტა) ნიშნით. რეცეპტზე დაისმება შტამპი და ექიმის პირადი ბეჭედი ხელმოწერით.

ერთი წამლის ფორმაში შეიძლება გამოიწეროს მრავალი სამკურნალო საშუალება. თუ ისინი ერთ ბლანკზეა და დაუნომრავია, მათ შეურევნ ერთ წამლის ფორმად და ათავსებენ ერთ ჭურჭელში. თუ რეცეპტის ინგრედიენტები დანომრილია, ისინი გაიცემა ცალ-ცალკე წამლის ფორმებად სხვადასხვა ჭურჭლით და რიგითი ნომრებით, რომლებიც მიღების თანმიმდევრობას აღნიშნავენ.

ყველა ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალება და წამლის ფორმა გამოიწერება, მზადდება და კონტროლდება წონითი მეთოდით. თუ წვეთები 50 გრამზე მეტი წონითაა გამოწერილი, რეცეპტზე დამატებით აღნიშნავენ: „კურსობრივი მკურნალობისათვის“ ან „ხანგრძლივი მკურნალობისათვის“. ეს მითითება დამოწმდება ექიმის ხელმოწერით და პირადი ბეჭდით. რუსეთში, ბრძანების თანახმად, არსებობს ურეცეპტოდ გასაცემი ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებების ჩამონათვალი (ერთ- და მრავალკომპონენტური). რეცეპტით გაიცემა ერთკომპონენტური საშუალებები, რომლებიც ეკუთვნიან A სიას (შხამებს) და/ან არიან დიდ განზავებებში. საერთოდ, ჰომეოპათიურ საშუალებათა დიდი ნაწილი მიეკუთვნება OTC პრეპარატებს და გაიცემიან ურეცეპტოდ.

რამდენიმე ჰომეოპათიური საშუალების ერთდროულად დანიშვნისას არ ითვალისწინებენ ქიმიურს, მაგრამ ითვალისწინებენ ფარმაცოლოგიურ შეუთავსებლობას.

ჰომეოპათიური პრეპარატები, რომელთა ნომენკლატურა რამდენიმე ასეულია და რომლებიც შეტანილია სახელმწიფო რეესტრში, როგორც მზა, ასევე ექსტემპორალური, იწარმოება ფარმაცევტულ-გალენური კრიტერიუმების შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია ოფიციალური ჰომეოპათიური ფარმაცოპეის კერძო ან ზოგად მონოგრაფიებში, ევროკავშირის მოქმედ ავტორიზებულ სახელმძღვანელოში, შვაბეს სახელმძღვანელოში, დამტკიცებულ ფარმსტატიაში, რეცეპტში, დროებით ფარმაცოპეულ სტატიაში (დფს), ტექნოლოგიურ რეგლამენტში ან სხვა სპეციფიკაციებში.

ნორმირებულია ასევე ჰომეოპათიურ აფთიაქში მომუშავეთა კვალიფიკაცია - ჰომეოპათიურ აფთიაქში დამოუკიდებლად მუშაობა შეუძლია ფარმაცევტს, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური კურსი და მიღებული აქვს შესაბამისი სერთიფიკატი, ხოლო მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში (ინგლისი, ამერიკა და სხვა) არსებობს ჰომეოპათიური სპეცი-

ალური კოლეჯები, რომლებიც უშვებენ ჰომეოპათ-ფარმაცევტებს საუნივერსიტეტო განათლებით.

დსთ-ს ქვეყნებში და საქართველოში დღემდე არ არის შემუშავებული ჰომეოპათიური სამკურნალო სუბსტანციების, მზა წამლის ფორმების სტანდარტიზაციის, ხარისხის მართვის მწყობრი სისტემა, რაც უზრუნველყოფდა სამკურნალო წამლო პრეპარატების უსაფრთხოებასა და ეფექტურობას. რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს 1991 წლის ბრძანებით „სამედიცინო პრაქტიკაში ჰომეოპათიური მეთოდის განვითარების შესახებ“, დამტკიცდა ჰომეოპათიური აფთიაქების დაარსების გეგმა რუსეთის სხვადასხვა რეგიონში. აქვე, ფარმაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩამოყალიბდა ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებების ლაბორატორია, რომელიც მოგვიანებით მოსკოვის სერგეოვის სახელობის სამედიცინო აკადემიის ფარმაცევტული ფაკულტეტის დაქვემდებარებაში გადაეცა. იგი ამჟამად მუშაობს პირველი რუსული ჰომეოპათიური ფარმაცოპიის გამოსაცემად. ყველა ზემოაღწერილ ღონისძიებათა შედეგია, რომ რუსეთში არის ჰომეოპათიური აფთიაქები, სადაც თითქმის ყველა წამლის ფორმა მზადდება, თუმცა ამისათვის ჯერ მხოლოდ ზოგადი სტატიებია, მაგრამ მიმდინარეობს კერძო სტატიებზე (მონოგრაფიებზე) მუშაობაც.

ჰომეოპათიური აფთიაქების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გაუმჯობესებას მოითხოვს. არაა თანამედროვე აპარატურა, მექანიზაცია; სამუშაოთა დიდი ნაწილი ხელით სრულდება, რაც მოქმედებს პროდუქციის ხარისხზე. წამლებს აკონტროლობენ თვისებითი რეაქციებით, მშრალი ნაშთით, ზოგჯერ კი სულაც, გამოყენებული დამხმარე ნივთიერებების მიხედვითაც კი. ვერ ხერხდება მოქმედ ნივთიერებათა განსაზღვრა. აუცილებელია ჰომეოპათიურ ანალიზში ფართოდ დაინერგოს კვლევის თანამედროვე ფიზიკურ-ქიმიური მეთოდები, მოხდეს აქტიური ინგრედიენტების კონცენტრირება (ამოშრობა, დაწვა, შელღობა), რაც საშუალებას მოგვცემს ჰომეოპათიური განზავებების დროსაც კი ჩატარდეს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების იგივეობის დადგენა. რუსეთში ჰომეოპათიური აფთიაქები მარაგდება სააფთიაქო საწყობებიდან, ხოლო მცენარეული ნედლეული შემოაქვთ უშუალოდ დამამზადებლებისაგან, რის გამოც მათი კეთილხარისხოვნება გარანტირებული არ არის. მიზანშეწონილია შესყიდვა მოხდეს მათი კულტივირების ბაზებიდან და საწყობებიდან, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე. გაუმჯობესებას მოითხოვს ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებების რეგისტრაციისა და განხილვის სისტემაც.

ყველა ჰომეოპათიური პრეპარატის მარკირება ხდება საერთო მოთხოვნის საფუძველზე. ექსტემპორალური პრეპარატის შეფუთვაზე უნდა იყოს დასახელება, „ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალება“, ნედლეულის დასახელება, წამლის ფორმა, პოტენცია ან გასაზავებლად აღებული საწყისი ნივთიერების კონცენტრაცია, განზავების ხერხი, სერია, მომზადების მეთოდის ნომერი, თარიღი, გამოყენების წესი, დოზა, დოზათა რაოდენობა ერთ შეფუთვაში (ან პრეპარატის მასა), შენახვის ვადა და პირობები.

ჰომეოპათიური წამლის შემადგენლობა იწერება მშობლიურენოვანი ასოებით, ლათინური ტრანსკრიპციით, მაგ.: „ტარტარუს ემეტიკუს“, „მერკურიუს სოლუბილის“ და ასე შემდეგ.

ეთანოლის წყლიანი ხსნარის ეტიკეტზე აღნიშნება ეთანოლის კონცენტრაცია, წყლიან განზავებებზე აკეთებენ აღნიშვნას „წყლიანი“ (ცნობისათვის: ეთანოლს ევროპის ქვეყნები მოიხსენიებენ ფარმაცოპიის სახელწოდებით „ალკოჰოლი“). ფერმერტირებული ნაყენებიდან მომზადებულ პრეპარატებზე კეთდება წარწერა „ferm“, ნაყენებსა და მათ განზავებებზე მიაწინებენ „Infusum“, მონახარშებსა და მათ განზავებებზე კი „Decoctum“ და ა. შ.. მზა გრანულების ეტიკეტზე პოტენციის აღნიშვნა უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი ნივთიერების იმ თხევად განზავებას, რომელიც გრანულებზე დასატანად იყო აღებული.

ნარევის შემცველი გრანულების შეფუთვაზე უნდა იყოს აღნიშნული ნარევის შემადგენლობა, დასატანად აღებული სითხოვანი პრეპარატების ან/და ტრიტურაციების განზავების ხარისხი და რაოდენობა. დანარჩენი წარწერები და მითითებები იგივეა, რაც ალოპათიური პრეპარატების შემთხვევაში.

ჰომეოპათიური პრეპარატების ხარისხის შეფასება ისევე ხდება, როგორც ალოპათიურისა - სახელმწიფო ფარმაცოპიის, ინსტრუქციებისა და ჯანდაცვის სამინისტროს ბრძანებების მიხედვით. ექსტემპორალური წამლის ხარისხის კონტროლისას გამოიყენება ორგვარი შეფასება: „ვარგისია“ და „წუნია“. მიმდინარეობს მუშაობა კონტროლის პარამეტრების დასახვეწად. გარდა ამისა, ყველა პრეპარატი უნდა აკმაყოფილებდეს მიკრობიოლოგიური სიწმინდის ნორმებს.

ფ. რ. ჩერნიკოვმა მოგვაწოდა ჰომეოპათიური პრეპარატების ხარისხის კონტროლის უნიკალური სისტემა, რომელიც ეფუძნება მოლეკულურ-ფლუქტუაციული შუქგა(ნ)ბნევის მეთოდს, რომელსაც ფირმა „ედასმა“ დაუჭირა მხარი (ხელსაწყო АГЛС – ЭДАС). კონტროლის ეს სისტემა გამოიყენება არსებულ ტრადიციულ ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდებთან ერთად. კონტროლს ექვემდებარება ნედლეული, ტექნოლოგიის ყველა

სტადია და ოპერაცია, ტექნოლოგიური აღჭურვილობის ყველა კომპონენტი და დეტალი, მზა პროდუქცია და მასზე გარემოს სხვადასხვა არაკეთილსასურველი ზეგავლენის შედეგები.

ზემოაღნიშნული მეთოდის გამოყენებამ საშუალება მისცა მეცნიერებს დაედგინათ ფაქტორების ის ფართო სპექტრი, რომლებიც „აშფოთებენ“ ჰომეოპათიურ პრეპარატს და უკუეგდოთ ისინი წარმოებიდან, რითაც მოხდებოდა ტექნოლოგიური პროცესის ოპტიმიზაცია. მეთოდი ემყარება საკონტროლო ნიმუშის შედარებას ეტალონთან. აღნიშნულ ხელსაწყოთი გადაიდებენ აღებული სინჯის სპექტრს და შესაბამისი პროგრამების საშუალებით ადარებენ მას ეტალონის სპექტრთან. მსგავსების ხარისხს შეაფასებენ სპექტრების შეთავსებით და ახასიათებენ მსგავსების ხარისხის კოეფიციენტით (ეს არის საკონტროლო ნიმუშის სპექტრის ის ნაწილი, რომელიც დასაშვები საზღვრების გარეთ გამოდის).

რუსული სტანდარტები მოითხოვენ, რომ ჰომეოპათიურ სუბსტანციებში გამოიყოს A და B, ანუ შხამიანი და ძლიერმოქმედი სუბსტანციების სიები, ცალკე უნდა იქნეს შენახული სუნიანები, მათი D1, D2, D3 განზავებები. ცალკე კარადაში პლასტმასის ფლაკონით უნდა ინახებოდეს ფტორწყალბადმჟავა და მისი D1, D2, D3 განზავებები.

ევროპის ქვეყნების ჰომეოპათიური ფარმაცოპეები HAB (GHP), BHP, PhF მოითხოვენ ნედლეულისა და პირველი განზავებების სტერილიზაციას და სტერილურობის შენარჩუნებას 24 საათით, შემდგომ გადამუშავებამდე (E. A. C. H.). პრეპარატების კომერციული კვალიფიკაცია ხდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- ხარისხი,
- ეფექტურობა,
- უსაფრთხოება.

ჰომეოპათიური მედიკამენტების ხარისხზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები:

1. ნედლეულის ზუსტი იდენტიფიკაცია და აკურატული განსაზღვრა,
2. წარმოების პროცესის თითოეული ეტაპის ზედმიწევნით შესრულება ოფიციალური ან ავტორიზებული ფარმაცოპეის მიხედვით,
3. კონტროლი წარმოების პროცესში (**Good Manufacturing Practice - სსპ მიხედვით**),
4. საბოლოო პროდუქტის ტესტირება და შესაბამისი შეფუთვის შერჩევა.

ქიმიურ-ფარმაცევტული პროდუქციისაგან განსხვავებით ხშირად შეუძლებელი ხდება მზა ჰომეოპათიური პრეპარატის აქტიური შემადგენელი კომპონენტების ხარისხობრივ-რაოდენობრივი ანალიზის ჩატარება. ამის გამო ჰომეოპათიური პრეპარატების მწარმოებელს მოეთხოვება წარადგინოს ხარისხობრივი კონტროლის შესახებ ზუსტი დოკუმენტაცია და ამასთანავე შეამოწმოს ყველა საწარმოო ოპერაციის სისწორე. ეს ღონისძიება ენაცვლება საბოლოო პროდუქტში აქტიური კომპონენტების თვისობრივ და რაოდენობრივ ანალიზს. ეს არის რეტროსპექტული, პერსპექტიული ვალიდაცია და წამლის ხარისხის კონტროლი წარმოების პროცესში, რასაც გულისხმობს GMP - სსკ (სათანადო საწარმოო პრაქტიკა).

უსაფრთხოების მხრივ, განზავების დიდი ხარისხის გამო, ჰომეოპათიური პრეპარატები არ წარმოადგენენ ტოქსიკური რისკის ფაქტორებს. ზოგიერთი ნედლეულისათვის დაბალი პოტენციების უსაფრთხოების გარანტიის მიზნით, სასურველია დამატებითი ეტიკეტირება.

ჰომეოპათიური პრეპარატების მომზადების მდიდარი გამოცდილება, ზოგჯერ თითქმის 200-წლიანიც კი, მრავალმხრივი ცოდნით უზრუნველყოფს მათ კლინიკურ ეფექტურობას. ისინი შეირჩევა იმ კონცეფციების, ინტუიციისა და გამოცდილების საფუძველზე, რომელიც მოპოვებულია თითოეულ თერაპიულ სკოლაში (Zuck 1991).

კლინიკურ კვლევაში ამჟამად გამოყენებულია ჩვეულებრივი პროცედურები. **რანდომიზებული ანუ ალბათური კლინიკური ცდები** ჰომეოპათიური პრეპარატების კვლევებში დაშვებულია მხოლოდ გარკვეულ, ზღვრულ დონემდე.

ჰომეოპათიური ერთკომპონენტის და/ან კომბინირებული პრეპარატების ეფექტურობის დამტკიცება შეიძლება ისეთი მეთოდებით, როგორცაა: ცალკეული შემთხვევების შესწავლა, დაკვირვებები და ა. შ. (ჰორნუნგი 1994, კუნლე 1996, კიენე 1993).

მოქმედ ჰომეოპათიურ ფარმაცოპეებში რეგლამენტირებულია მზა წამლის ფორმების შენახვის წესები: ისინი ინახება 25^o C-მდე ტემპერატურაზე, მზის პირდაპირი სხივებისაგან, გაცხელებისაგან, ბავშვებისაგან და ელექტრომაგნიტური ველებისაგან დაცულ ადგილას. სასურველი არ არის მათი შენახვა სხვა წამლებთან ერთად. ჰომეოპათიური პრეპარატები ინახება 12-24 თვე ან იმ დრომდე, რომელიც ნაჩვენებია ეტიკეტზე.

2.5. სამკურნალო და დამხმარე ნივთიერებები. ნედლეულის დახასიათება

ჰომეოპათიურ წამლის ფორმების მოსამზადებელი ნედლეულის კლასიფიკაცია და მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნები მოყვანილია გერმანულ, ბრიტანულ, ფრანგულ, ამერიკის და სხვა ოფიციალურ ჰომეოპათიურ ფარმაკოპეებში. ნედლეულად გამოყენებულია მცენარეები, ცხოველები, მინერალები, სინთეზური ქიმიური ნივთიერებები, ნოზოდები და სხვა. პრეპარატების 65% მზადდება სამკურნალო მცენარეული ნედლეულიდან, უფრო ხშირად კი, ნედლი მცენარის წვენიდან. თუმცა არაიშვიათად გამოიყენება გამომშრალი მცენარეული ნედლეული, მინერალები (30%-ში), ბიოლოგიური წარმოშობის სხვადასხვა პროდუქტები (ფუტკრის, გველის შხამები, ესპანური ბუზანკალა, პათოლოგიური წარმონაქმნები, ორგანოპრეპარატები და ა. შ. - 5%-ში). მათი საერთო რიცხვი 1200-მდეა.

ნედლეულის კატეგორიების მოკლე აღწერა ასეთია:

მცენარეული პროდუქტები. ჰომეოპათიაში გამოსაყენებლად ნებადართულია 700-მდე სახეობის მცენარე. უმრავლეს შემთხვევაში ჰომეოპათიური საშუალებების დასახელებები XVIII-XIX საუკუნეების დროიდანაა შემონახული და წარმოდგენილია მოძველებული ნომენკლატურით. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ამ სახეობათაგან ბევრი არ იზრდება, ვერ ხდება მათი კულტივირება და არ შემოდის ნედლეულობის სახით. ეს სახეობები აქ წარმოდგენენ უნიკალურს, ამიტომ ახდენენ მათ შემოტანას „დედა“ ნაყენის ან მცენარიდან მომზადებული სხვა მზა ჰომეოპათიური პრეპარატის სახით. ჰომეოპათიაში გამოყენებული მცენარეული ნედლეულის ნომენკლატურა მოცემულია ამ წიგნის ბოლოს დართულ ლექსიკონში, აგრეთვე სხვა ლიტერატურაშიც.

ამა თუ იმ სუბსტანციის მიხედვით, ან მთლიანი მცენარისაგან ან მისი ნაწილისაგან მზადდება მატრიცული, იგივე დედა ნაყენი ან ესენცია. მათ უნიტინქტურებსაც უწოდებენ. მცენარეს წინასწარ უნდა მოსცილდეს ნებისმიერი შესამჩნევი წუნი - დამპალი, გამხმარი, დაშლილი ნაწილები. დაცული უნდა იქნეს სახეობა და მოკრეფის დრო. დედა ნაყენის მოსამზადებლად გამოყენებულ ნაწილებს არ უნდა შეერიოს სხვა ნაწილები. უმაღლეს მცენარეებთან ერთად გამოიყენება ლიკოპოდიუმიც. დედა ნაყენებს რეცეპტში აღნიშნავენ 0 (ფიტა) ან 0 ნიშნებით. ზოგჯერ დედა ნაყენის მოსამზადებლად საწყის ნედლეულად მცენარის წვენიც და ეთანოლის 1:1-ზე ნარევი გამოიყენება. მას უწოდებენ ესენციას.

ჰომეოპათიაში გამოყენებული ზოგიერთი მცენარე ამოღებულია სამკურნალო მცენარეთა მოქმედი რეესტრიდან; ზოგი კი, საერთოდ მივიწყებულია. მაგალითად: *Asparagus officinalis*, *Croton tyglium*, *Marshdenia condurango*, *Mandragora officinalis*, *Crocus sativus*, *Myrrisica fragnans*, *Physostigma venenosum* (*Faba calabarica*), *Sabatilla officinalis*, *Zingiber officinalis*, *Quebracho*-ს და *Rathania*-ს სახეობები, *Daphne mesereum*, *Hydrastis canadensis*, *Caryophyllus aromaticus*, აგრეთვე პროდუქტები *Resina Guayaci*, *Resina Asafoetida*, *Catechu*, *Gambir* და სხვა. ხშირად ერთი და იგივე ნედლეული ჰომეოპათიასა და ალოპათიაში სხვადასხვა დანიშნულებით იხმარება, ამასთანავე ეს ორი მიმართულება ზოგჯერ ერთი და იმავე მცენარის სხვადასხვა ნაწილს იყენებს. ვ. შვაბეს სახელმძღვანელოს 514 დასახელების ნედლეულიდან 68,3% მცენარეულია, რომელთა შორის 321 უმაღლესი ყვავილოვანი მცენარეა - საკვები, ხილ-კენკროვანი, ბოსტნეული, საკაზმ-სანელებელი. მეტია ეგზოტიკური, ტროპიკული მცენარეები. მცენარეთა უმრავლესობა ველურადმოზარდია.

ორგანული და არაორგანული ბუნებრივი და სინთეზური ქიმიური შენაერთები. ესენია; მინერალები, ელემენტები, მარილები, მჟავები, სინთეზური ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც შეიძლება იყოს მყარ და თხევად მდგომარეობაში. მყარი ნივთიერებების სახით გამოიყენება უხსნადი მინერალები, მარილები, რომელთაგანაც შემდეგ ამზადებენ ტრიტურაციებს (გალესილ ნარევებს) რძის შაქართან, იშვიათად, შაქართან (საქაროზასთან) ერთად. სპირტზე ან წყალზე დამზადებული მომდევნო განზავებებისათვის, სპირტი ან წყალი შეირჩევა ცალკეული სუბსტანციების მახასიათებლებიდან გამომდინარე.

ყოველ ნორმატიულ დოკუმენტში მკაცრადაა დაცული მოთხოვნები: წარმოშობა, სისუფთავის ხარისხი. ბუნებრივი წარმოშობის მარილები და მინერალები ხშირად შეიცავენ დამატებითი სუბსტანციების კვალს, რაც ზრდის ჰომეოპათიური მოქმედების სპექტრს.

მყარი ნივთიერებების სახით, რომელთაც ჰომეოპათიაში **ურსუბ-სტანციებს** უწოდებენ, გამოიყენება მეტალები (ოქრო, სპილენძი, კალა, თუთია, პალადიუმი, პლატინა, ნიკელი, ბისმუტი, ლითიუმი, ნატრიუმი, კალიუმი, მანგანუმი), არალითონები (გოგირდი, დარიშხანი, ფოსფორი, სილიციუმი), მარილები (უპირატესად კალიუმის, ნატრიუმის, მანგანუმის, კალციუმის, ბარიუმის, სინდიყის, რკინის), მცენარეული და ცხოველური ნახშირი, გრაფიტი და სხვა; უხსნადი მინერალებიდან გამოიყენება აპატიტი, არგენიტი, ფტორიტი, გალენიტი, ჰემატიტი - რკინაქვა, მალაქიტი, პირიტი; გამოიყენება აგრეთვე მჟაუნმჟავა, კალიუმის ბიქრომატი, თუთიის ფოსფატი, კალციუმის კარბონატი და სხვა.

სითხოვანი ნივთიერებების სახით გამოიყენება მჟავები (ქლორწყალბადმჟავა ანუ მარილმჟავა, აზოტმჟავა, გოგირდმჟავა, მლხობი მჟავა HF, ჭიანჭველმჟავა, ძმარმჟავა, ციანწყალბადმჟავა, ბრომი და ა. შ.). სულ ახლო წარსულში ზოგიერთ საწყის ნივთიერებას ჰომეოპათიურ ავთიაქმი თვითონ ამზადებდნენ, მაგრამ დღეს ეს უკვე ასე აღარ ხდება.

ტოქსიკურობის თვალსაზრისით, ჰომეოპათიაში, ისევე, როგორც ალოპათიაში, გამოიყოფა A და B სიები, და მათი D1, D2 და D3 განზავებები (მხოლოდ რუსეთში); სხვა ქვეყნებში - იხილე წინა თავებში.

ცხოველები და ცხოველური სუბსტანციები. გამოიყენება ცხოველები, ძირითადად მწერები, მათი ნაწილები ან სეკრეტები (გამონაყოფები). ცხოველი უნდა იყოს ჯანმრთელი და უნდა აკმაყოფილებდეს ჰიგიენურ მოთხოვნებს. ამავე დროს ეს უნდა კეთდებოდეს ცხოველთა დაცვის შესაბამისი კანონის გათვალისწინებით. ცხოველური წარმოშობის საშუალებებიდან პროვიზორ ვილმარ შვაბეს სახელმძღვანელოში აღწერილია ფუტურის ცხოველმოქმედების პროდუქტები, გველის შხამი, ესპანური ბუზანკალა (Cantharis), თახვის ყაირი (Castoreum), ამბრა, ღრუბელი (Spongilla, Бадяга), წითელი მარჯანი, მედუზას და მორიელის შხამები და ა. შ.. თანამედროვე ცხოველური ნედლეული მოცემულია ამ წიგნის ბოლოშიც (Monographs GHP).

ორგანოპრეპარატები - Sarcodes. მათი დამზადებისას გამოიყენება ჯანმრთელი ორგანოები, ქსოვილები და ცხოველთა (როგორც წესი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის ან ღორის) მეტაბოლური ფაქტორები - სრული ჰიგიენური პირობების დაცვით. შეგროვებული მასალა გამოიყენება ცოცხლად ან გაყინულ-გამომშრალ მდგომარეობაში.

ნოზოდები. ჰომეოპათიური პრეპარატების სხვა კატეგორიებისაგან განსხვავებით, ნოზოდები ეწოდება მიკრობულ კულტურებს, რომლებიც პათოგენური მასალებისაგან მზადდება. ნედლეულად გამოიყენება ადამიანისა და ცხოველის დაავადების პროდუქტები, პათოლოგიურად სახეცვლილი ორგანოები და ქსოვილები, პათოგენები და მათი მეტაბოლიზმის პროდუქტები, ექსკრეტები, სეკრეტები და ცხოველთა ორგანოების დაშლის პროდუქტები, ასეთებია: Tuberculinum - nosode (ნახველისაგან); Dephterinum – nosode (დიფტერიის ტოქსინი); Psorinum – nosode (მიიღება ფსორიაზისაგან დაზიანებული კანის ფუფხებისაგან); საკუთარი სისხლი და სხვა.

ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებები ერთ- ან მრავალკომპონენტური პრეპარატებია, რომლებიც შეიცავენ აქტიური შენაერთების მიკროდოზებს, მათი წარმოება ხდება სპეციალური ტექნოლოგიით და განკუთვნილი არიან პერორალური, საინექციო და

ადგილობრივი გამოყენებისათვის სხვადასხვა წამლის ფორმის სახით. წამლის ფორმებად შერჩეულია ტრადიციული ნაყენები, ფხვნილები (ტრიტურაციები), ხსნარები, მალამოები, სუპოზიტორიები, ზეთები, სიროფები, აბები, ასევე - ახალი წამლის ფორმებიდან ტაბლეტები, აეროზოლები, ემპლასტროები, საინექციო წამლის ფორმები და სხვა. ძირითადად გამოიყენება ნაყენები, ფხვნილები, ხსნარები, აბები ანუ გრანულები, წვეთები, მალამოები, ტაბლეტები; უფრო მეტად გამოიყენება შინაგანი წამლის ფორმები.

სუბსტანციების ფარმაკოლოგიური მოქმედება ალოპათიური მედიცინისაგან ხშირად განსხვავებულია. მაგალითად: ლითიუმი, ნატრიუმი და კალიუმი ინიშნება ნივთიერებათა ცვლის დარღვევის დროს; პერიოდული სისტემის პირველი ჯგუფის ელემენტები, გარდა ლითიუმისა, ჰომეოპათიაში მიჩნეულია კონსტიტუციურ საშუალებებად, ამიტომ ისინი გამოიყენება სხვადასხვა დაავადებათა დროს; სპილენძი, ვერცხლი და ოქრო კი გამოიყენება ნერვული და გულსისხლძარღვთა სისტემის დარღვევების დროს; ნიკელი გამოიყენება ნერვული სისტემის, ზემო სასუნთქი გზების, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის, კანის დაავადებების დროს. დადგენილი იყო, რომ ფსიქიკასა და ნერვულ სისტემაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, პალადიუმსა და პლატინას შორის ბევრი საერთოა, ამიტომ ისინი ერთმანეთს ავსებენ დანიშნულებით. ს. ჰანემენმა აღმოაჩინა რიგი ქიმიური შენაერთი და დაამუშავა მათი მომზადების ახალი მეთოდები: Calcium carbonicum Hahnemanni, Hydrargyrum solubilis Hahnemanni და სხვები.

წამლის ფორმის მოსამზადებლად ჰომეოპათიაში გამოიყენება დამხმარე ნივთიერებათა მრავალფეროვანი ჩამონათვალი. მათ შორისაა: გაწმენდილი, გამოხდილი და საინექციო წყალი, მცენარეული ზეთები, სხვადასხვა კონცენტრაციის ეთილის ალკოჰოლი, ცეტილის სპირტი, გლიცერინი, ვაზელინის ზეთი, ბენზილის სპირტი, Oleum Petrae, Spiritus saponatus, თაფლი, ღვინო, ზ/წ და წ/ზ ტიპის ემულსიური ფუძეები, ჰიდროცხიმები, თაფლის სანთელი, სპერმაცეტი, ლანოლინი, ვაზელინი, ჟელატინი, სახამებელი, აგარ-აგარი, გომიზი, კაკაოს ცხიმი, საქაროზა, ლაქტოზა, ლაქტოზის მონოჰიდრატი, გლუკოზა, ფრუქტოზა, ცელულოზა, ლავანდის, ტუიას, წყლის იელის ეთეროვანი ზეთები, სქელი და მყარი პარაფინი, პოლიაკრილის მჟავა, ბენზალკონიუმის ქლორიდი, ეთილენგლიკოლი, პოლიაკრილის მჟავა, იზოპროპილმირისტატი, ქლორეტონი და სხვა.

ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი გამხსნელის - გადამტანის ანუ მატარებლის და ინდიფერენტული დამხმარე ნივთიერების დახასიათება,

მომზადების წესი და მოთხოვნები, რომლებსაც მათ უყენებს ევრო-ფარმაცოპია, ოფიციალური გერმანული ფარმაცოპია DAB ან გერმანიის ჰომეოპათიური ფარმაცოპია HAB (GHP).

გერმანული ჰომეოპათიური ფარმაცოპიის H5.3.-ში მოცემულია „Vehicles and excipients“, სადაც ჩამოყალიბებულია გამხსნელებისა და სხვა დამხმარე ნივთიერებებისადმი წაყენებული მოთხოვნები.

ჰომეოპათიური წამლის ფორმების სააფთიაქო და სამრეწველო წარმოება უნდა ხდებოდეს ფარმაცევტული წარმოების კანონმდებლობის დაცვით. სერიულ წარმოებას მოეთხოვება უწინარეს ყოვლისა, წამლის ხარისხის კონტროლი წარმოების პროცესში - ანუ სათანადო საწარმოო პრაქტიკის (სსპ - GMP) მოთხოვნების დაცვა, რომლის უმნიშვნელოვანეს პრინციპთა შორისაა „წარმოება“; ამის ქვეშ იგულისხმება ნედლეულის, გამხსნელების, დამხმარე ნივთიერებათა და მასალების მიმართ წარდგენილი მოთხოვნები. თუ ეს მოთხოვნები ჰომეოპათიურ ფარმაცოპიაში არაა მოცემული, ყველა შემთხვევაში მითითებულია რომელი ნორმატიული დოკუმენტი უნდა გამოვიყენოთ სახელმძღვანელოდ ასეთ დროს; უფრო ხშირად, ხდება მინიშნება ევროკავშირის რომელიმე ქვეყნის ოფიციალურ ფარმაცოპიაზე.

ჰომეოპათიური წარმოების დროს გამოიყენება გაწმენდილი წყალი Aqua purificata, საინექციო წყალი Aqua pro injectionibus და იშვიათად გამოხდილი წყალი Aqua destillata, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ ფარმაცოპიის მოთხოვნებს.

მეორე, ყველაზე უფრო ფართოდ გამოყენებული, გამხსნელია ეთანოლი, იგივე ეთილის სპირტი ანუ ღვინის სპირტი - Aethanolum (Ethanol), Spiritus aethylicus seu Spiritus vini. ჰომეოპათიაში მას უწოდებენ ალკოჰოლს - Alcohol. გამოყენებულია როგორც სუფთა სპირტი, ასევე სხვადასხვა კონცენტრაციის წყალ-სპირტის ნარევი. წყალ-სპირტის ნარევი მზადდება მასით, ე. ი. სპირტიც და წყალიც იწონება, განსხვავებით აფთიაქებისაგან, სადაც სპირტს წყავენ და უმატებენ წყალს სასურველ მოცულობამდე. გამხსნელები უნდა მომზადდეს ფარმაცევტული კანონმდებლობის მიხედვით, უპირველეს ყოვლისა, სისუფთავის დაცვით და ინახებოდეს არაუმეტეს 24 საათის განმავლობაში.

გამხსნელებია:

ალკოჰოლი 94% (მასით). ევროფარმაცოპიის მონოგრაფიის „Ethanolum 96 per cent“ - (96 %-იანი ეთანოლი) შესაბამისად არის 96 მოცულობით პროცენტიანი ეთილის სპირტი.

ალკოჰოლი 86% (მასით). მზადდება ოფიციალური გერმანული ფარ-მაკოპის (DAB)-ის მონოგრაფიის „Ethanol-Wasser-Gemische“-ს მიხედვით და იგივეა, რაც 80 მოცულობით პროცენტის ეთილის სპირტი.

ალკოჰოლი 62% (მასით). მზადდება ოფიციალური გერმანული ფარ-მაკოპის (DAB)-ის მონოგრაფიის „Ethanol-Wasser-Gemische“-ს მიხედვით და იგივეა, რაც 70 მოცულობით პროცენტის ეთილის სპირტი.

ალკოჰოლი 43% (მასით). მზადდება ისევე, როგორც ზემოთაა აღნიშნული და უდრის მოცულობით 50%-ს. ზღვრული კონცენტრაციები მოთავსებული უნდა იყოს 41,6- 43,5% (მოცულობით - 49,1 -51,1% შორის). ფორმულა C_2H_6O (M_r 46,07), ფარდობითი სიმკვრივე - 0,929- 0,933.

მომზადება:

განაზავეთ 45,2 გრამი 96%-იანი ეთანოლი 100 გრამამდე გაწმენდილი წყლით (ევროფარმაკოპეა).

ალკოჰოლი 30% (მასით). შეესაბამება მოცულობითი პროცენტი 36. კონცენტრაცია 29,4-30,6% . ფარდობითი სიმკვრივე 0,956-მდე.

მომზადება:

განაზავეთ 31,5 გრამი 96%-იანი ეთანოლი 100 გრამამდე გაწმენდილი წყლით.

ალკოჰოლი 15% (მასით). შეესაბამება მოცულობითი პროცენტი 18. კონცენტრაციის საზღვრები - 14,5-15,3% (17,9-18,9%). ფარდობითი სიმკვრივე 0,976-0,977.

მომზადება: განაზავეთ 15,8 გრამი 96%-იანი ეთანოლი 100 გრამამდე გაწმენდილი წყლით (ევროფარმაკოპის სტანდარტი).

ჰომეოპათიაში გამოიყენება შემდეგი ინდიფერენტული დამხმარე ნივთიერებები:

Ammonium dihydrogen phosphatum ამონიუმის დიჰიდროფოსფატი $NH_4H_2PO_4$. რომლის - M_r 115,02-ია. იგი თეთრი კრისტალური ფხვნილი, ან უფრო მზრწყინავი კრისტალებია, უსუნო, ადვილად იხსნება წყალში, პრაქტიკულად უხსნადია ალკოჰოლში. იდენტიფიკაცია ხდება მჟავიანობის მიხედვით $pH=4,5$. ამასთანავე იძლევა იდენტიფიკაციის რეაქციებს ამონიუმისა და ფოსფატ-იონებზე. იგი გამოიყენება საკვებ ნიადაგად საფურის სოკოების კულტივირებისას.

Argon - არგონი.

Ascorbate- phosphate buffer solution - ასკორბინმჟავა- ფოსფატური ბუფერული ხსნარი.

მისი მომზადებისათვის 41,4 გ დინატრიუმფოსფატის კრისტალჰიდრატს (საკრისტალიზაციო წყლის შემცველობა 12 მოლეკულა) ხსნიან 1000 მლ-მდე გამოხდილ საინექციო წყალში. 3-3 წუთით მიუერთებენ ვაკუუმს,

რომელსაც ქმნიან წყლის ტუმბოთი. პროცედურას იმეორებენ სამჯერ. ყოველ ჯერზე შიგთავსის გათავისუფლება ვაკუუმისაგან ხდება არგონით. ამის შემდეგ აღნიშნულ ხსნარში ხსნიან ასკორბინის მჟავას (Ascorbic acid). წყალი და ბუფერული ხსნარის შემადგენელი ორივე მარილი უნდა იყოს ევროფარმაკოპეის სტანდარტის. ხსნარის pH მერყეობს ფარგლებში 7,2-7,4. ბუფერული ხსნარი უფეროა. იგი უნდა მომზადდეს ახალ-ახალი. მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს მეთოდი 32-ის მიხედვით მიქსტურების მოსამზადებლად.

ჭარხლის სიროფი, რომელიც მიიღება ჭარხლის შაქრისაგან დუღილით, გაწურვით და გაიშვიათებულ წნევაზე მისი შემდგომი კონ-ცენტრირებით. სიროფი შედგება 33% საქაროზის, 15% გლუკოზისა და 15% ფრუქტოზისაგან. მშრალი ნაშთი - არაუმცირეს 78%- ისა, აზოტშემცველი მინარევები არაუმეტეს 3%-ისა, მინერალური დაბინძურება არაუმეტეს 1%-ისა, ცილა არაუმეტეს 0,8%-ისა, ორგანული მჟავებით დაბინძურება არაუმეტეს 0,9%-ისა; მიკრობული კონტამინაცია 1 გრამში:

აერობული ბაქტერიები < 100,

საფუვრები და ოზის სოკოები <10,

კოლიბაქტერიები, ენტერობაქტერიები, კოაგულაციდადებითი სტაფილოკოკი, სულფიტმარედუცირებელი კლოსტრიდია- თითოეული < 10.

გამოიყენება მხოლოდ „საფუვრების კულტივირების საკვები ხსნარების“ მოსამზადებლად.

კალციუმის ბეჰენატი (DAB) Calcium behenate.

ნახშირორჟანგი. უნდა აკმაყოფილებდეს ევროფარმაკოპეის მონოგრაფიის „Carbon dioxide“-ს მოთხოვნებს. გამოიყენება მხოლოდ 41a მეთოდით პრეპარატების მოსამზადებლად.

ეთანოლი არაუმცირეს 99,7% (მასით) ან 99,8% (მოცულობით). ფარდობითი სიმკვრივე 0,79-0,791.

ეთერი (Aether) უნდა აკმაყოფილებდეს ევროფარმაკოპეის მონოგრაფიის „Ether“ მოთხოვნებს.

Glycerol - გლიცერინი Glycerinum. უნდა აკმაყოფილებდეს ევროფარმაკოპეის მონოგრაფიის „Glycerol“-ის მოთხოვნებს.

85%-იანი გლიცერინი (Glycerol 85%). უნდა აკმაყოფილებდეს ევროფარმაკოპეის სტატიის „Glycerol 85%“ მოთხოვნებს.

წითელი რკინაქვა (Haematite, Красный железняк). უნდა აკმაყოფილებდეს HAB (GHP) მოთხოვნებს. გამოიყენება მხოლოდ 37a მეთოდის დროს.

მყარი ცხიმები. უნდა აკმაყოფილებდნენ ევროფარმაკოპეის მონოგრაფიის „Hard fat“- ის მოთხოვნებს.

თაფლი. უნდა აკმაყოფილებდეს DAB-ის მონოგრაფიის „Honig“ მოთხოვნებს. გამოიყენება მხოლოდ 33a და 35a მეთოდებით პრეპარატების დასამზადებლად.

რძის შაქარი (მონოჰიდრატი). უნდა აკმაყოფილებდეს ევროფარმაკოპეის მონოგრაფიის „Lactose monohydrate“-ს მოთხოვნებს.

ღვინო. უნდა აკმაყოფილებდეს DAB-ის მონოგრაფიის „Likorwein“ მოთხოვნებს და გამოიყენება მეთოდებით 16 და 46 ღვინიანი თხევადი განზავებების მოსამზადებლად.

მაგნიუმის სტეარატი. უნდა აკმაყოფილებდეს ევროფარმაკოპეის მონოგრაფიის „Magnesium stearate“ მოთხოვნებს.

საკვები ნიადაგი საფუვრების კულტივირებისათვის:

- ნაკრები: 25,2 ნაწილი ჭარხლის სიროფი,
- 0,23 ნაწილი ამონიუმის დიჰიდროფოსფატი,
- 0,07 ნაწილი მაგნიუმის სულფატი,
- 4,5 ნაწილი გაწმენდილი წყალი.

ამონიუმის დიჰიდროფოსფატს და მაგნიუმის სულფატს ხსნიან გაწმენდილ წყალში და მიღებულ ხსნარს უმატებენ ჭარხლის სიროფს. გამოიყენება მხოლოდ 50a და 50b მეთოდებით პრეპარატების მოსამზადებლად.

კაჟმიწა. სილიციუმჟავას კოლოიდური ანჰიდრიდი - SiO₂. უნდა აკმაყოფილებდეს ევროფარმაკოპეის მონოგრაფიის „Silica Colloidal Anhydrous“ მოთხოვნებს. გამოიყენება მხოლოდ მეთოდი 14-ით პრეპარატების დასამზადებლად.

ნატრიუმის ქლორიდი. უნდა აკმაყოფილებდეს ევროფარმაკოპეის მონოგრაფიის „Sodium Chlorine“ მოთხოვნებს.

ნატრიუმის ქლორიდის იზოტონური ხსნარი. მზადდება გამოყენების წინ: 9,0 გ ნატრიუმის ქლორიდი იხსნება 1000 მლ-მდე საინექციო წყალში.

ნატრიუმის ჰიდროკარბონატი - Sodium Hydrogen carbonate. ხარისხის რეგლამენტაცია ევროფარმაკოპეის მიხედვით.

სახამებელი - Amylum [Starch: Potato Starch, Maize Starch, Rice Starch or Wheat Starch ინგლ.]. ხარისხის რეგლამენტირება ხდება ევროფარმაკოპეის მონოგრაფიით.

საქაროზა, შაქარი - ხარისხის რეგლამენტაცია ევროფარმაკოპეით.

შაქრის სიროფი - ხარისხის რეგლამენტაცია DAB-ის მონოგრაფიის „Zuchersirup“ მიხედვით. მომზადებული სიროფი არ უნდა იქნეს შენახული, უნდა გამოვიყენოთ მომზადებისთანავე. გამოიყენება მხოლოდ

39a და 40b მეთოდებით დოზირებული წამლის ფორმების მოსამზადებლად.

მცენარეული ზეთები - ხარისხის რეგლამენტაცია ევროფარმაკოპეის მონოგრაფიების: Arachis oil - მიწის თხილის ზეთი, Almond oil - ნუშის ზეთი, Olive oil ზეთუნის ზეთი, Sesame oil - შირბახტის (კუნჯუტის) ზეთი - მიხედვით. პირველი სამი ზეთი გამოიყენება გადაუმუშავებელი ანუ არარაფინირებული, - ხოლო მეოთხე - რაფინირებული სახით.

საინექციო წყალი - ხარისხის რეგლამენტაცია ევროფარმაკოპეის მონოგრაფიის „Water for injection“-ის მიხედვით.

გაწმენდილი წყალი - ხარისხის რეგლამენტაცია ევროფარმაკოპეის მონოგრაფიის „Purified Water“ მიხედვით.

შრატი - Whey.

შრატი მიიღება ძროხის დამჟავებელი რძის სეროზული ფაზისაგან. რძეს უნდა ჰქონდეს გავლილი თბური წესით გადამუშავების ყველა პროცედურა კანონმდებლობის მიხედვით. სამი დღის განმავლობაში მასში უნდა გამრავლდეს Lactobacillus plantarum. ამის შემდეგ იგი იფილტრება. ფილტრაციიდან ამზადებენ შრატს: ათავსებენ მოჭიქურებული თიხის ქოთანში 1 ლიტრ საკანონმდებლო პროცედურაგავლილ რძეს, უმატებენ მას 10 მლ ზემოაღნიშნულ შრატს და დატოვებენ სინათლისაგან დაცულ ადგილას 25 გრადუს ტემპერატურაზე 3 დღე-ღამის განმავლობაში. უნდა დაილექოს მყარი ფენა, რომელიც უნდა მოვაშოროთ. სითხე არ უნდა შეიცავდეს ბუშტუკებს. გაიფილტრება. გადაიღვრება ფილტრატის პირველი 100 მლ.

შრატის pH მოთავსებული უნდა იყოს 4,0-სა და 4,5-ს შორის.

შრატს არ უნდა ჰქონდეს ობის ან ერბომჟავას სუნი.

ახალმომზადებული შრატის 10 მლ არ უნდა იყოს იმაზე მეტად ოპალესცირებული, ვიდრე სითხე, რომელიც მიიღება ნატრიუმქლორიდის ხსნარის 1,5მლ (ამ ხსნარის კონცენტრაციაა 0,177 გ/ლ), 5 მლ აზოტმჟავას, 2,5 მლ წყლისა და 1 მლ ვერცხლის ნიტრატის (ხსნარი მითითებულია ჰომეოპათიურ ფარმაკოპეაში) ხსნარების ურთიერთქმედებით. ამ ორი სითხის შესადარებლად, ისინი გადაიტანება ნესლერის საიდენტიფიკაციო ცილინდრებში, რომელთა შიგა დიამეტრი 15 მმ-ია და შედარდება ცილინდრის ვერტიკალური ღერძის მიმართ შავ ფონზე დღის შუქზე. ახალმომზადებული შრატის ფერი მერყეობს GG₂ და GG₅ სტანდარტული ხსნარების ფერებს შორის.

შრატი უნდა აკმაყოფილებდეს რძისა და რძის პროდუქტებისათვის დადგენილ ჰიგიენურ ნორმებს.

გამოიყენება მომზადებისთანავე მხოლოდ 34a და 36 მეთოდებით დოზირებული წამლის ფორმების მოსამზადებლად. დარჩენილი პარტია შეიძლება შევინახოთ სინათლისაგან დაცულ ადგილას 4 გრადუს ტემპურატურაზე მხოლოდ 48 საათის განმავლობაში.

მატყლის ცხიმის ალკოჰოლიანი მალამო (სპირტ-ლანოლინის მალამო) მზადდება DAB-ის თანახმად, სადაც არის მონოგრაფია „Wollwachsalkoholsable“.

საფუჯრები - Yeasts:

გვარი Saccharomyces cerevisiae-ის სუფთა ჯიშები ნებადართულია გამოსაყენებლად სამედიცინო პრეპარატების წარმოებაში. ინახება თავდახურულ სათავსოში 4-6 გრადუს ტემპურატურაზე არაუმეტეს 14 დღე-ღამის განმავლობაში.

გამოიყენება მხოლოდ 25-30, 50a და 50b მეთოდებით პრეპარატების მოსამზადებლად.

Saccharomyces cerevisiae-ს მშრალი სუფთა კულტურა არის ნებადართული პროდუქტი მედიცინაში გამოსაყენებლად. მასზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად ინახება ვაკუუმში. გამოიყენება მხოლოდ 47a და 47b მეთოდებით პრეპარატების მოსამზადებლად.

Candida utilis-ის კულტურული ჯიშები, მკურნალობის კანონმდებლობის თანახმად, დაშვებულია ადამიანის სამკურნალო პრეპარატების მოსამზადებლად. ინახება თავდაცობილ ჭურჭელში 4-6 გრადუს ტემპურატურაზე არაუმეტეს 14 დღე-ღამის განმავლობაში. გამოყენებულია 50a და 50b მეთოდებით პრეპარატების მოსამზადებლად.

თუთია - Zinc. გერმანული ჰომეოპათიური ფარმაცოპეის თანახმად (მონოგრაფია „Zincum metallicum“) გამოიყენება მხოლოდ 37b მეთოდით პრეპარატების მოსამზადებლად.

ოფიციალური გერმანული ჰომეოპათიური ფარმაცოპეის მონოგრაფიების ჩამონათვალი მოგვყავს ქვემოთ, დანართში. ეს ჩამონათვალი იძლევა წარმოდგენას თანამედროვე ჰომეოპათიურ საშუალებათა ძირითად არსენალზე. ამას გარდა სხვადასხვა ქვეყნებში გამოიყენება სხვა საშუალებებიც. წარმოდგენის გაფართოების მიზნით, იხილეთ წიგნის ბოლოს დართული ლექსიკონი, რომლის შინაარსი ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებების შემცველობითაა ნაკარნახები. მათ შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მოპოვება შეგიძლიათ წიგნის ბოლოს დართული ლიტერატურული წყაროებიდან, აგრეთვე ელექტრონული ბიბლიოთეკებიდან, ფარმაცოპეებიდან, ფარმაცოგნოზის სახელმძღვანელოებიდან და ა. შ..

2.6. განზავებები, წამლის ფორმების კლასიფიკაცია. ზოგადი ტექნოლოგია

ჰომეოპათიაში გამოიყენება განზავების შემდეგი სკალები:

ათობითი ანუ დეციმალური - 10^{-n} ; 1:10; DH ან X პოტენცია. რუსეთში რეცეპტში ისინი აღინიშნება ციფრებით ან ირიბჯვრებით. მაგალითად: X1; X2; X3, ხოლო ევროპის ქვეყნებში აღინიშნება: D1; D2; D3; D4 და ა. შ.. რუსეთში განზავებებს ატარებენ როგორც ჰანემანის, ასევე კორსაკოვის მეთოდით, რაც შეესაბამება აღნიშვნებს: DH, DK და ასობითი - CH, CK.

ასობითი ანუ ცენტიმალური სკალა, რომლის მიხედვითაც ყოველი მომდევნო განზავება 100-ჯერ მეტია წინაზე - 1:100; 10^{-2n} ; C ანუ CH პოტენცია. ჰომეოპათები დღესაც თლიან, რომ დაბალი და საშუალო პოტენციები გამოიყენება მწვავე დაავადებების დროს, ხოლო ფუნქციური და ქრონიკული დაავადებების დროს გამოიყენება მაღალი განზავებები (შტორხი.1956).

ასობითი სკალით ს. ჰანემანი მხოლოდ თავის პარიზულ პერიოდამდე მუშაობდა. უკანასკნელ წლებში. ჰანემანი აბებში განზავებას ახდენდა LM ან Q განზავებას ანუ ორმოცდაათათასიანი სკალით. აქ გამოიყენება 1:50 000-ზე განზავებები, LM პოტენცირების ყველაზე მაღალი ხარისხია 30.

ჰომეოპათიური განზავებები

ცხრილი№5

აღნიშვნა	განზავების ათობითი სკალა	აღნიშვნა	განზავების ასობითი სკალა
X1	1:10	C1	$1:10^2$ (1:100)
X2	$1:10^2$ (1:100)	C2	$1:10^4$ (1:10 000)
X3	$1:10^3$ (1:1 000)	C3	$1:10^6$ (1:1 000 000)
X4	$1:10^4$ (1:10 000)	C4	$1:10^8$ (1:100 000 000)
X5	$1:10^5$ (1:100 000)	C5	$1:10^{10}$ (1:10 000 000 000)
X6	$1:10^6$ (1:1 000 000)	C6	$1:10^{12}$ (1:10000 000 000 000)
X7	$1:10^7$ (1:10 000 000)	C7	$1:10^{14}$ და ა.შ.
X8	$1:10^8$ (1:100 000 000)	C8	$1:10^{16}$ და ა. შ.

განზავებების აღნიშვნა და მათი მათემატიკური ექვივალენტები.

ცხრილი№6

რუსული		საზღვარგარეთული		მათემატიკური მნიშვნელობა	
ათობითი	ასობითი	ათობითი	ასობითი	ათობითი	ასობითი
X1	-	D1	-	1:10	-

X2	1	D2	C1	1:100	1:100
X3	-	D3	-	1:1 000	-
X4	2	D4	C2	1:10 000	1:10 000
X5	-	D5	-	1:100 000	-
X6	3	D6	C3	1:1 000 000	1:1 000 000

ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ ჰომეოპათიური განზავებები LM პოტენციაში უფრო სწრაფად და ნაზად მოქმედებენ, ვიდრე CK და CH პოტენციები. ისინი გამოიყენება ხანდაზმულების, ბავშვების, დაუძლურებული ავადმყოფებისათვის, აგრეთვე დაავადების მწვავე და ქრონიკულ სტადიაში.

ზოგჯერ გამოიყენება ათასობითი ანუ მილისიმალური სკალა, რომელიც M ასოთი აღინიშნება.

ჰომეოპათიაში დოზა აღნიშნავს ენერგიისა და ნივთიერების რაოდენობას; D23 პოტენციამდე - ნივთიერების რაოდენობას, ხოლო D23 პოტენციის ზემოთ - ენერგიის რაოდენობას. დოზა მოთავსებულია წვეთების, მარცვლების, ტრიტურაციების და სხვა წამლის ფორმების მასის განსაზღვრულ რაოდენობაში. ორგანიზმის რეაქციიდან გამომდინარე, ასხვავებენ დიდ და მცირე დოზებს. დიდი დოზები დაბალი განზავებებია, რომლებიც იწვევენ ავადმყოფობის მსგავს პათოლოგიურ სიმპტომებს; საშუალო განზავებებისას ზოგჯერ ადგილი აქვს ეფექტის არარსებობასაც. მცირე დოზა კი არის ის მაღალი განზავება, რომელსაც უცილობელი სამკურნალო ეფექტი აქვს.

სანამ საკვლევი ნივთიერება ერთტიპიურ ეფექტს იძლევა, დოზირება დიდია, როგორც კი ეფექტი საპირისპიროთი შეიცვლება, დოზას დაერქმევა მცირე. მაგალითისათვის მოვიყვანთ ადრენალინის ჰიდროქლორიდს, რომელიც კლასიკურ ეფექტს იძლევა 1:1000 000 განზავებაში, ეს ეფექტია სისხლძარღვთა სპაზმი. შემდეგი განზავებებისას ეფექტი იკარგება და უკვე 10^{-33} განზავებისას ვლინდება პარადოქსული ეფექტი - სისხლძარღვების გაფართოება.

ერთჯერადი პერორალური მიღებისას ფხვნილისებრი სამკურნალო საშუალებები რეკომენდებულია ავილოთ იმდენი, რამდენიც დაეტევა სპეციალურ ძვლის ან მინის ნიჩაბზე; ეს უდრის დაახლოებით 0,2 გრამს. ფხვნილები (ტრიტურაციები) ხშირად ინიშნება დილით, უზმოზე ჭამამდე 30 წუთით ადრე. მეორე მიღება უნდა დაინიშნოს იმავე საღამოს ჭამამდე, საკვების მიღებასთან იგივე ინტერვალის დაცვით. ფხვნილები უნდა წუწნონ, მაშინვე არ უნდა გადაყლაპონ. ეს ხელს უწყობს სამკურნალო ნივთიერების შეწოვას პირის ღრუდან და მით მნიშვნელოვანია, რომ

ჰომეოპათიური დაწვრილმანების ხარისხი მაღალია, მაღალი დისპერსი-
ულობა კი ზრდის ზედაპირის ფართობს და აჩქარებს შეწოვას.

ჰომეოპათიური პრეპარატები ხშირად ინიშნება შაქრიანი აბების სა-
ხით. ეს წამლის ფორმა უფრო მოსახერხებელია წამლის მონაცვლეობით
მიღების დროს; იგი აგვარიდებს წვეთების გადათვლას და ყოველი მიღე-
ბისას ხსნარის აწყვას.

შინაგანი მიღებისათვის ერთჯერადად ინიშნება 8 აბი, რომელიც მა-
სით 0,25 გრამს უდრის. აბები, ისევე როგორც ფხვნილები და წვეთები,
იწუწნება და მაშინვე არ იყლაპება.

სითხოვანი წამლის ფორმებიდან იშვიათად გამოიყენება პირველადი
ესენციები და ტინქტურები; უფრო ხშირად იყენებენ მათ ათობით და
ასობით განზავებებს. ერთჯერადი მიღებისათვის ნიშნავენ 5-8 წვეთს ჩაის
კოვზ წყალში ან უწყლოდ. 5 წვეთის მასა დაახლოებით 0,25 გრამია.
მოქმედი ნივთიერების რაოდენობა დამოკიდებულია განზავებაზე. მაგ.
5წვ. პირველი ათობითი განზავება 0,025 გ-ს შეესაბამება, მეორე ათობითი
განზავება კი - 0,0025 გ-ს და ასე შემდეგ.

სამკურნალო პრეპარატები მიიღება მკაცრი თანმიმდევრობით, დროის
შუალედების შეძლებისდაგვარად ზუსტად დაცვით.

სამკურნალო ნივთიერების მოქმედება დამოკიდებულია გარკვეულ-
წილად მათ ზემოქმედებასთან პირის ღრუს ლორწოვანზე, ასევე კუჭ-
ნაწლავის ტრაქტის ენტერორეცეპტორებზე, რომლებიც იმპულსებს გადა-
სცემენ ცენტრალურ ნერვულ სისტემას.

მიკროდოზებში მიღებული სამკურნალო საშუალების მოქმედების
დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მათ მიერ გამოწვეული
ქვეზღურბლოვანი გაღიზიანება, რომელიც ჯამდება გამეორებითი მიღე-
ბისას და გარდაიქმნება ზღურბლოვანად. წამლების მომდევნო მიღებათა
შორის დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 2 საათი. მწვავე და მძიმე
დაავადებებისას წამლები უფრო ხშირად მცირე შუალედებით ინიშნება,
მაგრამ რეკომენდებული არ არის 2-3 წამალზე მეტის ერთდროულად
დანიშვნა.

აფთიაქში მომზადებული ესენციები და ტინქტურები იხმარება გარე-
განი დანიშნულებით, გაზავებული, თუ სხვა მითითება არ არის, 20 წვეთი
100 მლ გადადუღებულ ან გამოხდილ (გაწმენდილ) წყალში. ზოგჯერ
იხმარება მოსაბანი ხსნარების, საფენების, სავლების, გამახურებელი კომ-
პრესებისა და სხვა სახით.

კანის სპირტიანი გამწმენდების, ზეთებისა და მალამოების გამოყენება
ხდება ჩვეულებრივად. ყურის და თვალის მალამოების გამოყენებისას
სარგებლობენ მკურნალი ექიმის სპეციალური მითითებებით. ჰომეოპათი-

ურ ავთიაქებში შეხვდებით შიდასაავთიაქო დანამზადებსაც: ანტიგრიპინს, ანტიკლიმაქტერინს, ანტინერვინს, ჰისტერინს, ოქროს წვეთებს, ანტიასთმატურ წვეთებს, კუჭის წვეთებს, ყვიანახველას საწინააღმდეგო წვეთებს, კარციონეზინს, სანგრიპინს, ფურუნკულინს; გარეგანი გამოყენებისათვის ასევე სითხოვანს შესაზელს - ექიმ ლორის სპირტს, ექიმ ფლემინგის მალამოს, თუთია-ბორმყავას მალამოს, ანემონ-ქაფურის მალამოს და სხვას.

მსოფლიოს ყველა ქვეყნის კანონმდებლობა წამლის მომზადებისა და მისი ხარისხის რეგლამენტაციისათვის ფარმაცოტეკს იყენებს, რომელიც ფარმაციის კონსტიტუციაა. ჰომეოპათიაშიც ასევეა - ჰომეოპათიური ფარმაციის კონსტიტუციაა ჰომეოპათიური ფარმაცოტეკა. ამასთანავე, მისი დებულებების, მეთოდებისა და პრინციპების დაცვა მოითხოვს ფარმაცევტულ განათლებას; ასეა ყველგან, სადაც განვითარებულია ჰომეოპათიური წარმოება. ასე უნდა იყოს იმ ქვეყნებშიც, სადაც ახლა იდგამს ფეხს მკურნალობის ეს მეთოდი.

ჰომეოპათიაში გამოიყენება ტრადიციული წამლის ფორმები: მყარი, სითხოვანი, რბილი და საინექციო. ესენია: დედა ნაყენები, ხსნარები (განზავებები), ტრიტურაციები, ტაბლეტები, აბები, პარენტერალური პრეპარატები, თხევადი პრეპარატები გარეგანი დანიშნულებით - კანზე აპლიკაციებისათვის, მალამოები, სუპოზიტორიები, თვალის წვეთები, მიქსტურები, მაღალი - LM პოტენციები 1:50 000, სხვადასხვა ტექნოლოგიით მომზადებული დედა ტინქტურები, გლობულები (ეს ტერმინი ჰომეოპათიაში განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება), ცხვირის წვეთები, წყალზე, ალკოჰოლზე, ღვინოზე მომზადებული განზავებები, დაწვრილმანებული მეტალის შემცველი მალამოები და სხვა.

ვსარგებლობთ-რა ოფიციალური გერმანული ჰომეოპათიური ფარმაცოტეკის, აგრეთვე ევროკავშირის სხვა ქვეყნების ოფიციალური დოკუმენტაციით, ჰომეოპათიური წამლის ფორმების ტექნოლოგიის ზოგადი დებულებები ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ:

პრეპარატები და წამლის ფორმები, თუ სხვა მითითება არაა, მზადდება გერმანული ოფიციალური ჰომეოპათიური ფარმაცოტეკის რეგულაციის „ნედლეული“, ზოგადი ან/და კერძო ტექნოლოგიის მეთოდების მიხედვით.

პრეპარატები და წამლის ფორმები მზადდება მხოლოდ იმ გამხსნელებისა და დამხმარე ნივთიერებების გამოყენებით, რაც ჩამოთვლილი გვაქვს წინა ქვეთავში და თუ სხვა მითითება არაა, მზადდება ისე, როგორც აღწერილია სახელმძღვანელო დოკუმენტის (HAB=GHP) ქვეთავში „სპეციალური მეთოდები და ტექნოლოგია“.

დედა ტინქტურებისა და ხსნარების მომზადება ხდება ფარმაცოპეის H 5.4.4. თავში მითითებული ინსტრუქციით. ხარისხის კონტროლი ტარდება კერძო მონოგრაფიის მიხედვით. დედა ტინქტურები ნედლი მცენარეებიდან და მათი ნაწილებიდან, რომლებიც გერმანიის ოფიციალურ ჰომეოპათიურ ფარმაცოპეაში კერძო მონოგრაფიის სახით არ არის მოცემული, მზადდება შემდეგი ზოგადი მეთოდებით:

მეთოდი 1 გამოიყენება ნედლი მცენარეული ნედლეულიდან ტინქტურის მოსამზადებლად, თუ მცენარე შეიცავს 70%-ზე მეტ წვესს და არ შეიცავს ეთერზეთებს, ფისებს ან/და ლორწოებს.

მეთოდი 2a და 2b გამოიყენება ნედლი მცენარეული ნედლეულიდან ტინქტურის მოსამზადებლად, თუ მცენარის წვნიანობა 70%-ზე ნაკლებია, ხოლო მშრალი ნაშთი მეტია 60%-ზე და არ შეიცავს ეთეროვან ზეთებსა და/ან ფისებს.

მეთოდები 3a, 3b, 3c გამოიყენება ნედლი მცენარეული ნედლეულიდან ტინქტურის მოსამზადებლად, თუ მცენარე შეიცავს ეთეროვან ზეთებს ან/და ფისებს და 60%-ზე ნაკლებ წვესს, ანუ 1 კგ მცენარის გამოწნევით მიიღება 600 გრამი ან მასზე ნაკლები რაოდენობის წვენი.

4a მეთოდით მზადდება დედა ტინქტურები გამომშრალი მცენარეული ნედლეულიდან, ამ ტინქტურების მომზადება ჰომეოპათიურ ფარმაცოპეაში კერძო სტატიების სახით არაა მოცემული.

4b მეთოდით მზადდება პრეპარატები გამომშრალი ცხოველებიდან და მათი ნაწილებიდან, ან მშრალი ცხოველური სკრეტებიდან,

თუ მონოგრაფია უფლებას გვაძლევს, დედა ტინქტურა შეიძლება მომზადდეს ერთი ან რამდენიმე მცენარისაგან, თითოეული საწყისი მცენარის სპეციფიკური ნაწილებისაგანაც და მათგან მომზადებული რომელიმე პრეპარატიდანაც.

მეთოდებით 43 და 44 მზადდება ნოზოდები. მათი მომზადების რეგულაცია მოცემულია ხსენებული ფარმაცოპეის განყოფილებაში H 5.2.5. სათაურით „ნოზოდები.“

5a მეთოდით, ზოგადი წესით, მზადდება ხსნარები და სუბსტანციები, რომლებიც ამ ფარმაცოპეაში არაა აღწერილი, ამ დროს იყენებენ თხევადი განზავების დამხმარე ნივთიერებას - გამხსნელს. ტერმინი „ნაწილი“ გულისხმობს მასურ ნაწილს, თუ სხვა მითითება არაა, ტერმინი „წყალი“ ნიშნავს გაწმენდილ წყალს.

თუ კერძო სტატიაში რაიმე მითითება არაა, მცენარეული ნედლეული ექსტრაქციის საჭიროებიდან გამომდინარე, უნდა დაწვრილმანდეს შემდეგი ხარისხით:

ფოთლები, ყვავილები, ბალახი----- 4000 მმკ-მდე,

ღეროები, ქერქები, ფესვები----- 2800 მმკ-მდე,
 ნაყოფები, თესლები ----- 2000 მმკ-მდე,
 ალკალოიდების შემცველი მცენარეული ნედლეული დაიფხვნას-
 710 მმკ-მდე.

თხევადი განზავებების შემცველ პრეპარატებში ალკოჰოლის კონცენტრაცია საჭიროებისა და გამოწერის მიხედვით არის 15-დან 30 პროცენტამდე (მასით).

ყველა საწარმოო პროცესი ტარდება ქიმიურად მედეგი მასალისაგან დამზადებულ აპარატურაში. თუ სხვა მითითება არაა, ამოშრობა, გაცხელება, მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედება, მაქსიმალურად უნდა იქნეს არიდებული.

კორიგენტების - სასიამოვნო სურნელებების, შემფერავი ნივთიერებების, დამატება კატეგორიულად აკრძალულია. ასევე აკრძალულია კონსერვანტების დამატება, თუ ინდივიდუალურ შემთხვევაში ფარმაკოპეის მიერ სხვა მითითება არაა მოცემული .

თხევადი განზავებები მზადდება ჭურჭელში, რომლის ტევადობა სულ მცირე 1/3-ით მეტია, ვიდრე მოსამზადებელი წამლის ფორმის მასა. პოტენციურების ყოველი საფეხურისათვის უნდა იქნეს დაცული განზავების დაკანონებული წესი და უნდა მოხდეს სულ მცირე ათჯერ მაინც ენერგიული შენჯღრევა. ყოველი განზავებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს ცალკე ჭურჭელი; ამას ეწოდება მრავალჭურჭლიანი მეთოდი.

თუ გამოყენებულია succussion-ის (ქართული შესატყვისი არ არსებობს. აზრობლივად ნიშნავს: სუბსტანციის გააქტივების მიზნით ძლიერ ნჯღრევას და გამოიყენება მხოლოდ ჰომეოპათიური წამლის ფორმების ტექნოლოგიაში) - ენერგიული ნჯღრევის მექანიკური საშუალებები, ანუ მანქანები ნჯღრევისათვის, მაშინ ნჯღრევის ხანგრძლივობა და სიხშირე უნდა იყოს ხელით ჩატარებული ოპერაციების ანალოგიური.

მყარი და თხევადი განზავებების მომზადებისას, თუ ჰომეოპათიური ფარმაკოპეის მონოგრაფიაში სხვა მითითება არაა, ტექნოლოგიის არც ერთი საფეხური არ უნდა იყოს გამოტოვებული.

მეთოდი 6-ისა და მეთოდი 7-ის თანახმად მზადდება მყარი განზავებები.

როცა კაფსულებში ტრიტურაციის ან მყარი განზავების ერთჯერადი დოზაა მოთავსებული, ეს უნდა იყოს უფრო მყარი ჟელატინის კაფსულები და აკმაყოფილებდეს ევროფარმაკოპეის მონოგრაფიებს: „მყარი კაფსულები“ და „დოზირებული წამალთფორმები კაფსულებში“.

გაფორმება.

გაფორმება და ეტიკეტირება უნდა მოხდეს კანონმდებლობის დაცვით. თუ წამლის ფორმა გამოიყენება სპეციალური მკურნალობისათვის, ეს ეტიკეტზე უნდა იქნას აღნიშნული; ყველა შემთხვევაში პრეპარატის დანიშნულება უნდა აღინიშნოს ეტიკეტზე.

თუ თხევადი განზავების მომზადებისას „მომზადების სპეციალურ მეთოდებში“ ალკოჰოლის კონცენტრაცია შეიცვალა 15- ან 30%-ით, ეს უნდა აღინიშნოს ეტიკეტზე.

დანარჩენ დეტალებს გაფორმების შესახებ დამატებითი რჩევების სახით შეიცავს ინდივიდუალური მეთოდებიც სათაურის ქვეშ „გაფორმება“.

თავში 5.4.3. მოცემულია დედა ნაყენების, მათი თხევადი განზავებებისა და ტრიტურაციების დახასიათება. ფარმაცოპეა მოითხოვს, რომ ისინი არ უნდა იყოს იმაზე მღვრიე, ვიდრე მოველით პრეპარატს ბუნებრივი ნედლი მასალიდან. თითოეული უნდა აკმაყოფილებდეს ჰომეოპათიური ფარმაცოპეის მონოგრაფია - „დოზირებული წამალთფორმები“-ის მოთხოვნებს.

ტრიტურაციებიც უნდა აკმაყოფილებდნენ ჰომეოპათიური ფარმაცოპეის მონოგრაფია „დოზირებული წამალთფორმები“ -ის მოთხოვნებს.

ოფიციალური გერმანული ფარმაცოპეა თავში 5.4.4., იძლევა ჰომეოპათიური წამლის ფორმების ტექნოლოგიის შესახებ კერძო სტატიებს, რომლებიც სახელმძღვანელოდ შეიძლება გამოვიყენოთ. ტექნოლოგიის ამ კერძო მეთოდებს განამტკიცებენ იმავე დოკუმენტის შემდეგი თავები: „ნედლეული“ (თავი 5.2), „გამხსნელები და დამხმარე ნივთიერებები“ (თავი 5.3.) და „კერძო დებულებები“ (თავი 5.4.1.). ამ რეგლამენტაციას ეფუძნება ოფიციალური ჰომეოპათიური ფარმაცოპეის შემდეგი მეთოდები (ცხრილი №7)

ოფიციალური გერმანული ჰომეოპათიური ფარმაცოპეის მეთოდების ჩამონათვალი

ცხრილი №7

მეთოდის №	წამლის ფორმა, რომელიც ამ მეთოდით მზადდება
მეთოდი 1	დედა ტინქტურები ნედლი მცენარის წვენიდან
მეთოდი 2-3	დედა ტინქტურები ნედლი მცენარეული ნედლეულიდან
მეთოდი 4a	დედა ტინქტურები მშრალი მცენარეული ნედლეულიდან
მეთოდი 4b	დედა ტინქტურები ცხოველური ნედლეულიდან
მეთოდი 5	ხსნარები (განზავებები, პოტენციები)
მეთოდი 6-7	ტრიტურაციები
მეთოდი 8	ტრიტურაციებიდან მომზადებული სითხოვანი პრეპარატები

მეთოდის №	წამლის ფორმა, რომელიც ამ მეთოდით მზადდება
მეთოდი 9	ტაბლეტები
მეთოდი 10	აბები (გლობულები, პილულები) – Pilules
მეთოდი 11	პარენტერალური პრეპარატები (საინექციო თხევადი განზავებები)
მეთოდი 12	თხევადი პრეპარატები კანის აპლიკაციებისათვის Externa
მეთოდი 13	მალამოები - Unguenta –ლათ., Ointments - ინგლ.
მეთოდი 14	სუპოზიტორიები - Suppositiria
მეთოდი 15	თვალის წვეთები - Gutta ophthalmici-ლათ., Eye drops - ინგლ.
მეთოდი 16	მიქსტურები
მეთოდი 17	LM პოტენციები
მეთოდი 18-20	თერმული დამუშავებით მიღებული დედა ტინქტურები
მეთოდი 21-22	Rh დედა ტინქტურები
მეთოდი 23-24	თერმული დამუშავებით მიღებული წყლიანი დედა ტინქტურები
მეთოდი 25-26	ციმპელის სპაგირიკული დედა ტინქტურები
მეთოდი 27-30	კრაუსის სპაგირიკული დედა ტინქტურები
მეთოდი 31	Not covered
მეთოდი 32	ბუფერირებული წყლიანი დედა ტინქტურები
მეთოდი 33-37	თერმული დამუშავებით და ფერმენტაციით მიღებული წყლიანი დედა ტინქტურები
მეთოდი 38	დაბალი ტემპერატურის გამოყენებით მიღებული წყლიანი დედა ტინქტურები
მეთოდი 39	ველატის გლობულები globuli velati
მეთოდი 40	Co- პოტენტირებული მიქსტურები
მეთოდი 41	GI დედა ტინქტურები (ორგანოპრეპარატები)
მეთოდი 42	დედა ტინქტურები (ორგანოპრეპარატები)
მეთოდი 43-44	დედა ტინქტურები (ნოზოდები)
მეთოდი 45	ცხვირის წვეთები (Nasal drops - ინგლ.)
მეთოდი 46	ღვინოზე მომზადებული სითხოვანი განზავებები
მეთოდი 47	პეკანას სპაგირიკული დედა ტინქტურები
მეთოდი 48	დაწვრილმანებული მეტალის შემცველი მალამოები
მეთოდი 49	წყლიანი დედა ტინქტურები
მეთოდი 50a-b	სტრატმაიერის სპაგირიკული დედა ტინქტურები
მეთოდი 50c	სტრატმაიერის მალამოები

რუსი ფარმაცევტების მიერ შემუშავებულია და შესაბამისი ორგანოების მიერ დამტკიცებულია შემდეგი ზოგადი ფარმაკოპეული სტატიები:

- ჰომეოპათიური მატრიცული (დედა) ტინქტურები,
- ჰომეოპათიური ტრიტურაციები,
- ჰომეოპათიური ხსნარები და განზავებები (პოტენციები),
- ჰომეოპათიური გრანულები,
- ჰომეოპათიური ტაბლეტები,
- ჰომეოპათიური მალამოები,

- ჰომეოპათიური თხევადი ოპოდელდოკები,
- ჰომეოპათიური სუპოზიტორიები.

ამას თანდათან ემატება სხვა ნორმატიული დოკუმენტები (დროებითი ფარმსტატიები, ტექნიკური პირობები და სხვა), რომელთა საფუძველზე მზადდება სააფთიაქო და სამრეწველო წარმოების წამლის ფორმები ამ ქვეყანაში.

თავი 3. კერძო ნაწილი

3.1. დედა ტინქტურები და თხევადი განზავებები

ჰომეოპათიური დედა ნაყენები - TINCTURAE HOMOEOPATHICAE MATRICARIAE წარმოადგენენ წყალ-სპირტიან, სპირტიან ან წყლიან გამონაწვლილებს მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის ნედლეულიდან და გამოიყენებიან, როგორც მზა სამკურნალო საშუალებების სახით, ასევე მათგან წამლების მოსამზადებლად, როგორც ნედლეული.

ჰომეოპათიური მატრიცული ნაყენები რუსეთის ნდ-ის თანახმად მზადდება ორი გზით:

- ა) ნედლი მც. წვენი და 86% ეთან. თანაბარ რაოდენობათა შერევით;
- ბ) ნედლი ან გამომშრალი მცენარეული ნედლეულის, ცხოველური, ცხოველთა ცხოველმოქმედების პროდუქტების (სეკრეტების) ექსტრაქციით.

ნედლი მცენარეული ან ახალმოკლული ცხოველური ნედლეულიდან მიღებულ ნაყენებს **ესენციები** ეწოდება. განზავებულ დედა ტინქტურებს და ესენციებს აღნიშნავენ **მ** (ფიტა) სიმბოლოთი.

ექსტრაგენტად იყენებენ სხვადასხვა კონცენტრაციის ეთილის სპირტს; კონცენტრაცია, განსხვავებით ალოპათიური მედიცინისაგან, გამოისახება მასური პროცენტებით, სპირტის კონცენტრაცია მითითებული უნდა იყოს კერძო სტატიამი. იშვიათად ექსტრაგენტად გამოიყენება გაწმენდილი წყალიც.

№8 ცხრილში მოცემულია სპირტისა და წყლის მასა გრამებში, რომელიც უნდა შევურიოთ სხვადასხვა კონცენტრაციის ეთილის სპირტის მისაღებად.

წყლისა და 96 – 96,9%-იანი ეთილის სპირტის რაოდენობა გრამებში, რომლებიც უნდა შევურიოთ, რომ მივიღოთ 1 კგ სხვადასხვა კონცენტრაციის ეთილის სპირტი
ცხრილი №8

დედა ნაყენი	15%		30%		43%		62%		73%		86%	
	სპირტი	წყალი	სპირტი	წყალი	სპირტი	წყალი	სპირტი	წყალი	სპირტი	წყალი	სპირტი	წყალი
96	160	840	320	680	458	542	661	339	778	222	917	83
96,1	160	840	319	681	458	542	660	340	777	223	915	85
96,2	159	841	319	681	457	543	659	341	775	225	914	86
96,3	159	841	318	682	456	544	658	342	774	226	912	88
96,4	159	841	318	682	455	545	657	343	773	227	911	89
96,5	159	841	317	683	455	545	656	344	772	228	909	91
96,6	158	842	317	683	454	546	655	345	771	229	908	92
96,7	158	842	316	684	453	547	654	346	770	230	907	93
96,8	158	842	316	684	453	547	653	347	768	232	905	95
96,9	158	842	315	685	452	548	652	348	767	233	904	96

ნედლი მცენარიდან ნაყენების ტექნოლოგია მასში წვენის, ეთეროვანი ზეთების, ფისისა და ლორწოს შემცველობაზეა დამოკიდებული. ჰომეოპათიაში ნედლი მცენარის წვენი მიღებულია, როგორც სამკურნალო ერთეული.

თუ კერძო სტატიაში სპეციალური მითითება არა არის, მომზადებისას იცავენ შემდეგ წესებს:

მეთოდი 1. (რუსული ნტდ) მცენარეულ ნედლეულს, რომელიც შეიცავს 70%-ზე მეტ წვენს, არ შეიცავს ეთეროვან ზეთებს, ფისებს ან ლორწოებს, გულდასმით აქუცმაცებენ ფაფის წარმოქმნამდე და გამოწურავენ წნეხში. მიღებულ წვენს ურევენ 80%-იან ეთანოლს თანატოლი რაოდენობით, ძლიერ ანჯღრევენ და 8 დღე-ღამით მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში 20⁰ C-ზე დაბალ ტემპერატურაზე ტოვებენ დასაწდომად, რის შემდეგაც ფილტრავენ.

მიღებულ ნაყენში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობას ანგარიშობენ 1:2 -ზე, ხოლო სპირტს - 43%-იანად.

კერძო სტატიაში ნორმირებულია მშრალი ნაშთი. თუ მშრალი ნაშთი აღმოჩნდა ნორმაზე მაღალი, ნაყენს განაზავებენ 43%-იანი სპირტით, რომლის საჭირო რაოდენობა გამოითვლება ფორმულით:

$$E_1 = P \cdot (B_x - B_0) / B_0, \quad \text{სადაც}$$

E_1 არის განზავებისათვის საჭირო 43%-იანი სპირტის რაოდენობა;

P - ფილტრატის მასა;

B_x - მშრალი ნაშთი ნაყენში ფაქტიურად;

B_0 - მშრალი ნაშთი ნორმატიული დოკუმენტის მიხედვით.

მეთოდი 2. მცენარეულ ნედლეულს, რომლის წვენშემცველობა 70%-ზე ნაკლებია და რომელიც არ შეიცავს ეთეროვან ზეთებს, ფისებს ან/და ლორწოებს, გულდასმით აქუცმაცებენ ფაფისებრი მასის მიღებამდე. ნედლეულის ნაწილს იყენებენ შრობისას წონაში დანაკარგის განსაზღვრისათვის. მცენარეულ მასალას შეურევენ მისი წონის ნახევარს 86%-იან ეთანოლს, რომლის საჭირო რაოდენობა გამოითვლება ფორმულით:

$$E_2 = P \cdot D / 100, \quad \text{სადაც}$$

E_2 არის 85%-იანი ეთანოლის მასა კგ-ში;

P - მცენარეული მასალის მასა კგ;

D - წონაში დანაკარგი შრობისას.

გამოანგარიშებული სპირტის რაოდენობას მიუმატებენ მცენარეულ მასალას და მუდმივი მორევის ქვეშ დააყოვნებენ არაუმცირეს 8 დღე-ღამის განმავლობაში 20⁰ C-ზე დაბალ ტემპერატურაზე. ამის შემდეგ ფილტრავენ.

მიღებულ ნაყენში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობას ანგარიშობენ 1:2 -ზე, ხოლო სპირტს - 43%-იანად.

თუ მშრალი ნაშთი აღმოჩნდა ნორმაზე მაღალი, ნაყენს განაზავებენ 43%-იანი სპირტით, რომლის საჭირო რაოდენობა გამოითვლება იგივე ფორმულით, რაც მითითებულია მეთოდი 1 -ში.

მეთოდი 2^ა. ნაყენი მზადდება მეთოდით 2. ექსტრაგენტად გამოიყენება 62%-იანი, ხოლო გამონაწვლილის განაზავებისათვის 30%-იანი ეთანოლი.

მეთოდი 3. თუ მცენარეული ნედლეული შეიცავს ეთეროვან ზეთებს, ფისებს, ლორწოებს და წონაში დანაკარგი შრობისას 60%-ზე ნაკლებია, მას გულდასმით აქუცმაცებენ ფაფისებურ მასამდე. გამოწურავენ წვენს, რომელსაც უმატებენ მისი მასის ნახევარს 86%-იან სპირტს. დაქუცმაცებული ნედლეულის ნაწილს იყენებენ შრობისას წონაში დანაკარგის განსაზღვრისათვის.

ნაყენის მისაღებად საჭირო 86%-იანი სპირტის რაოდენობა გამოითვლება ფორმულით:

$$E_3 = P \cdot D / 100 \quad , \quad \text{სადაც}$$

E_3 არის 85%-იანი ეთანოლის მასა კგ-ში;

P - მცენარეული მასალის მასა კგ;

D - წონაში დანაკარგი შრობისას.

სპირტის გამოთვლილ რაოდენობას უმატებენ ნარევის და აყონებენ მაცერაციისათვის 8 დღე-ღამის განმავლობაში ყოველდღიური მორევის ქვეშ. შემდეგ მასას გამოწურავენ, სითხეს აურევენ და მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში აყონებენ 8 დღე-ღამის განმავლობაში 20⁰ C-ზე დაბალ ტემპერატურაზე, რის შემდეგაც ფილტრავენ.

მიღებულ ნაყენში სამკურნალო ნივთიერების შემცველობაა 1:3 -ზე, სპირტისა კი - 62%.

მეთოდი 3^ა. ნაყენები მზადდება მეთოდით 3. ექსტრაგენტის სახით გამოიყენება 73%-იანი ეთანოლი. მიიღება ნაყენი 1:3-ზე, რომელშიც სპირტის კონცენტრაცია იქნება 62%.

მეთოდი 3^ბ. ნაყენებს ამზადებენ მეთოდი 3-ის ტექნოლოგიით. ექსტრაგენტის სახით გამოიყენება 43%-იანი ეთანოლი. მიიღება ნაყენი 1:3-ზე, რომელშიც სპირტის კონცენტრაცია იქნება 30%.

შენიშვნა: წვენის შემცველობა მცენარეულ ნედლეულში განისაზღვრება შემდეგი მეთოდებით:

ა) ნედლეულს აქუცმაცებენ, მისგან გამოწურავენ ცოტა წვენს, გაფილტრავენ და საზღვრავენ მშრალ ნაშთს. წვენის შემცველობა გამოითვლება ფორმულით:

$$X=D\% C , \quad \text{სადაც}$$

D არის წონაში დანაკარგი შრობისას %-ებში, ხოლო C - წვენი მშრალი ნაშთი %-ებში.

ბ) თუ მცენარეული ნედლეული 60%-ზე ნაკლებ წვენს შეიცავს, მას დააქუცმაცებენ ფაფისებურ მასამდე და დაუმატებენ მასით თანატოლ გაწმენდილ წყალს, გულდასმით აურევენ, დატოვებენ 24 საათით, რის შემდეგაც გამოწურავენ დოლბანდის ორმაგ ფენაში. ფილტრატში საზღვრავენ მშრალი ნაშთისა და წვენის შემცველობას პროცენტებში ფორმულით:

$$X=(D+B).100/100-B , \quad \text{სადაც}$$

D არის მასის დანაკარგი შრობისას, ხოლო B - ფილტრატის მშრალი ნაშთი პროცენტებში.

გამომშრალი სამკურნალო მცენარეული ან ახალი ცხოველური წარმოშობის ნედლეულიდან ნაყენები მზადდება მაცერაციით და მაცერაცი-პერკოლაციის შერწყმით (4^ა).

მეთოდი 4. გამომშრალი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის უხეში ფხვნილს, ფაფისებურ მასამდე დაქუცმაცებულ ნედლ მცენარეულ ნედლეულს ან ცხოველური ნედლეულის 1 ნაწილს ასხამენ 10 ნაწილ ეთანოლს, რომლის კონცენტრაცია მითითებულია კერძო სტატიაში. აწარმოებენ მაცერაციას 8 დღე-ღამის განმავლობაში ყოველდღიური მორევის ქვეშ. სითხეს ჩამოასხამენ, მასას გამოწურავენ წნების ქვეშ. ორივე სითხეს შეაერთებენ და მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში 8 დღე-ღამის განმავლობაში ტოვებენ არაუმეტეს 20⁰ C-ზე, რის შემდეგაც ფილტრავენ.

მიღება ნაყენი 1:10-ზე, რომელშიც სპირტის კონცენტრაცია მითითებული უნდა იყოს კერძო სტატიაში ან სხვა ნორმატიულ დოკუმენტში.

მეთოდი 4^ა. გამომშრალი სამკურნალო მცენარეული ნედლეულის ფხვნილის ან ახალი დაქუცმაცებული ცხოველური ნედლეულის 1 ნაწილს ასხამენ 5 ნაწილ ეთანოლს, რომლის კონცენტრაცია მითითებულია კერძო სტატიაში. გულდასმით ურევენ და 2 დღე-ღამით დააყოვნებენ, რის შემდეგაც მასას გადაიტანენ პერკოლატორში და ახდენენ პერკოლირებას სიჩქარით 20 წვეთი/წუთში სპირტის ისეთი რაოდენობით, რომ მიიღონ 10 ნაწილი ნაყენი. დააყოვნებენ მჭიდროდ თავდაცობილ ჭურჭელში არაუმეტეს 20⁰ C-ზე 8 დღე-ღამის განმავლობაში.

მიღებულ ნაყენში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობას ანგარიშობენ 1:10-ზე, სპირტის შემცველობა კი მითითებულია კერძო სტატიაში.

ნაყენების მომზადება ცხოველური ნედლეულიდან რუსული ჰომეოპათიური ფარმაცოპეის სტატიის მიხედვით Apis -ის მაგალითზე:

ჰომეოპათიაში გამოიყენება ყველა ფუტკარი. განვიხილოთ ნაყენის მომზადება დედა ფუტკრისაგან: ცოცხალ ფუტკარს ათავსებენ ბოთლში და დაამუშავებენ 62%-იანი ეთანოლის ორმაგი რაოდენობით. შემდეგ მწერს დააქუცმაცებენ ფაიფურის როდინში, უმატებენ 8 ნაწილ 62%-იან ეთანოლს და ტოვებენ 14 დღე, ანჯღრევენ დღეში 3-ჯერ. მიღებულ ნაყენს ფილტრავენ ისე, რომ არ გამოწურავენ.

მეორე და მესამე ათობითი განზავებები მზადდება 62%-იან ეთანოლზე, ხოლო უფრო მაღალი განზავებებისათვის გამოიყენება 43%-იანი ეთანოლი.

ნაყენი, მისი D2 და D3 განზავებები ინახება სიფრთხილით (სია B). ფუტკრის სხეულისაგან მიღებულია პრეპარატი „აპის“. იგი იწვევს კაპილარების შეღწევადობის მომატებას, კანის მწვავე ანთებას და შემუშუბას.

გერმანული ჰომეოპათიური ფარმაკოპეის თანახმად, **მეთოდი 1-ის** მიხედვით მომზადებული დედა ტინქტურები წარმოადგენენ თანატოლი რაოდენობის ნედლი მცენარის წვენიდან და 86%-იანი ალკოჰოლის ნარევს, რომლებსაც ზოგიერთ ქვეყანაში **ესენციებსაც** უწოდებენ.

წინასწარ დაქუცმაცებულ მთლიან მცენარეს ან მის ნაწილს, რომელიც წარმოადგენს ნედლეულს, გამოწურავენ. დაუყოვნებლივ დაუმატებენ თანატოლი რაოდენობის 86%-იან ალკოჰოლს და დატოვებენ თავდახურულ ჭურჭელში 5 დღის განმავლობაში არაუმეტეს 20° C ტემპერატურაზე. ამის შემდეგ გაწურავენ ან გაფილტრავენ.

ხარისხის კონტროლი სპეციფიციურებულია კერძო მონოგრაფიით:

ისაზღვრება მშრალი ნაშთი ანუ ფილტრატის პროცენტული შემცველობა. 43%-იანი ალკოჰოლის რაოდენობა გამოითვლება (1) ფორმულით:

$$A_1 = m \cdot (N_x - N_0) / N_0 \quad [კგ] \quad (1),$$

სადაც m არის ფილტრატის მასა კგ-ში, N_0 - მშრალი ნაშთი ანუ %-ლი შემცველობა, როგორც აღწერილია კერძო მონოგრაფიაში, N_x - მშრალი ნაშთი ანუ ფილტრატის პროცენტული შემცველობა.

ფილტრატს ურევენ განსაზღვრული რაოდენობის 43%-იან ალკოჰოლს, დატოვებენ 5 დღის განმავლობაში არაუმეტეს 20° C ტემპერატურაზე. ამის შემდეგ, თუ აუცილებელია, გაწურავენ.

პოტენცირება:

პირველი ათობითი განზავება (D1) მზადდება 2 ნაწილი დედა ნაყენისა და 8 ნაწილი 43%-იანი ალკოჰოლის შერევით.

მეორე ათობითი განზავება (D2) მზადდება 1 ნაწილი პირველი ათობითი განზავებისა და 9 ნაწილი 43%-იანი ალკოჰოლის შერევით.

მომდევნო განზავებები მზადდება შესაბამისად.

პირველი ასობითი განზავება (C1) მზადდება 2 ნაწილი დედა ტინ-ქტურისა და 98 ნაწილი 43%-იანი ალკოჰოლის შერევით.

მეორე ასობითი განზავება (C2) მზადდება 1 ნაწილი პირველი ასობითი განზავებისა და 99 ნაწილი 43%-იანი ალკოჰოლის შერევით.

მომდევნო განზავებები მზადდება შესაბამისად.

მეთოდი 2a -ს მიხედვით დედა ნაყენები მზადდება მაცერაციით და-ახლოებით 43%-იან ალკოჰოლზე, როგორც ქვემოთაა აღწერილი:

აქუცმაცებენ მთლიან მცენარეს ან მის ნედლეულად გამოყენებულ ნაწილს. იღებენ ნიმუშს და საზღვრავენ დანაკარგს გამოშრობისას, როგორც მითითებულია ჰომეოპათიურ ფარმაცოპეაში. დაქუცმაცებულ მასალას დაუყოვნებლივ უმატებენ არანაკლებ მისი წონის ნახევარს 86%-იან ალკოჰოლს. ინახავენ კარგად თავდაცობილ ჭურჭელში არაუმეტეს 20° C ტემპერატურაზე. მცენარეული ნედლეულისათვის საჭირო 86%-იანი ალკოჰოლის მთლიან, A₂ რაოდენობას საზღვრავენ (2) ფორმულით:

$$A_2 = m \cdot T / 100 \quad [\text{კგ}] \quad (2),$$

სადაც m არის მცენარეული ნედლეულის მასა კგ-ში, ხოლო T - დანაკარგი %-ში გამოშრობის დროს.

ალკოჰოლის მთელს რაოდენობას გამოაკლებენ უკვე დამატებულს და სხვაობას დაამატებენ ნარევის. აყოვნებენ არანაკლებ 10 დღე-ღამის განმავლობაში, არაუმეტეს 20° C ტემპერატურაზე, პერიოდულად ურევენ. ამის შემდეგ გამოწურავენ და გაფილტრავენ.

რაოდენობრივი განსაზღვრა მოცემულია კერძო სტატიებში.

პოტენცირება ხდება ისევე, როგორც აღწერილია მეთოდი 1-ში.

მეთოდი 2b-ს მიხედვით დედა ტინქტურები მზადდება 62%-იან ალკოჰოლზე. ამ მეთოდით მომზადებულ მზა ნაყენში ალკოჰოლის შემცველობა 30%-ია.

კონცენტრაციის განსაზღვრა ხდება ისე, როგორც მეთოდი 1 -ის დროს და მოცემულია კერძო მონოგრაფიებში. კონცენტრაციის რეგულირებისათვის გამოიყენება 30%-იანი ალკოჰოლი.

პოტენცირება:

პირველი ათობითი განზავება (D1) მზადდება ასე: 2 ნაწილ დედა ნაყენს ურევენ 8 ნაწილ 30%-იან ალკოჰოლს. მეორე ათობითი განზავება (D2) მზადდება შემდეგნაირად: შეურევენ 1 ნაწილ პირველ ათობით განზავებას და 9 ნაწილ 15%-იან ალკოჰოლს.

მომდევნო განზავებები მზადდება შესაბამისად.

მეთოდი 3a-ს თანახმად მომზადებული დედა ტინქტურები ალკოჰოლს შეიცავენ მიახლოებით 60%-ს. დედა ნაყენები მზადდება 2a მეთოდის მსგავსად, მაგრამ 86%-იანი ალკოჰოლის რაოდენობა A_3 გამოითვლება (3) ფორმულით:

$$A_3 = 2 \cdot m \cdot T / 100 \quad [კგ] \quad (3),$$

სადაც m არის მცენარეული მასალის მასა კგ-ში, ხოლო T - ნიმუშის წონაში დანაკარგი გამოშრობისას (%-ებში).

თუ ინდივიდუალურ მონოგრაფიაში სხვა კონცენტრაცია არაა მითითებული, ისევე, როგორც მეთოდ 1-ში, აქაც კონცენტრაციის რეგულირებისათვის გამოიყენება 62%-იანი ალკოჰოლი.

პოტენცირება:

პირველი ათობითი განზავება (D1) მზადდება 3 ნაწილი დედა ნაყენისა და 7 ნაწილი 62%-იანი ალკოჰოლის შერევით.

მეორე ათობითი განზავება (D2) მზადდება შემდეგნაირად: 1 ნაწილ პირველ ათობით განზავებას შეურევენ 9 ნაწილ 62 %-იან ალკოჰოლს.

პირველი ასობითი განზავება (C1) მზადდება შემდეგნაირად: 3 ნაწილ დედა ტინქტურას უმატებენ 97 ნაწილ 62%-იან ალკოჰოლს და შეურევენ .

მეორე ასობითი განზავება (C2) მიიღება პირველი ასობითი განზავებისაგან; მის 1 ნაწილს შეურევენ 99 ნაწილ 43%-იან ალკოჰოლს.

მომდევნო განზავებები მზადდება შესაბამისად.

მეთოდი 3b-ს თანახმად მზადდება 43% ალკოჰოლის შემცველი დედა ტინქტურები. მომზადებისათვის გამოიყენება 73%-იანი ალკოჰოლი. კონცენტრაციის რეგულაცია ხდება ისევე, როგორც მეთოდ 1-ში - 43%-იანი ალკოჰოლით.

პოტენცირება:

პირველი ათობითი განზავება (D1) მზადდება 3 ნაწილი დედა ტინქტურისა და 7 ნაწილი 43%-იანი ალკოჰოლის შერევით.

მეორე ათობითი განზავება (D2) მზადდება შემდეგნაირად: 1 ნაწილ პირველ ათობით განზავებას შეურევენ 9 ნაწილ 30 %-იან ალკოჰოლს.

მესამე ათობითი განზავება (D3) მზადდება 1 ნაწილი D2-ისა და 9 ნაწილი 15%-იანი ალკოჰოლისაგან.

მომდევნო განზავებები მზადდება შესაბამისად.

მეთოდი 3c-ს თანახმად მზადდება დედა ტინქტურები, რომლებიც ალკოჰოლს დაახლოებით 30%-ს შეიცავენ. მომზადება ხდება ისე, როგორც მითითებულია 3a მეთოდში, მაგრამ გამოიყენება 43% -იანი ალკოჰოლი.

კონცენტრაციის რეგულაციისათვის აქაც, მეთოდი 1 -ის მსგავსად, გამოიყენება 30%-იანი ალკოჰოლი.

პოტენცირება:

პირველი ათობითი განზავება (D1) მზადდება 3 ნაწილი დედა ტინქტურისა და 7 ნაწილი 30%-იანი ალკოჰოლის შერევით.

მეორე ათობითი განზავება (D2) მზადდება შემდეგნაირად: 1 ნაწილ პირველ ათობით განზავებას შეურევენ 9 ნაწილ 15 %-იან ალკოჰოლს.

მომდევნო განზავებები მზადდება შესაბამისად.

მეთოდი 4a-ს თანახმად, დედა ტინქტურები მზადდება მაცერაციით. მაცერაციის ტექნოლოგია აღწერილია ევროფარმაკოპეის მონოგრაფიაში „Tinctures”. ჰომეოპათიური წარმოებაც იყენებს ამ სტანდარტს.

მეთოდი 4a-ს მიხედვით ტინქტურების მოსამზადებლად, იღებენ 1 ნაწილს მშრალ მცენარეულ ნედლეულს და 10 ნაწილს იმ კონცენტრაციის ალკოჰოლს, რომელიც GHP -ის მიხედვითაა რეკომენდებული - განყოფილებაში H.5.3.. ალკოჰოლის კონცენტრაციას გამოითვლიან (1) ფორმულით.

ალკოჰოლის გამომანგარიშებულ რაოდენობას შეურევენ ფილტრატს. ნარევს დაყოფენ არანაკლებ 5 დღე-ღამის განმავლობაში, არაუმეტეს 20° C ტემპერატურაზე, რის შემდეგაც, თუ საჭიროება მოითხოვს, გაფილტრავენ.

პოტენცირება:

დედა ტინქტურა თავისთავად უკვე პირველი ათობითი განზავებაა ($\emptyset=D1$).

მეორე ათობითი განზავება (D2) მზადდება შემდეგნაირად: 1 ნაწილ პირველ ათობით განზავებას შეურევენ 9 ნაწილ იგივე კონცენტრაციის ალკოჰოლს.

მესამე ათობითი განზავება (D3) მზადდება 1 ნაწილი D2-ისა და 9 ნაწილი იგივე კონცენტრაციის ალკოჰოლის შერევით.

დაწყებული D4-დან და ზემოთ, თუ ალკოჰოლის კონცენტრაცია მითითებული არ არის, იყენებენ 43%-იან ალკოჰოლს. პირველი ასობითი განზავებისათვის (C1), თუ სხვა მითითება არ არის, გამოიყენება იგივე კონცენტრაციის ალკოჰოლი; იღებენ 10 ნაწილ დედა ნაყენს და 90 ნაწილ აღნიშნული კონცენტრაციის ალკოჰოლს.

მეორე ასობითი განზავება (C2) მზადდება 1 ნაწილი C1 -საგან და 99 ნაწილი 43%-იანი ალკოჰოლისაგან.

მომდევნო განზავებები მზადდება შესაბამისად.

მეთოდი 4b-ს თანახმად, დედა ნაყენები მზადდება მაცერაციის ან პერკოლაციის მეთოდით ისე, როგორც აღწერილია ევროფარმაკოპეის მონოგრაფიაში „Tinctures”. გამოიყენება **ცხოველის** რომელიმე ორგანო ან ცხოველური სეკრეტი 1 ნაწილი და 10 ნაწილი შესაბამისი კონცენტრაციის ალკოჰოლი. თუ კერძო მონოგრაფიაში სხვა მითითება არ არის, იღებენ ალკოჰოლს, როგორც რეგლამენტირებულია „Vehicles and excipients” (H5.3.) GHP -ში.

სასურველი კონცენტრაციის ალკოჰოლის მისაღებად საჭირო სუფთა ალკოჰოლის რაოდენობა გამოითვლება (1) ფორმულით ან კონცენტრაციის ცხრილებით. სპირტის მიღებულ რაოდენობას ურევენ ფილტრატს. ნარევეს დაყოვნებისათვის ტოვებენ არანაკლებ 5 დღე-ღამის განმავლობაში არაუმეტეს 20° C ტემპერატურაზე, რის შემდეგაც, თუ საჭიროება მოითხოვს, გაფილტრავენ.

პოტენცირება:

დედა ტინქტურა თავისთავად უკვე პირველი ათობითი განზავებაა ($\emptyset=D1$).

მეორე ათობითი განზავების (D2) მისაღებად იღებენ 1 ნაწილ D1-ს, ანუ დედა ნაყენს და 9 ნაწილს იგივე კონცენტრაციის ალკოჰოლს.

მესამე ათობითი განზავებისათვის (D3) 1 წონით ნაწილ D2-ს მიუმატებენ 9 წონით ნაწილ იგივე კონცენტრაციის ალკოჰოლს.

გამოიყენეთ 43%-იანი ალკოჰოლი მომდევნო განზავებებისათვის, D4-დან ზემოთ და მოამზადეთ, როგორც აღწერილია ზემოთ.

პირველი ასობითი განზავება (C1) მზადდება 10 ნაწილი დედა ნაყენისა და 90 ნაწილი იმავე კონცენტრაციის ალკოჰოლისაგან.

მეორე ასობითი განზავება (C2) მზადდება 1 ნაწილი პირველი ასობითი განზავებისა და 99 ნაწილი 43%-იანი ალკოჰოლისაგან.

მომდევნო განზავებები მზადდება შესაბამისად.

დედა ნაყენების მომზადება ესენციებიდან (ნტდ, რუსეთი).

ესენციებიდან დედა ნაყენების მომზადების დროს მათ აზავებენ განსაზღვრული კონცენტრაციის ეთანოლით შესაბამისი თანაფარდობებით და ახდენენ სტანდარტიზაციას. ამის შემდეგ აწარმოებენ მის სერთიფიცირებას. ყოველ ნაყენზე დგება აუცილებელი დოკუმენტები (ანუ შესაბამისობის ანალიზის ოქმები).

ჰომეოპათიური ტექნოლოგიის ამოცანა მდგომარეობს ნედლი მცენარიდან წვენის მაქსიმალურად გამოწურვაში. ესენციები მზადდება მცენარეში წვენის შემცველობიდან გამომდინარე. მოსამზადებლად გამოიყენება ფარმაკოპეული სტატიის სამი მეთოდი. წვენს ურევენ 86%-

იან ეთანოლს. წვენის შემცველობისა და ამის მიხედვით გამოყენებული მეთოდებიდან გამომდინარე, მიიღება 1:2 ან 1:3 ესენციები. №9 ცხრილში წარმოდგენილია ესენციების მიღების მეთოდების მოკლე დახასიათება, მომდევნო ცხრილში კი, მომზადების ტექნოლოგია.

ესენციების მიღების მეთოდების დახასიათება

ცხრილი №9

მეთოდი	ექსტრაგენტის ეთანოლის მასა	წვენის შემცველობა მცენარეულ ნედლეულში %	ეთანოლის კონცენტრაცია წონითი %		ესენციისა და ექსტრაგენტის თანაფარდობა
			საწყისი	საბოლოო	
1	$E_{\text{ეთანოლის}} = E_{\text{წვენის}}$	$X = D + C$	86	43	1:2
2	$E = P \cdot D / 100$	$X = D + C$	86	43	1:2
2 ^ა			62	30	1:2
3			86	62	1:3
3 ^ა	$E = 2P \cdot D / 100$	$X = 100(D + B) / (100 - B)$	73	62	1:3
3 ^ბ			43	30	1:3

შენიშვნა: P არის მცენარეული ნედლეულის მასა, D - წონაში დანაკარგი შრობისას, C - მშრალი ნაშთი, B - ექსტრაქციული ნივთიერებების რაოდენობა ფილტრატში, რომელიც მიიღება ნედლეულის ფაფის 24 საათიანი მაცერაციით გაწმენდილ წყალთან და ორკეც დოლბანდში გაწურვის შემდეგ.

თუ ექსტრაქციული ნივთიერებების შემცველობა ანუ მშრალი ნაშთი ესენციაში სტანდარტულზე მეტია, სტანდარტულ შემცველობამდე გასაზავებლად საჭირო 43%-იანი ეთანოლის მასას კგ-ებში ანგარიშობენ ფორმულით:

$$E = P(B_x - B_0) / B_0, \text{ სადაც}$$

P არის ფილტრატის მასა კგ-ებში, B_x - ესენციაში ექსტრაქციული ნივთიერებების შემცველობა %-ებში, B_0 - კერძო ფარმაკოპეულ სტატიაში ნორმირებული შემცველობა.

**ესენციების მომზადების ტექნოლოგია და სტადიების დახასიათება
სხვადასხვა მეთოდების დროს**

ცხრილი №10

მეთოდი 1	მეთოდი 2	მეთოდი 3
ნედლეულის დანაყვა ფაფისებური მასის წარმოქმნამდე		
ფაფის გამოწნევა წნეხის ქვეშ	ფაფის შერევა საწყისი ნედლეულის რაოდენობის ნახევარ ეთანოლთან და გულდასმით სრესვა.	
გამოწურული წვენის შერევა ეთანოლის გამოანგარიშებულ რაოდენობასთან ძლიერი ნჯღრევით.	ფაფაზე ეთანოლის დანარჩენი მასის დამატება იმ რაოდენობამდე, რომელიც წვენის ტოლ რაოდენობამდე შეავსებს მას.	ფაფაზე ეთანოლის დანარჩენი მასის დამატება წვენის გამოთვლილ რაოდენობაზე 2-ჯერ მეტი რაოდენობით.
დაყოვნება არაუმეტეს 20 ^o C ტემპერატურაზე მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში 8 დღე-ღამით.	მაცერაცია 8-14 დღე	
გაფილტვრა იმავე ტემპერატურაზე.	გამოწნევა წნეხის ქვეშ	
სტანდარტიზაცია: საჭიროების შემთხვევაში განზავება. მომდევნო მაცერაცია 5 დღე-ღამის განმავლობაში. გაფილტვრა.	დაყოვნება არაუმეტეს 20 ° C ტემპერატურაზე მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში 8 დღე-ღამით.	
ხარისხის კონტროლი.	გაფილტვრა არაუმეტეს 20 ° C ტემპერატურაზე.	
—	სტანდარტიზაცია: საჭიროების შემთხვევაში განზავება. მომდევნო მაცერაცია 5 დღე-ღამის განმავლობაში. გაფილტვრა. სტანდარტიზაცია.	

ესენციები ჰომეოპათიური პოტენციებისა და სხვა წამლის ფორმების მოსამზადებლად არ გამოიყენება; ერთადერთი, რაც მათგან მზადდება - დედა ტინქტურებია. ესენციებიდან მატრიცული ნაყენების მომზადებისას კომპონენტა შორის თანაფარდობა მოცემულია № 11 ცხრილში.

სტანდარტული დედა ნაყენების მომზადება ესენციებიდან

ცხრილი №11

ესენციების მიღების მეთოდი	ესენციების რაოდენობა ნაწილებში	ეთანოლის რაოდენობა ნაწილებში	ეთანოლის კონცენ-ტრაცია	ესენციის სიმკვრივე გ/სმ ³
1	2	8	43	0,944
2	2	8	43	0,944
3	3	7	62	0,905

3.2. ხსნარები და პოტენციები

ჰომეოპათიურ ფარმაცოპეაში (GHP) მოცემულია ხსნარებისა და პოტენციების მომზადების რამდენიმე მეთოდი, რომელთა დაცვა ევროკავშირის ქვეყნებისათვის აუცილებელია.

მეთოდი 5a-ს თანახმად მომზადებული პრეპარატები არიან ნედლეულისა და თხევადი დამხმარე ნივთიერებისაგან მიღებული სითხოვანი წამლის ფორმები.

თუ კერძო სტატიაში (ინდივიდუალურ მონოგრაფიაში) სხვა მითითება არაა, D1-ის მისაღებად 1 ნაწილ ნედლეულს 9 ნაწილ გამხსნელში ან წვენიში გახსნიან. თხევად არედ (თხევად მატარებლად) გამოიყენება ეთანოლი, გაწმენდილი წყალი, 85%-იანი გლიცერინი და წყალ-სპირტის ხსნარები. ისინი, როგორც აღვნიშნეთ, მოცემულია ოფიციალურ გერმანულ ჰომეოპათიურ ფარმაცოპეაში (GHP – H 5.3) სათაურით - „Vehicles and excipients” (გამხსნელები და მატარებლები).

თუ ხსნარისათვის სპეციფიკური მატარებელი არის 15%-იანი ალკოჰოლი, ისინი შეიძლება მომზადდეს შემდეგნაირად: 1 ნაწილ სუბსტანციას ხსნიან 7,58 ნაწილ გაწმენდილ წყალში D1 განზავების მისაღებად და ამატებენ 1,42 ნაწილს 94%-იან ალკოჰოლს. C1 ანუ D2 განზავების მისაღებად, 1 ნაწილ სუბსტანციას (ნედლეულს) ხსნიან 83,4 ნაწილ გაწმენდილ წყალში და უმატებენ 15,6 ნაწილ 94%-იან ალკოჰოლს.

პოტენცირება:

თუ ფარმაცოპეაში სხვაგვარად არაა სპეციფიცირებული, მეორე ათობითი განზავება (D2) შემდეგნაირად მზადდება: 1 ნაწილ D2 -ს დაუმატებენ 9 ნაწილ 43%-იან ალკოჰოლს.

მომდევნო განზავებები მზადდება ანალოგიურად.

მეორე ასობითი განზავება (მეორე ცენტიმალური განზავება ანუ C2) მზადდება 1 ნაწილი C1-ისა და 99 ნაწილი 43%-იანი ალკოჰოლისაგან.

მომდევნო განზავებები მზადდება ანალოგიურად.

მეთოდი 5b-ს მიხედვით თხევადი პრეპარატები მზადდება სუბსტანციისა და საინექციო წყლისაგან.

თუ კერძო მონოგრაფიაში სხვა მითითება არ არის, 1 ნაწილ სამკურნალო საშუალებას ხსნიან 9 ნაწილ საინექციო წყალში; ამ დროს მიიღება პირველი ათობითი განზავება; ან ხსნიან 99 ნაწილ საინექციო წყალში; ამ დროს მიიღება პირველი ასობითი ანუ მეორე ათობითი განზავება. გარდა საინექციო წყლისა, ფარმაცოპეა მიუთითებს ისეთი საინექციო წყლის გა-

მოყენებას, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური ჰომეოპათიური პროცედურა - პოტენციზაცია. მას შეაქვს ეს ეფექტი ჰომეოპათიური წამლის ფორმაში. ოპერაციის სახელწოდების ქართული თარგმანი, როგორც აღვნიშნეთ, არ არსებობს და გთავაზობთ ინგლისურ ტერმინებს - Succuss, Succussion, Fluxion (როცა საქმე ეხება სითხოვან განზავებებს). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, როცა ანალოგიური პროცედურა ტარდება მყარ მატარებლებთან ერთად, მას ტრიტურაცია ეწოდება. იგი კარგადაა ცნობილი ფარმაცევტებისათვის და გულისხმობს რხევების, სრესვის საშუალებით დაწვრილმანებას; ყველა ზემოაღნიშნული ოპერაცია საჭიროა სამკურნალო სუბსტანციების მოქმედების კიდევ უფრო გაძლიერებისათვის.

პოტენცირება:

მეორე ათობითი განზავება (D2) კეთდება 1 ნაწილი D1- ისა და 9 ნაწილი საინექციო წყლისაგან.

მომდევნო განზავებები მზადდება შესაბამისად.

მეთოდი 5b-ს მიხედვით წყლიანი ხსნარები მზადდება საჭიროებისას და გამოიყენება მხოლოდ მეთოდებით 11, 13, 14, 15, 39a და 39c დოზირებული წამლის ფორმების მოსამზადებლად. ანუ ზემოთაღნიშნული წყლიანი ხსნარები წარმოადგენენ შუალედურ პროდუქტებს ამ მეთოდებისათვის. მომზადებისას საინექციო წყლის მაგიერ დასაშვებია გაწმენდილი წყლის გამოყენებაც.

მეთოდი 5b-ს მიხედვით მომზადებული ხსნარები და მათი თხევადი განზავებები უნდა აკმაყოფილებდნენ ტესტს „სტერილურობაზე“ (ევროფარმაკოპეა 2.6.1), რათა დაცული იქნან შემდგომი კონტამინაციის პროცესებისაგან.

გაფორმება და ეტიკეტირება:

ამ მეთოდით მომზადებული პრეპარატები და მათი განზავებების დოზირებული სამკურნალწამლო ფორმები უნდა გაფორმდეს წარწერით - „წყლიანი“.

LM პოტენციები

მეთოდი 17-ით მზადდება მაღალი პოტენციები 1:50 000-ზე, რომლებმაც მიიღეს სახელწოდება LM- პოტენციები.

ამ განზავებების მოსამზადებლად სამკურნალო სუბსტანციის C3 ტრიტურაციის 60 მილიგრამის პოტენცირებას ახდენენ 20 მლ 15%-იან ალკოჰოლთან, რაც უდრის 500 წვეთს. მიღებული ხსნარის 1 წვეთი გადააქვთ პატარა შუშაში, უმატებენ 2,5 მლ 86%-იან ალკოჰოლს, რაც უდრის 100 წვეთს. ანჯღრევენ ძლიერად, ენერგიულად 100-ჯერ.

მიღებული ხსნარით შეასველებენ 100 გრამ ზომა 1 პილულებს (დაახლოებით 50 000) მჭიროდ თავდაცობილ ჭურჭელში - ერთგვაროვნობამდე; მოახდენენ ჰაერშრობას.

ეს პილულები შეესაბამება LM I პოტენციას.

LM II პოტენციის მოსამზადებლად LM I პოტენციის 1 პილულა გადააქვთ პატარა ჭურჭელში, ხსნიან მას 1 წვეთ გაწმენდილ წყალში, მიუმატებენ 2,5 მლ 86%-იან ალკოჰოლს (უდრის 100 წვეთს) და 100-ჯერ ენერგიულად ანჯღრევენ. მიღებული ხსნარით შეასველებენ 100 გრამ ზომა 1 პილულებს (დაახლოებით 50 000) მჭიროდ თავდაცობილ ჭურჭელში - ერთგვაროვნობამდე; მოახდენენ ჰაერშრობას.

უფრო მაღალი პოტენციები მზადდება შესაბამისად.

რაც შეეხება თხევად LM პოტენციას, მის მოსამზადებლად ხსნიან საჭირო პოტენციის 1 პილულას 10 მლ 15%-იან ალკოჰოლში. მიღებული ხსნარი იქნება იგივე პოტენციის, რაც მასში გახსნილი პილულა.

ჰომეოპათიური სითხეები შინაგანი და გარეგანი ხმარებისათვის (ფარმსტატია).

აფთიაქის ჰომეოპათიურ საწარმოო განყოფილებაში ამზადებენ:

ა) დედა ნაყენებს - ძირითადად მშრალი მცენარეული ნედლეულიდან მაცერაციის ხერხით. იყენებენ ნორმატიულ დოკუმენტს - ფარმაკოპეულ სტატის მეთოდი 4 -ს.

ბ) წყალ-სპირტიან ხსნარებს მინერალური ნივთიერებებისაგან და ქიმიური ნაერთებისაგან; ეთანოლის განზავება ხდება XI ფარმაკოპეის მეორე ალკოჰოლიმეტრული ცხრილით, ან სპეციალური №8 ცხრილით, რომელიც მოცემულია ტექსტში.

გ) სუბსტანციებისა და დედა ტინქტურების პოტენციები მზადდება C2, C5, C11, C29 განზავებებში. მხედველობაში მიიღება, რომ რეცეპტში ხშირად გვხვდება C3, C6, C12 და C30 განზავებები.

D1, D2 განზავებებს საწყისი ტინქტურებიდან ამზადებენ 43 % ეთანოლზე. წვეთებში უფრო ხშირად გვხვდება D2 და D3 განზავებები. ეთანოლი ჰომეოპათიური განყოფილების სასისტენტო ოთახში შემოდის განზავებული ყოველ 10 დღეში ერთხელ.

სპირტისა და წყლის რაოდენობები გამოითვლება ნებისმიერი საწყისი კონცენტრაციისათვის. განვიხილოთ მაგალითი: ვთქვათ გვაქვს საწყისი 96,4%-იანი ეთანოლი (მოცულობით). მეათე ფარმაკოპეის (FΦ X) ალკოჰოლიმეტრულ ცხრილში ვპოულობთ, რომ იგი შეესაბამება წონით

94,43%-ს. აქედან გვსურს მომზადდეს 15% ეთანოლი; ექვივალენტურობის კანონის თანახმად:

$$C_1 M_1 = C_2 M_2 \quad \text{ანუ} \\ 94,43 \cdot M_1 = 15 \cdot 1000 \\ M_1 = 15000 / 94,43 = 159 \text{ (გ)}$$

უნდა ავიღოთ 159გ 94,43%-იანი ეთანოლი და 841გ წყალი. მიიღება 1000გ 15%-იანი ეთანოლი. განზავებების მოსამზადებელ სათავსოში არ უნდა ხვდებოდეს მზის პირდაპირი სხივები.

ჰომეოპათიური ხსნარები და განზავებები ანუ პოტენციები SOLUTIONES ET DILUTIONES HOMOEOPATHICAE

ჰომეოპათიური ხსნარები და განზავებები ანუ პოტენციები სითხოვანი წამლის ფორმებია, რომლებიც გამოიყენება ჰომეოპათიური სხვადასხვა წამლის ფორმების მოსამზადებლად, როგორცაა: გრანულები, ტრიტურაციები და ა. შ. ისინი იხმარებიან აგრეთვე თავისუფალი სახითაც გარეგანი, შინაგანი და საინექციო დანიშნულებით.

განზავებების მოსამზადებლად გამოიყენება მხოლოდ ჰომეოპათიაში ნებადართული სამკურნალო ნივთიერებები. განზავებები მიიღება ჰომეოპათიური ხსნარების განზავებისა და პოტენცირების გზით: ტრიტურაციებიდან - მათი შესაბამის გამხსნელში პოტენცირებით; დედა ნაყენებიდან - მათი განზავებითა და პოტენცირებით.

ჰომეოპათიური ხსნარები და განზავებები (პოტენციები) წარმოადგენენ სითხოვან ერთგვაროვან სისტემას შესაბამის გამხსნელში. გამხსნელებად გამოიყენება გაწმენდილი და საინექციო წყალი, სხვადასხვა კონცენტრაციის ეთანოლი, გლიცერინი.

ხსნარების კონცენტრაცია გამოისახება თანაფარდობით 1:10 (ანუ D1 - ათობითი) ან 1:100 (C1 - ანუ ასობითი). ეს იმას ნიშნავს, რომ 1 წონითი ნაწილი სამკურნალო ნივთიერება არის 10 ან 100 წონით ნაწილ ხსნარში (შესაბამისად ეს არის 1 % -იანი ან 10 %-იანი ხსნარები, მაგრამ ჰომეოპათიაში მათი გამოსახვა ხდება მხოლოდ ზემათადწერილი ხერხით.


ჰომეოპათიური განზავებების მომზადებისას მკაცრად უნდა იქნეს დაცული „სანიტარული რეჟიმის ინსტრუქცია“. თუ კერძო სტატიაში არაა მითითებული, არ უნდა მოხდეს ხსნარების გაცხელება.

განზავების მომზადების პროცესი მდგომარეობს საწყისი სუბსტანციის (ტინქტურის, ხსნარის) თანმიმდევრულ განზავებაში ათობითი ან ასობითი პროპორციით წყალ-სპირტის ხსნარით, ყოველი განზავების შემდეგ შენჯღრევის (დინამიზაციის, პოტენცირების) გზით. განზავება შეიძლება გაგრძელდეს იმ დონემდე, სანამ საწყისი სუბსტანცია არეში გაქრება, მაგრამ ამ დროს სამკურნალო მოქმედება არა თუ შემცირებულია, არამედ ზოგ შემთხვევებში - გაძლიერებულია კიდევ.

იყენებენ განზავების 2 ხერხს:

ჰანემანის ხერხი - მრავალი ჭურჭლის გამოყენებით. მას სჭირდება ცალკე ჭურჭელი ყოველი პოტენციისათვის, თუმცა შუალედი პოტენციები თითქმის არც გამოიყენება. მოამზადებენ სინჯარების ან შუშების თანმიმდევრობას ძირითადად 43%-იანი ეთანოლით 9 გ, თუ ხდება განზავება ათობითი სკალით და 99 გ - თუ განზავება ხდება ასობითი სკალით. ფლაკონს მიეწერება განზავების ხარისხი. პირველ ფლაკონში ათავსებენ 1 გ საწყის მასალას; სუფთა საწვეთურით (პიპეტით) 1 გ წინა სინჯარის ხსნარს გადაიტანენ მომდევნოში. თუ განზავების ხარისხი 10-30-ია, უმჯობესია განზავებათა მთელი სერია მოესწროს 1 წუთის განმავლობაში. ამის შემდეგ თითოეულ ფლაკონს ძლიერ და ენერგიულად ანჯღრევენ.

ნახ. 1




ნახატზე 1 სქემატურად წარმოდგენილია განზავების პროცესი.

კორსაკოვის ხერხი - განზავება ხდება ერთ ჭურჭელში. ამ მეთოდის თანახმად, სამკურნალო ნივთიერების ხსნარს ფლაკონიდან სწრაფად გადმოაქცევენ. ნავარაუდებია, რომ ფლაკონში რჩება 1 წვეთი. მას ემატება გამხსნელის საჭირო რაოდენობა (9 ან 99 წვეთი). ეს ხერხი ნაკლებად ზუსტია, თუ გავითვალისწინებთ მინის ადჰეზიურ თვისებას და სითხის ზედაპირულ დაჭიმულობას. მაგრამ თუ იმ მსჯელობიდან გამოვალთ, რომ პოტენცირების ეტაპების რაოდენობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე

საწყის ნივთიერებათა რაოდენობრივი თანაფარდობა, მაშინ კორსაკოვის მეთოდის დირსება, როგორც ნაკლებ შრომატევადისა და უფრო იაფისა, უდავოა. კორსაკოვის მეთოდით განზავებისას ფლაკონზე უნდა იყოს ნიშნული „კ“.


ჰანემანის მეთოდით განზავებისას გამოიყენება ეთანოლის 43%-იანი, ხოლო კორსაკოვის მეთოდით განზავებისას კი - ეთანოლის 62%-იანი წყალხსნარი.

3 გ-ზე მცირე მასის თხევადი განზავებების მომზადების დროს, პრეპარატის კომპონენტების დოზირება ხდება წვეთობით. ამისათვის შხამიანი და ძლიერმოქმედი ნივთიერებების ხსნარებისა და განზავებების დოზირების დროს აუცილებლად უნდა ვიქონიოთ სტანდარტული წვეთმზომი.



ნახ.2

პოტენცირების პროცესი



პოტენცირების პროცესის დროს საჭიროა საუბრის დროს განსაზღვროს ძლიერი წარღველი პოტენცირების გზით

ნახ.3

ფლაკონის მოცულობა 2-3-ჯერ მეტი უნდა იყოს, ვიდრე გასაზავებელი სითხისა. პრეპარატისა და განზავების დასახელება მითითებული უნდა იყოს როგორც საცობზე, ისე თვით ჭურჭელზე (C თუ D). სტანდარტული ზომის და საწვეთურიან ფლაკონებს უნდა ჰქონდეს მინის საცობები. მათ

უკეთდება წარწერა სითხის დასახელებით, სადაც მითითებულია 1 წვე-
თის წონა გრამებში და ერთ გრამში წვეთების რაოდენობა.

თითოეული განზავება არაუმცირეს 10-ჯერ უნდა შეანჯღრიონ
ვერტიკალური მიმართულებით.

წყალ-სპირტიანი ხსნარების განზავებები (პოტენციები).

წყალ-სპირტიანი ხსნარების განზავებები (პოტენციები) მზადდება 1
წონითი ნაწილი ნივთიერების 9 წონით ნაწილ ან 99 წონით ნაწილ
ეთანოლთან პოტენცირების გზით, იმისდა მიხედვით, D1 განზავება
მზადდება, თუ C1. სამკურნალო ნივთიერებათა ხსნარების მომზადების
თავისებურებები და სპირტის კონცენტრაცია კონკრეტულ შემთხვევაში
მითითებულია შესაბამის ფარმაკოპეულ სტატიაში.

განზავებისათვის გამოიყენება 93,6; 86; 73; 62; 43; 30 და 15 პროცენ-
ტიანი ეთანოლი (XI რუსული ფარმაკოპეა, ტომი I, გვ. 303).

განზავებული ეთანოლის კონცენტრაციას საზღვრავენ სიმკვრივით
(ხელსაწყოებით - დენსიმეტრი, არეომეტრი, პიკნომეტრი, სპირტომეტრი).

თუ ხსნარის მოსამზადებლად საჭიროა 15%-იანი ეთანოლი, მაშინ D1
განზავების მიღება შეიძლება 1 გ ნივთიერების პოტენცირებით 7,58 გ
გაწმენდილი წყლისა და 1,42 გ 86%-იანი ეთანოლის ნარევთან. C1
განზავება მიიღება 1 გ ნივთიერების, 83,4 გ გაწმენდილი წყლისა და 15,6 გ
86%-იანი ეთანოლის შერევით და პოტენცირებით.

მომდევნო, უფრო მაღალი განზავებების პოტენცირება ხდება, როგორც
წესი, 43%-იან ეთანოლთან: ათობითი სკალით - 1 ნაწ. წინა განზავებას
უმატებენ 9 ნაწილ 43%-იან ეთანოლს; ასობითი სკალით - C2-დან
დაწყებული 1 ნაწ. წინა განზავებას ემატება 99 ნაწილი 43%-იანი ეთანოლი.

შუალედური წყალ-სპირტიანი განზავებები შეიძლება მომზადდეს
ასეპტიკურ პირობებში. შენახვის ვადაა 6 თვე. ინახება კარგად თავდაცულ
ტარაში სინათლისაგან მოფრთხილებით.

დედა ნაყენებისაგან განზავებების მომზადების თავისებურებები
მოცემულია შესაბამის ფარმაკოპეულ სტატიებში.

წყლიანი განზავებების მოსამზადებლად 1 ნაწილ სამკურნალო ნივ-
თიერებას ხსნიან 9 ნაწილ (D1) ან 99 ნაწილ (C1) გაწმენდილ წყალში და
ახდენენ მის პოტენცირებას ძლიერი ნჯღრევით. საჭიროებისას ფილ-
ტრავენ. ეს განზავებები გამოიყენება მომდევნო განზავებების მოსამ-
ზადებლად. არედ იხმარება გაწმენდილი წყალი ან ეთანოლი.

მჟავებიდან განზავებების მოსამზადებლად აწარმოებენ გამოთვლებს;
ცნობილი სიმკვრივისა და განსაზღვრული პროცენტული შემცველობის

საწყისი მჟავა მიიღება ერთეულად. შესაბამის კერძო ფარმაკოპეულ სტატიაში მოცემულია საწყისი მჟავას კონცენტრაცია და სიმკვრივე.

მაგალითები:

Acidum formicum (ჭიანჭველმჟავა, სიმკვრივე 1,061 გ/მლ, ინახება სუნიანების კარადაში). D1 განზავების მისაღებად 10 ნაწილ მჟავას უმატებენ 15 ნაწილ წყალს. D2 განზავებაც მიიღება გაწმენდილ წყალთან პოტენციურებით, ხოლო უფრო მაღალი განზავებები კი, ეთანოლთან პოტენციურებით.

Acidum muriaticum seu Acidum hydrochloricum 24,3-25,25%-იანი ქლორწყალბადმჟავა ანუ მარილმჟავა; სიმკვრივე 1,126-1,127 გ/მლ, სია B. 10 ნაწილი მჟავა + 15 ნაწილი წყალი, მიიღება D1 განზავება. D2 განზავებაც მზადდება გაწმენდილ წყალზე, ხოლო უფრო მაღალი განზავებები 43%-იან სპირტზე. სია B.

Acidum hydrocyanicum ციანწყალბადმჟავას 2%-იანი წყლიანი ხსნარი. θ და D1, D2, D3 განზავებები მიეკუთვნება სია B -ს. 1 ნაწილი მჟავა + 1 ნაწილი გაწმენდილი წყალი - მიიღება C1 განზავება. უფრო მაღალი განზავებებისათვის გამოიყენება 43%-იანი ეთანოლი.

Acidum hydrofluoricum ფტორწყალბადის წყლიანი ხსნარია, რომელიც 38-40% HF-ს შეიცავს. θ და D1, D2, D3 განზავებები ინახება განსაკუთრებული სიფრთხილით. 2,5 ნაწილი მჟავა + 97,5 ნაწილი გაწმენდილი წყალი, მიიღება D2 განზავება. D3 – D6 განზავებებიც მზადდება წყალზე, ხოლო უფრო მაღალი - 43%-იან ეთანოლზე.

Acidum lacticum რძის მჟავა, სიმკვრივე 1,210-1,220 გ/მლ, მჟავას შემცველობა დაახლოებით 90%, სია B. 11 ნაწილ მჟავას + 89 ნაწილი გაწმენდილი წყალი, მიიღება D1. D2 განზავებაც მზადდება წყალზე, ხოლო უფრო მაღალი განზავებები - 43%-იან ეთანოლზე.

Acidum nitricum 24,8-25,2% იანი აზოტმჟავა, სიმკვრივე 1,149-1,152 გ/მლ. θ და D1, D2, D3 განზავებები მიეკუთვნება B სიას. 10 ნაწილი მჟავა + 15 ნაწილი წყალი, მიიღება D1 განზავება; წყალზე მზადდება D2 განზავებაც. უფრო მაღალი განზავებებისათვის გამოიყენება 43%-იანი ეთანოლი.

Acidum phosphoricum ფოსფორმჟავა, სიმკვრივე 1,153-1,156 გ/მლ; θ და D1, D2, D3 განზავებები მიეკუთვნება სია B -ს. 10 ნაწილი მჟავა + 15 ნაწილი გაწმენდილი წყალი, მიიღება D1 განზავება; მაღალი განზავებები მზადდება 43%-იან ეთანოლზე.

მჟავათა ხსნარები ინახება მინის მილესილსაცობიან ჭურჭელში, გარდა ფტორწყალბადმჟავასი, რომელიც რეაქციაში შედის მინასთან.

3.3. ტრიტურაციები

სიტყვა ტრიტურაცია ლათინურია და წარმოდგება ფუძისაგან „ტრი-ტა“, რაც გასრეხილს ნიშნავს. ეს ტექნოლოგია გამოიყენება სამკურნალო სუბსტანციის განსაკუთრებული ფარული ძალების გასააქტიურებლად. გასრესვა ხდება როდინში, გულდასმით, გახანგრძლივებულად.

ჰომეოპათიური ტრიტურაციები TRITURATIONES HOMOEOPATHICAE ანუ ნალესები, მყარი ფხვიერი წამლის ფორმებია. ისინი შედგება დაქუცმაცებული სამკურნალო და დამხმარე ნივთიერებებისაგან, სითხოვანი პრეპარატებისაგან, როგორცაა ნაყენები, ესენციები, ხსნარები. დამხმარე ნივთიერებებზე გამოიყენება რძის შაქარი და სამედიცინო გამოყენებისათვის ნებადართული სხვა მატარებლები.

ტრიტურაციები გამოიყენება ცალკეც, როგორც შინაგანი დანიშნულების წამლის ფორმები და მისგან სხვა წამლის ფორმების (მაგ. თხევადი განზავებების) მოსამზადებლადაც.

ტრიტურაციების მომზადებას ამთავრებენ C3 განზავებით. მომდევნო განზავებები უკვე თხევადია. სამკურნალო ნივთიერების კონცენტრაცია ტრიტურაციებში გამოსახება თანაფარდობით 1:10, 1:100, 1:1000 და ა. შ.

მკვრივი სამკურნალო ნივთიერებები, მათ შორის ლითონები და ლაქტოზა, არაუმეტეს 65 მკმ ზომის ნაწილაკებად წინასწარ უნდა იყოს დაქუცმაცებული (იხ. რუსეთის ფარმაცოპეა, XI გამოცემა, ტ. II გვ. 18), თუ არ არის სხვა მითითებები კერძო სტატიაში. საწყისი ნივთიერებების დისპერსულობას შეაფასებენ საცრული ანალიზით ან მათი გარე ხვედრითი ზედაპირით, რომელიც იზომება ჰაერგამტარობის მიხედვით ატმოსფერულ წნევაზე. ლაქტოზის უწვრილესი ფხვნილის გარე ხვედრითი ზედაპირის სიდიდე უნდა იყოს არაუმცირეს 0,5 მ²/გ.

ტრიტურაციების ხელით მომზადების დროს იყენებენ ფაიფურის როდინებს; ლითონის როდინის გამოყენება არაა ნებადართული. ჰიგროსკოპული სამკურნალო ნივთიერებები უნდა მოისრისოს მხოლოდ შემთბარ როდინებში. ძლიერ სუნიანი და შხამიანი ნივთიერებებისათვის უნდა გამოიყოს ცალკე როდინი, რომელზეც ამოტვიფრულია ასოები.

ფხვიერი ნალესის (ტრიტურაციის) მომზადება მშრალი ნივთიერებებისაგან.

1 კგ-მდე მასის ტრიტურაციების მომზადებისას იქცევიან შემდეგნაირად: საწყის ნივთიერებას გულდასმით მოსრესენ ფაიფურის როდინში რძის შაქართან ერთად. პროცესი გრძელდება არაუცირეს 1 საათისა. ასევე გულდასმით ხდება როდინის კედლებიდან ჩამოფხევა. D1

განზავების მისაღებად 1 ნაწილ ნივთიერებას 9 ნაწილ რძის შაქართან ერთად სრესენ. C1 განზავების მისაღებად კი 0,1 ნაწილ ნივთიერებას - 9,9 ნაწილ ლაქტოზასთან.

ლაქტოზის მთელ რაოდენობას სამ ტოლ ნაწილად ყოფენ. ერთი ნაწილით ამოავსებენ როდინის ფორებს, დაუმატებენ სამკურნალო ნივთიერებას, სრესენ 6 წუთი, ჩამოფხეკას აწარმოებენ 4 წუთის განმავლობაში. ისევ სრესენ 6 წუთი და ისევ აგრძელებენ ჩამოფხეკას 4 წუთის მანძილზე. დაუმატებენ ლაქტოზის მეორე ნაწილს და ყველა ზემოაღწერილ ოპერაციას იმეორებენ. ლაქტოზის მესამე ნაწილის დამატების შემდეგაც იმეორებენ იგივეს; ჯამში ეს სტადია 1 საათს გრძელდება.

მომდევნო განზავებები მზადდება ზუსტად ასევე.

ზოგიერთ შემთხვევაში უფრო დიდი განზავებების მომზადებისას გადადიან წყლიან ან წყალ-სპირტიან ხსნარებზე. ასე მაგალითად, კალიუმ კარბონიკუმ მეორე ათობითი განზავებიდან უკვე მზადდება წყლიანი ხსნარების სახით, მაგნიზიუმ ხლორატუმ მესამე ათობითი განზავებიდან - მზადდება წყალ-სპირტიანი განზავებების სახით.

ტრიტურაციების მომზადება თხევადი პრეპარატებით ან მათი განზავებებით.

თხევადი პრეპარატის ან მისი წინა განზავების საჭირო რაოდენობა შეერევა დამხმარე ნივთიერებას. თუ წარმოიშვა დანესტიანებული მასა, მას აშრობენ ტექნოლოგიურ რეგლამენტში მითითებულ ტემპერატურაზე და თუ აუცილებელია, აწვრილმანებენ და შერევის წინ ცრიან.

წყლიანი ან წყალ-სპირტიანი ხსნარებიდან ან მათი განზავებებიდან 1:100 ტრიტურაციის (ანუ C1-ის) მოსამზადებლად მას გულდასმით ურევინ ლაქტოზას თანაფარდობებით:

2 წვეთ (0,1 გ) წყალხსნარს მოსრესენ 9,9 გ ლაქტოზასთან.

4 წვეთ (0,1 გ) წყალ-სპირტიან ხსნარს მოსრესენ 9,9 გ ლაქტოზასთან.

ნაყენებიდან და ესენციებიდან 1:100 ტრიტურაციის მოსამზადებლად C1 განზავების ნაყენი ან ესენცია გულდასმით ერევა:

1 გ ნაყენი 1:10 (0,1) 99 გ ლაქტოზას;

2 გ ნაყენი (ესენცია) (1:2) 99 გ ლაქტოზას;

3 გ ნაყენი (ესენცია) (1:3) 99 გ ლაქტოზას.

1 კგ-ზე დიდი რაოდენობის ტრიტურაციები რეკომენდებულია მომზადდეს მექანიზებული წესით ისეთი შემზავებელი ჭურჭლის გამოყენებით, რომელსაც აქვს საფხევი მოწყობილობა. მომზადების ხანგრძლივობა არა უმცირეს 1 საათისა. ამისათვის გამოდგება მანქანები, რომლებიც აღჭურვილია ჩასაფხევი მოწყობილობით და უზრუნველყოფს სასურველი

ზომის ნაწილაკების მიღებას, სასურველი ხარისხისა და სხვა სტანდარტული მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

შემზავებლის ტიპი, მისი მუშაობის რეჟიმი განისაზღვრება ექსპერიმენტულად და მითითებულია ტექნოლოგიურ რეგლამენტში. მანქანით ტრიტურაციის მოსამზადებლად მოსრესენ ჯერ ლაქტოზის მთელი მასის 1/3 ნაწილს, უმატებენ სამკურნალო ნივთიერებას, ყველაფერს ერთად გულდასმით აწვრილმანებენ და ურევენ. თანმიმდევრობით უმატებენ ლაქტოზის მეორე, შემდეგ მესამე ნაწილს და აგრძელებენ გულდაგულ დაწვრილმანებასა და შერევას. ტრიტურაციის მომზადების ხანგრძლივობა მანქანის საშუალებით უნდა იყოს არაუმცირეს 1 საათისა.

უკეთესი ეფექტი მიიღწევა ელექტრული ტრიტურატორის გამოყენებით, რომელსაც აქვს ორი სანაყი.

შენახვა.

შხამიანი და ძლიერმოქმედი ტრიტურაციები D3 განზავებამდე ინახება სიფრთხილით. შენახვის განსაკუთრებული პირობები მითითებული უნდა იყოს კერძო სტატიებში.

ყოველი ხმარების წინ ტრიტურაციას ათავსებენ როდინში და ხელახლა გულდასმით ურევენ. D1, D2, D3 განზავებების შხამიანი და ძლიერმოქმედი ნივთიერებების ტრიტურაციები ინახება განსაკუთრებული პირობების დაცვით. ყოველი ცალკეული ტრიტურაციის შენახვის ვადა მითითებულია კერძო სტატიაში.

ხარისხის კონტროლი.

კონტროლი მდგომარეობს შემდეგი პარამეტრების შეფასებაში: გარეწული სახე, ფერი, ერთგვაროვნება (დაწვილმანების ხარისხი და შერევის ერთგვაროვნება), ნაწილაკების ზომები. მზა ტრიტურაციის ძირითადი მასა უნდა შედგებოდეს 25 მკმ და ნაკლები ზომის ნაწილაკებისაგან, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 50 მკმ-ს.

ნაწილაკების ზომა ისაზღვრება მიკროსკოპით, რომელიც აღჭურვილია ოკულარული მიკრომეტრით 15x8. არის მეორე მეთოდიც - ისაზღვრება გარე ხვედრითი ზედაპირი.

ტრიტურაციების წონაში გადახრის დასაშვები ნორმები მერყეობს:

1 გრამამდე მასის ტრიტურაციებისათვის - 5%;

1-დან 10 გრამამდე გრანულებისთვის ან 1-დან 100 გრამამდე ტრიტურაციებისათვის - დაახლოებით 3%.

გერმანული ჰომეოპათიური ფარმაცოპიის მიხედვით ტრიტურაციები მზადდება მეთოდებით 6 და 7. რუსული ნორმატიული დოკუმენტისაგან განსხვავებით GHP მიიჩნევს, რომ ტრიტურაციები შეიძლება გამზადდეს

ნებისმიერ განზავებებში და არა მხოლოდ მესამე განზავებამდე, მხოლოდ აქ აუცილებელია მცირე მექანიზაციის გამოყენება.

მეთოდი 6-ით (GHP) მომზადებული პრეპარატები, თუ ნორმატიულ დოკუმენტში სხვაგვარად არაა მითითებული, წარმოადგენენ მყარი სუბსტანციებიდან რძის შაქართან შერევით მომზადებულ ტრიტურაციებს. როგორც წესი, მყარ მატარებლად გამოიყენება ლაქტოზის მონოჰიდრატი.

პირველი ათობითი (1:10) განზავებიდან მეოთხე ათობითი განზავების ჩათვლით, აგრეთვე პირველი ასობითი (1:100) განზავებიდან მეოთხე ასობითი განზავების ჩათვლით, დასაშვებია ტრიტურაციის მომზადება ხელით ან მანქანით. თუ სპეციფიკაციაში სხვაგვარად არაა მითითებული, მოქმედი მყარი ნივთიერებები წვრილმანდება საცრების ნახვრეტის ზომების შესატყვისად. საცრის ზომები მოცემულია ინდივიდუალურ მონოგრაფიაში. 1 კგ-ზე მეტი მასის ტრიტურაციები უნდა დაწვრილმანდეს მექანიზებული წესით.

ტრიტურაციების ლესვის ინტენსიურობა და ხანგრძლივობა ისეთი უნდა იყოს, რომ ნაწილაკების ზომა პირველ ათობით, ან პირველ ასობით განზავებაში არ უნდა აღემატებოდეს 100 მმკ-ს.

ხელით მომზადებული ტრიტურაციები.

ყოფენ დამხმარე ნივთიერებას (მყარ მატარებელს) სამ ტოლ ნაწილად და პირველ ნაწილს გულდასმით სრესენ ფაიფურის როდინში. დაუმატებენ მოქმედ ნივთიერებას და აწარმოებენ ტრიტურირებას შემდეგი 6 წუთის განმავლობაში. ჩამოფხეკენ როდინის კედლებიდან 4 წუთის განმავლობაში ფაიფურის შპადელით. აგრძელებენ სრესვას მომდევნო 6 წუთის განმავლობაში, კვლავ ჩამოფხეკენ 4 წუთის განმავლობაში. მიუმატებენ დამხმარე ნივთიერების მეორე ნაწილს და გაიმეორებენ ყველა პროცედურას, როგორც ზემოთაა აღწერილი.

ბოლოს მიუმატებენ დამხმარე ნივთიერების მესამე ნაწილს და განაგრძობენ ისე, როგორც უკვე აღწერილია ზემოთ. ტრიტურაციის მომზადების პროცესის მთლიანი ხანგრძლივობა უნდა იყოს არაუმცირეს 1 საათისა. აღწერილ წესს იყენებენ აგრეთვე მომდევნო განზავებების მოსამზადებლადაც.

ტრიტურაციები დაწყებული D4/ C4 და ა.შ. შეიძლება მომზადდეს 1 ნაწილი წინა განზავებისა და 9/99 ნაწილი ლაქტოზის მონოჰიდრატისაგან შემდეგნაირად: ფაიფურის როდინში შეურევენ ლაქტოზის მონოჰიდრატის საჭირო რაოდენობის ერთ მესამედს და მთელს რაოდენობა საჭირო წინა განზავებას და ურევენ სრულ ჰომოგენი-

ზაცამდე. ამის შემდეგ მიუმატებენ მეორე მესამედს ლაქტოზის მონოჰიდრატს, ურვენ ერთგვაროვნობამდე. ამ პროცედურას იმეორებენ მესამე ნაწილი ლაქტოზისთვისაც.

მექანიზებული წესით მომზადებული ტრიტურაციები.

დაწყებული D4/C4- დან უფრო მაღალი განზავებები მზადდება მექანიზებული წესით ანუ მანქანის გამოყენებით. მექანიზმი აღჭურვილია საფხეკი მოწყობილობით, რომელიც უზრუნველყოფს ერთგვაროვანი ტრიტურაციის მომზადებას. შეიძლება სხვა მანქანის გამოყენებაც, თუ იგი შედეგად მოგვცემს იგივე სიდიდის ნაწილაკებს, რასაც მოითხოვს მარეგულირებელი კანონმდებლობა.

ტრიტურაციების მომზადების მექანიკური წესის გამოყენებისას ჯერ გასრესენ დამხმარე ნივთიერების პირველ მესამედს. მიუმატებენ-რა მოქმედი ნივთიერების მთელს რაოდენობას, აგრძელებენ სრესვას. თანმიმდევრობით უმატებენ დარჩენილი ორი თანატოლი ნაწილი დამხმარე ნივთიერების თითოეულ ულუფას და აგრძელებენ ლესვას. მომდევნო განზავებები მზადდება ანალოგიურად.

დაწყებული D4/C4-დან უფრო მაღალი განზავებების ტრიტურაციები 1 ნაწილი წინა განზავების ტრიტურაციისა და 9/99 ნაწილი ლაქტოზის მონოჰიდრატის შერევით შემდეგნაირად მზადდება: სრესენ ლაქტოზის მონოჰიდრატის მთელი საჭირო რაოდენობის 1/3-ს წინა ტრიტურაციის მთელს რაოდენობასთან. ურვენ ჰომოგენიზაცამდე. პროცედურებს იმეორებენ დანარჩენი ნაწილებისათვის.

აირჩევენ შესაფერის მიქსერს (შემზავებელს) და მისთვის დაადგენენ პარამეტრებს, ეს ეხება განსაკუთრებით შერევის ხანგრძლივობას. რომელთა დაცვით მასა გახდება ჰომოგენური. მიღებული შედეგები ყველა ტიპის აპარატისათვის დოკუმენტურად უნდა იყოს დასაბუთებული (პროცესის პროტოკოლის სახით).

მეთოდი 7-ით (GHP) მზადდება მყარი პრეპარატები დედა ნაყენებისა და მათი ხსნარებისაგან რძის შაქრით, როგორც ინდიფერენტულ დამხმარე ნივთიერებით, განზავების გზით. ეს არის ტრიტურაციების მომზადების კერძო შემთხვევა სითხოვანი კომპონენტის დამატებით. მთელს რაოდენობა ლაქტოზის მონოჰიდრატს გადაიტანენ აპარატში, რომელმაც გაიარა ზემოთაღნიშნული პროცედურა და თანდათანობით შეურვენ წინა თხევადი განზავების მთელს რაოდენობას.

მიღებულ ნესტიან ნარევს ფაქიზად აშრობენ. თუ საჭირო გახდა, ფქვავენ წისქვილში, შემდეგ ცრიან და ხელახლა გულდასმით ურვენ.

ლაქტოზის მონოჰიდრატის რაოდენობა, რომელიც პრეპარატის მოსამზადებლად გამოყენებული, უნდა იყოს ისეთი, რომ პროცესის დამთავრების შემდეგ წამლის ფორმას ჰქონდეს ზუსტად ის მასა, რაც გამოწერილია რეცეპტში.

1 კგ-ზე დიდი მასის ტრიტურაციებიც მზადდება მანქანური წესით. მიქსერის ტიპი, შერევის დრო, შრობისა და საბოლოო შერევის ხანგრძლივობა წინასწარ უნდა იქნეს დადგენილი, მანქანის ერთჯერადი გამოცდის პროცესის ოქმში გადმოცემული და დაკანონებული, რაც სავალდებულოა ყველა ანალოგიურ შემთხვევაში.

პოტენცირება:

დედა ნაყენის, ხსნარის ან თხევადი განზავების პოტენცირება ლაქტოზის მონოჰიდრატის გამოყენებით, გადმოცემული უნდა იყოს გამზადების შესაბამის მეთოდში. დამატებული ლაქტოზის მონოჰიდრატის რაოდენობა ყოველთვის უნდა იყოს ისეთი, რომ ათობითი (დეციმალური) განზავების საერთო მასა იყოს 10 ნაწილი და ასობითი (ცენტიმალური) პოტენციის საერთო მასა კი - 100 ნაწილი; ანუ ტრიტურაციის მასა უნდა შეივსოს ლაქტოზით ზუსტად რეცეპტში აღნიშნულ წონამდე.

3.4. ტრიტურაციებიდან მომზადებული თხევადი პრეპარატები

მეთოდი 8a-ს თანახმად მომზადებული პრეპარატები წარმოადგენენ სითხოვან წამლის ფორმებს, რომლებიც მეთოდი 6-ის მიხედვით მიღებული ტრიტურაციებიდან არიან დამზადებული.

D6 თხევადი განზავების მოსამზადებლად, ჯერ ერთ ნაწილ D4 განზავებას ხსნიან 9 ნაწილ გაწმენდილ წყალში და ახდენენ ძლიერი ნჯღრევით პოტენცირებას (succussion). ამ განზავების ერთ ნაწილს ურევენ 9 ნაწილ 30%-იან ალკოჰოლს. ამით მიიღება D6 თხევადი განზავება.

პროცესი ანალოგიურია, თუ გვინდა D7 თხევადი განზავების მიღება D5 ტრიტურაციისაგან და D8 თხევადი განზავების მიღება D6 ტრიტურაციისაგან. თხევადი დეციმალური (ათობითი) განზავებები დაწყებული D9-დან და უფრო მაღალი, მზადდება წინა დეციმალური განზავებისა და 43%-იანი ალკოჰოლის შერევით თანაფარდობით 1:10.

C6 (მეექვსე ასობითი ანუ მეექვსე ცენტიმალური) განზავების მოსამზადებლად, ჯერ 1 ნაწილ C4 ტრიტურაციას გახსნიან 99 ნაწილ გაწმენდილ წყალში და მოახდენენ პოტენცირებას ძლიერი ნჯღრევით.

ამის შემდეგ ამ პოტენციის 1 ნაწილს ანჯღრევენ 99 ნაწილ 30%-იან ალკოჰოლთან. პროცესი ანალოგიურია, თუ გვინდა C7 თხევადი განზავების მიღება C5 ტრიტურაციისაგან და C8 თხევადი განზავების მიღება C6 ტრიტურაციისაგან. თხევადი ცენტრალური დეციმალური განზავებები C9 და უფრო მაღალი, მზადდება წინა ცენტრალური განზავებისა და 43 %- იანი ალკოჰოლისაგან თანაფარდობით 1:100-ზე.

D6, D7, C6 და C7 თხევადი განზავებები მომზადებული ზემოთაღწერილი მეთოდით არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მომავალი თხევადი განზავებების მოსამზადებლად.

მეთოდი 8b-ს მიხედვით მომზადებული მზა წამლის ფორმები წარმოადგენენ მეთოდი 6-ით მომზადებული ტრიტურაციების წყლიან ხსნარებს - პრეპარატებს.

D6 თხევადი განზავების მოსამზადებლად ჯერ ხსნიან 1 ნაწილ D4 ტრიტურაციას 9 ნაწილ საინექციო წყალში და ანჯღრევენ. ამის შემდეგ ამ განზავების 1 ნაწილს ანჯღრევენ 9 ნაწილ საინექციო წყალთან ერთად, რომ მიიღონ D6 თხევადი განზავება. იგივე პროცესი მეორდება D7 თხევადი განზავების მისაღებად D5 ტრიტურაციიდან. დაწყებული D9-დან და ზემოთ, თხევადი პოტენციები მზადდება წინა დეციმალური განზავებისა და საინექციო წყლის შერევით თანაფარდობით 1:10-ზე.

ზემოთაღწერილი მეთოდით მომზადებული D6 და D7 განზავებები არ უნდა იქნას გამოყენებული შემდეგი, უფრო მაღალი განზავებების თხევადი პრეპარატების მოსამზადებლად.

მეთოდი 8b-ს მიხედვით მომზადებული წყლიანი პრეპარატები უნდა იქნენ გამოყენებული დაუყოვნებლივ, მხოლოდ მეთოდებით: 11, 13, 14, 15, 39a და 39c დოზირებული წამალთფორმების, ასევე მეთოდით 16 მიქსტურების მოსამზადებლად და მეთოდით 40b კო-პოტენცირებული მიქსტურების მოსამზადებლად.

მეთოდით 8b წყლიანი პრეპარატების გასაზავებლად, თუ ისინი მომავალი პროცესებისათვის, კერძოდ მეთოდებით 13, 14, 39a და 39c სამკურნალწამლო ფორმების მოსამზადებლადაა გამიზნული, რეკომენდებულია ნაცვლად გაწმენდილი წყლისა გამოყენებული იქნას საინექციო წყალი.

გარდა ამისა, მეთოდით 8b მომზადებული წყლიანი პრეპარატები უნდა აკმაყოფილებდნენ ევროფარმაკოპეის ტესტს „სტერილობაზე“ (2.6.1.), განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი ნავარაუდევია გამოსაყენებლად მომავალი პროცესებისათვის.

გაფორმება: მეთოდი 8ხ-ს მიხედვით მომზადებული პრეპარატები და მათი დოზირებული წამალთფორმები, გაფორმებული უნდა იყოს ეტიკეტით: „წყლიანი“ - პოტენციის აღნიშვნით.

3.5. პილულები

პილულები ანუ როგორც მას სხვადასხვა შემთხვევებში ჰომეოპათიაში უწოდებენ, გლობულები, გრანულები, მარცვლები, ბურთულები; რაც შეეხება ლათინურიდან პირდაპირ თარგმანს, „პილა“ ნიშნავს პატარა ბურთს. მეორეს მხრივ, პილულები წამალთა ტექნოლოგიაში ითარგმნება, როგორც აბები. თუ ამ ტერმინებს თვალს გადავავლებთ და გავითვალისწინებთ, რომ დღეს აბებად „მონათლულია“ ტაბლეტები, ტერმინოლოგიურად ერთგვარ უზუსტობებს ვაწყდებით. ამიტომ, ჩვენი შეხედულებით, რადგანაც ჰომეოპათიაში წამლის ფორმის დასახელება ქართულ ენაზეც ლათინურად მოიხსენიება, უმჯობესი იქნება თუ ამ ტერმინს საერთოდ არ ვიხმართ სხვა ენაზე. ჰომეოპათიურ პილულებს აბებთან საერთო არაფერი აქვთ - აბები რბილი წამლის ფორმებია, ხოლო ჰომეოპათიური პილულები ჰგვანან უფრო მიკროდრაჟეტებს, რომლებიც მყარი წამლის ფორმებია.

მეთოდი 10-ის თანახმად პილულები მზადდება გერმანული ჰომეოპათიური ფარმაცოპეის მიხედვით, შაქრის პატარა კვნიტების ანუ ნამცეცების სამკურნალო ნივთიერების განზავებებით დანამვის გზით. ამ დროს ხდება 100 ნაწილი საქაროზის თანაბარი შესველება 1 ნაწილი განზავებით. ალკოჰოლი, რომელსაც შეიცავს განზავება, უნდა იყოს არანაკლებ 60%-იანისა. თუ სხვა მითითება არ არის, დეციმალური ან ცენტიმალური პოტენციზაციის ბოლო საფეხურზე უნდა გამოვიყენოთ არანაკლებ 62%-იანი ალკოჰოლი.

შაქრის ნამცეცების შენამიანებას აწარმოებენ თავდახურულ ჭურჭელში, ხოლო შემდეგ აწარმოებენ ჰაერშრობას.

სპეციფიკურ შემთხვევებში შეიძლება გამოყენებული იქნას 1-დან 10 ზომამდე შაქრის მარცვლები; სხვადასხვა ზომის მარცვლების რაოდენობა 1 გრამ საქაროზაში მოცემულია №12 ცხრილში.

სხვადასხვა ზომის მარცვლების რაოდენობა 1 გრამ საქაროზში
ცხრილი №12

შაქრის ნამცეცის ნომერი	ნამცეცების რაოდენობა	მასა გ
1	470-530	1
2	220-280	1
3	110-130	1
4	70-90	1
5	40-50	1
6	22-28	1
7	10	დაახლ.1
8	5	დაახლ.1
9	3	დაახლ.1
10	2	დაახლ.1

გაფორმება ხდება ჩვეულებრივად, მხოლოდ პილულების სიგნატურაზე აღნიშნული უნდა იქნეს განზავების ხარისხი, რომლითაც პილულები იყო შენამული

რუსეთის ჰომეოპათიური ფარმსტატიის მიხედვით, ჰომეოპათიური გრანულები (აბები, პილულები, მარცვლები, ბურთულები) მყარი დოზირებული წამლის ფორმებია შინაგანი გამოყენებისათვის. ისინი, ჩვეულებრივ, სუბლინგვალურად ინიშნება, რაც უზრუნველყოფს პირის ღრუს ლორწოვანიდან მათ სწრაფ შეწოვას.

გრანულებს ამზადებენ სამედიცინო გამოყენებისათვის ნებადართული დამხმარე ნივთიერებების (საქაროზის, ლაქტოზის და სხვა) საწყის მზა გრანულებზე სამკურნალო ნივთიერებების თხევადი ჰომეოპათიური განზავებების დაშრევებით. ამჟამად გამოიყენება უმაღლესი ხარისხის ლერწმის რაფინირებული შაქრისაგან დამზადებული საწყისი გრანულები, რომლებიც უნდა იხსნებოდეს გაწმენდილ წყალში სიმღვრივის წარმოუქმნელად.

გრანულებს გააჯერებენ სამკურნალო ნივთიერებების ხსნარით; ხსნარი არსებითად არ ცვლის გრანულების ფიზიკო-მექანიკურ მახვენებლებს და ზომას, ამიტომ მზა ჰომეოპათიური გრანულების ზომის, საშუალო დიამეტრის და სხვა მახვენებლების შეფასება ხდება შაქრის გრანულებთან შედარების გზით. საწყისი გრანულების დახასიათება მოცემულია №13 ცხრილში.

შაქრის კვნიტების (გრანულების) დახასიათება

ცხრილი №13

გრანულის №	ერთი გრანულის მასა გრამებში	გრანულების რაოდენობა 1 გრამში	გრანულების რაოდენობის დასათვლელად აღებული საერთო მასა	გრანულის საშუალო დიამეტრი მილიმეტრებში
1	0,002	500(470-530)	0,1	1,4
2	0,004	250(220-280)	0,2	1,7
3	0.0083	120(110-130)	0,4	2,2
4	0,0125	80(70-90)	0,7	2,5
5	0.022	45(40-50)	1,0	3,0
6	0,04	25(22-28)	2,0	3,7
7	0,1	10	5,0	5,0
8	0,2	5	10,0	6,3
9	0,33	3	15,0	7,4
10	0.5	2	25,0	8,5

მომზადების ტექნოლოგია.

გრანულების მომზადებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული სანიტარული რეჟიმი; განსაკუთრებით, შაქრის სიროფის გამოყენებისას და შიდასააფთიაქო დანამზადების მომზადების შემთხვევაში. გრანულები შეიძლება მომზადდეს ორი ხერხით:

ხერხი 1.

საწყის გრანულებზე სამკურნალო ნივთიერების წყალ-სპირტიანი ჰომეოპათიური განზავებების დატანით. პროცესი ემყარება გრანულების მიერ სამკურნალო ნივთიერების ადსორბციას. თითოეული მარცვალი, ჩვეულებრივ, სამკურნალო თხევადი განზავების 1 წვეთს შეესაბამება.

გასაჯერებლად გამოიყენება მესამე და უფრო მაღალი განზავება, რომელიც არანაკლებ 62%-იან ეთანოლზეა მომზადებული (ეთანოლის კონცენტრაცია აქ და ყველგან ჰომეოპათიაში ნაჩვენებია წონით პროცენტებში). მაღალი კონცენტრაციის ეთანოლი უზრუნველყოფს შაქრის ნამცვეების ფორმების გახსნის გაიოლებას, რაც ხელს უწყობს მათ სრულ გაჟღენთვას. ამ ოპერაციის ჩასატარებელი ჭურჭლის ტევადობა მასში ჩატვირთულ მასაზე 1,5-2-ჯერ დიდი უნდა იყოს.

შაქრის საწყისი გრანულების 100 გრამზე იღებენ შესაბამისი განზავების, ტრიტურაციის ან მათი ნარევის 1 გრამს. ბოლო განზავება, როგორც აღვნიშნეთ, უნდა მომზადდეს 62%-იანი ეთანოლზე; დასაშვებია გადახრა

72%. შაქრის გრანულები წინასწარ შენასველები უნდა იყოს 100 გრამზე 1 გრამი 62%-იანი ეთანოლით. ამ მასას 10 წუთის განმავლობაში მჭიდროდ თავდახურულ ჭურჭელში ურევნ 10 წთ-ით, შემდეგ გამოაშრობენ ჰაერზე - ოთახის ტემპერატურაზე მუდმივ მასამდე (როგორც მითითებულია ტექნოლოგიურ რეგლამენტში).

არ შეიძლება გრანულების მომზადება სუნიანი და ძლიერმოქმედი ნივთიერებებისაგან, ნებისმიერი მჟავასაგან, აგრეთვე C3-ზე დაბალი განზავების სამკურნალო საშუალებებისაგან.

ხერხი 2.

გამოიყენება წყლიანი ხსნარების, წყლიანი გამონაწვლილების, ტრიტურაციების, დაბალპოტენციურული - ათობითი განზავებების შემცველი ნარევების დასატანად გრანულებზე და იმ შემთხვევებში, როცა ხერხი 1-ის გამოყენება ეთანოლის გამო არასასურველია.

საწყის გრანულებზე მრავალჯერადად თანაბრად დააშრევენ 64%-იან შაქრის სიროფში განზავებულ სამკურნალო ნივთიერების ჰომეოპათიურ პოტენციას. აშრობენ ყოველი დაშრევის შემდეგ.

ამ ხერხით გრანულების მომზადება მოცემულია №14 ცხრილში.

ხერხი 2 -ით გრანულების მომზადება

ცხრილი №14

ხერხი 2-ის სახესხვაობები	მიღებული პროდუქტის მასა გ	დასატანი შემადგენლობა გ	შაქრის სიროფის მასა გ	შაქრის გრანულების მასა გ
ა	100,0	თხევადი განზავება 1გ	9,0	100-X
ბ	100,0	ტრიტურაცია 10,0	20,0	100-X-Y
გ	100,0	ნარევი 10,0	9,0	100-X-Y

შენიშვნა: X არის შაქრის სიროფში შაქრის მასა, Y - დამხმარე ნივთიერების (ლაქტოზის, შაქრის) მასა, რომელიც შედის ტრიტურაციაში.

ა) თხევადი პრეპარატის დაშრევა.

100 გ ჰომეოპათიური გრანულების მოსამზადებლად 1 გ სითხოვან პრეპარატს ანჯღრევნ 9 გ შაქრის სიროფთან ერთად. მიღებულ 10 გ ნარევს თანაბრად დააშრევენ საწყის გრანულებზე, რომლის მასაა (100-X) გრამი, სადაც X არის შაქრის სიროფში შაქრის მასა გრამებში.

ბ) ტრიტურაციების დატანა გრანულებზე.

100 გ ჰომეოპათიური გრანულების მოსამზადებლად 10 გ ტრიტურაციას ანჯღრევენ 20 გ შაქრის სიროფთან ერთად. მიღებულ ნარევს თანაბრად დაიტანენ (100-X-Y) გრამ საწყის გრანულებზე; X არის შაქრის სიროფში შაქრის მასა გ, Y - დამხმარე ნივთიერების (ლაქტოზის, შაქრის) მასა, რომელიც შედის ტრიტურაციაში.

გ) ნარევის დაშრევა.

ნარევს ამზადებენ თხევადი პრეპარატების ჰომეოპათიური განზავებებისა და/ან ტრიტურაციების შენჯღრევით შაქრის სიროფთან ერთად.

100 გ ჰომეოპათიური გრანულების მოსამზადებლად 1 გ ტრიტურაციას ანჯღრევენ 9 გ შაქრის სიროფთან ერთად, მიღებული მასის 10 გრამს თანაბრად დაიტანენ (100-X-Y) გრამ საწყის გრანულებზე; X არის შაქრის სიროფში შაქრის მასა გ, Y - დამხმარე ნივთიერების (ლაქტოზის, შაქრის) მასა, რომელიც შედის ტრიტურაციაში.

აპარატურა.

სამკურნალო ნივთიერებების შაქრის სიროფიანი ჰომეოპათიური განზავებების დატანას საწყის შაქრის კვნიტებზე ახდენენ სადრაჟირო ქვებში (ანუ ობდუქტორებში) რეგულარული გახურების ქვეშ. ობდუქტორს წინასწარ აცხელებენ 37-42⁰ C-მდე და ნელ-ნელა აბრუნებენ გრანულების მთელი მასის ამავე ტემპერატურამდე მისაყვანად. სამკურნალო ნივთიერების შაქრის სიროფიან განზავებებს ასხამენ ობდუქტორში დროის თანატოლი შუალედების დაცვით პატარ-პატარა თანაბარ ულუფობით. ქვაბი განუწყვეტლივ ნელ-ნელა ტრიალებს და ცხელდება.

დაშრევის დასასრულს ქვაბის გაცხელებას წყვეტენ, ხოლო მისი ტრიალი კვლავ გრძელდება, სანამ გრანულები არ გამოშრება მუდმივ წონამდე, ტექნოლოგიური რეგლამენტის შესაბამისად.

მიღებული გრანულების განზავება ისეთივეა, როგორც იყო მასზე დასატანი სამკურნალო სუბსტანციის განზავება. ამ განზავებას მიუთითებენ მომზადებული გრანულების სიგნატურაზე (ეტიკეტზე).

ჰომეოპათიური გრანულები შეიძლება წინასწარ დამზადდეს მარაგის სახით; ამ შიდასაფთიაქო დანამზადის შენახვის ვადაა 2 წელი. ინახება მშრალ, სინათლისაგან დაცულ ადგილას.

ხარისხის კონტროლი.

გრანულების ხარისხის შეფასებისას ამოწმებენ: გარეგნულ შესახედაობას, შეფერილობის ერთგვაროვნებას, ზომას, ფორმის სიმრგვალებს, ფერს. გრანულები უნდა იყოს თეთრი, მონაცრისფრო ან მოყვითალო ელფერით, თუ კერძო სტატიაში სხვა მითითებები არ არის.

გარეგან დათვალაირებას ახდენენ ვიზუალურად, შეუიარაღებელი თვალით. ამოწმებენ მასას 0,01 გ სიზუსტით.

დაშლადობა: 10 გ გრანულებს ათავსებენ 100 მლ ტევადობის კონუსურ კოლბაში; უმატებენ 50 მლ დაახლოებით 37^o ტემპერატურის მქონე გაწმენდილ წყალს. კოლბას ნელ-ნელა ანჯღრევენ წამში 1-2-ჯერ. გამოკვლევას სამჯერ იმეორებენ. გრანულები მთლიანად უნდა დაიშალოს არაუმეტეს 5 წუთში, თუ კერძო სტატიაში სხვა მითითება არ არის.

3.6. ტაბლეტები

რუსული ჰომეოპათიური დროებითი ფარმაცოპეული სტატიის მიხედვით ჰომეოპათიური ტაბლეტები შინაგანი დანიშნულების მყარი, დოზირებული წამლის ფორმებია, რომლებიც მიიღება ჰომეოპათიური ტრიტურაციების დაწნხვით.

დამხმარე ნივთიერებებად გამოიყენება დექსტრინი, ლაქტოზა, სახამებელი, კალციუმისა და მაგნიუმის სტეარატი, გაწმენდილი წყალი, ეთილის სპირტი და სხვა ნივთიერებები, რომლებიც ნებადართულია სამედიცინო გამოყენებისათვის. ნებადართულია სახამებლის გამოყენება 10%-მდე, ხოლო კალციუმის ან მაგნიუმის სტეარატისა 1%-მდე კონცენტრაციებში. გამონაკლისები კერძო ნორმატიულ დოკუმენტებშია მოცემული.

ჰომეოპათიური ტრიტურაციის მასა ერთ ტაბლეტში, როგორც წესი, შეადგენს 0,1-დან 0,25-მდე გრამს, თუ კერძო ნტდ-ში არ არის სხვა მითითებები.

კერძო ნორმატიულ დოკუმენტში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ერთი ტაბლეტის შემცველობა, ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებების დასახელება, დამხმარე ნივთიერებები, ტაბლეტის საშუალო მასა.

მომზადება: ჰომეოპათიური ტაბლეტები მიიღება ჰომეოპათიური ტრიტურაციებიდან, რომლებიც პასუხობენ სტანდარტის მოთხოვნებს. ტექნოლოგია ისეთივეა, როგორც ალოპათიური მეთოდით სამკურნალო ტაბლეტების წარმოების დროს. აუცილებლობისას უმატებენ შემკვრელ, გამფარებელ, გამასრიალებელ და/ან გამპოხ დამხმარე ნივთიერებებს.

GHP-ის მიხედვით ტაბლეტები მზადდება მეთოდი 9-ის თანახმად.

მეთოდი 9-ის მიხედვით ტაბლეტები გერმანული ჰომეოპათიური ფარმაცოპეის თანახმად მზადდება მეთოდებით - 6, 7 ან 16 მიღებული ერთი ან მეტი პრეპარატისაგან.

ნორმატიულ დოკუმენტებად გამოიყენება დოზირებული წამალთ-ფორმების შესახებ „European Pharmacopoeia“-ის მონოგრაფია „ტაბლეტები“ და მისი განყოფილება „შემოუგარსავი ტაბლეტები“. უნდა უძღვებ-დეს გამოცდას „შემცველობის ერთგვაროვნობაზე“ (2.9.6.).

ნებადართულია მხოლოდ შემავსებლების სახამებლის (10%-ზე დაბალ კონცენტრაციებში), კალციუმის ბეჰენატის, ან მაგნიუმის სტეარატის (2%-ზე დაბალ კონცენტრაციებში) გამოყენება. თუ ტაბლეტები მზადდება გრანულაციის საფეხურის გავლით, გამოიყენება ლაქტოზის მონოჰიდ-რატის ნაჯერი ხსნარი, სახამებლის ბუბკო ან შესაფერისი კონცენტრაციის ალკოჰოლი, როგორც გამხსნელი ან როგორც შემწევა - გრანულაციის პროცესის ჩასატარებლად.

ტაბლეტები მზადდება მეთოდი 6-ის ან მეთოდი 7-ის მიხედვით მომზადებული მხოლოდ ერთი პრეპარატისაგან, რომელშიც განსაზღვრუ-ლი პრეპარატის ერთჯერადი დოზა 100-დან 250 მგ-მდეა.

შემავსებლების მასა გამოითვლება ამის მიხედვით.

3.7. ჰომეოპათიური საინექციო ხსნარები

ჰომეოპათიური საინექციო ხსნარები რუსული სტანდარტის მიხედ-ვით მზადდება ახლადმოზადებული განზავებებიდან, რომლებიც ხერხი 2-ითაა მიღებული. წყალი განზავებისათვის უნდა იყოს საინექციო. გამხსნელად გამოიყენება აგრეთვე ნატრიუმის ქლორიდის იზოტონური ხსნარი ან ბუფერული გამხსნელები, რომლებიც ნორმატიულ დო-კუმენტებშია მითითებული.

ზოგიერთი ჰომეოპათიური საინექციო ხსნარის მაგალითები მოცე-მულია №15 ცხრილში.

ჰომეოპათიური საინექციო ხსნარების მაგალითები ცხრილი №15

ხსნარის დასახელება მწარმოებელი ფირმა	შემადგენლობა	შენიშვნა
ეხინაცეა კომპოზიტუმი C, Heel გერმანია	1ამპულა - 2,2 მლ შეიცავს: Echinacea angustifolia D3 Aconitum napellus D3 Sanguinaria canadensis D4 Sulfur D8 Baptisia tinctoria D4 Lachesis mutus D10 Bryonia cretica D6	ხსნარი გამოიყენება კა-ნის საფარველის, რბი-ლი ქსოვილებისა და ლორწოვანი გარსების ჩირქოვანი ინ-ფექციე-ბის, სეფსისური მდგო-მარეობისა და ტოქსი-კური სინდრომებისას.

	Eupatorium perfoliatum D6 Pulsatilla pratensis D8 Mercurius sublimates corrosivus D8 Thuja occidentalis D8 Influenzinum Nosode D 13 Phosphorus D8 Cortisonum aceticum D 13 Streptococcus haemoliticus Nosode D 18 Staphylococcus Nosode D 18 Phytolacca Americana D6 Pyrogenium Nosode D 18 Zincum metallicum D 10 Gelsemium sempervirens D6 Hepar sulfuris D 10 Rhus toxicodendron D4 Arnica Montana D4 Arsenicum album D8 Argentum nitricum D8 Euphorbium D6 aa 22 mkl	კანში, კანქვეშ, აუცი- ლებლობისას ვენაში - 2,2მლ 1-3-ჯერ კვირაში
ენგისტოლ N, Heel გერმანია	Vincetoxinum hirundinaria D6 Vincetoxinum hirundinaria D10 Vincetoxinum hirundinaria D30 Sulfur D4 Sulfur D10	ხსნარს აქვს ანტივი- რუსული, იმუნომო- დულირების, სიმპა- თოლიზური მოქმედება. გამოიყენება არასპე- ციფიკური დამცავი მექანიზმების აქტივა- ციისათვის გრიპისა და სხვა ვირუსული დაავადებების დროს

მცირე რაოდენობით, 3 გრამამდე, განზავების მოსამზადებლად საწყი-
სი ხსნარები და პრეპარატები დოზირდება წვეთობით. ამისათვის იყენ-
ებენ სტანდარტულ წვეთმზომებს ან ემპირიულ წვეთმზომ-პიპეტებს,
რომლებიც დაკალიბრებულია მასით მხოლოდ ამ სამკურნალო საშუალებ-
ისათვის.

მილესილსაცობიანი სტანდარტული ზომის ფლაკონ-საწვეთურის
გამოყენების შემთხვევაში, ითვალისწინებენ მათი გავსების ხარისხს.
ფლაკონებზე უნდა იყოს ჭდე, სადამდეც წვეთების მასა დაახლოებით
ერთნაირი რჩება. ფლაკონზე უნდა იყოს ნაჩვენები გახსნილი სამკურნალო
ნივთიერების შემცველობა 1 წვეთში და წვეთების რაოდენობა ხსნარის 1
გრამში.

D1, D2, D3 განზავებებში ძლიერმოქმედი და შხამიანი ნივთიერებების შემცველი ხსნარები ინახება განსაკუთრებულ პირობებში. ეს პირობები მითითებულია კერძო სტატიებში.

ფერის ცვლილება, შემღვრევა, ტარაზე ნადების წარმოქმნა ან ფთილების წარმოშობა ხსნარში, მიუთითებს გაუვარგისებაზე.

ნორმატიული დოკუმენტების მიხედვით, საინექციო წამლის ფორმები უნდა მომზადდეს ასეპტიკურ პირობებში და იყოს სტერილური.

ხსნარების სტერილიზაცია რუსეთის მე-11 ფარმაცოპეის სტატიის „სტერილიზაცია“ მოთხოვნების შესაბამისად უნდა მოხდეს. გამოიყენება მეთოდებიც, რომლებიც კერძო ნორმატიულ დოკუმენტებშია მითითებული.

3.8. რბილი წამლის ფორმები ჰომეოპათიაში

3.8.1. ჰომეოპათიური მალამოები

ჰომეოპათიური მალამოები *Unguenta homoeopathicae* რბილი წამლის ფორმებია გარეგანი ხმარებისათვის. ისინი შედგებიან ფუძისა და მასში თანაბრად განაწილებული ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებისაგან.

ჰომეოპათიური მალამოების კლასიფიკაცია დისპერსიულობის, კონსისტენციის, ფუძეების მიხედვით იდენტურია ალოპათიური მალამოების კლასიფიკაციისა, რომელიც მოცემულია სახელმწიფო ფარმაცოპეაში.

მალამოს ფუძეებად ძირითადად გამოიყენება ვაზელინი და ლანოლინი. 10% ნაყენის შემცველი მალამოს ფუძედ იყენებენ ვაზელინი 85% და ლანოლინი 5% ნარევს. თვალის მალამოს ფუძედ იყენებენ ადსორბციულ ფუძეს: ვაზელინისა და ლანოლინის ნალღობს 9:1. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მალამოს ფუძე მითითებულია კერძო ფარმსტატიაში.

ძლიერმოქმედი ნივთიერებებისაგან ამზადებენ 5%-იან მალამოებს. მაგალითად - აკონიტის (ტილჭირის) მალამო, სპონგიის (ღრუბელი, Губка туалетная) მალამო, შხამიანი თუთუბოს (*Rhus toxicodendron*, Сумах ядовитый) მალამოს ვაზელინის ფუძეზე. არაძლიერმოქმედი სუბსტანციებისა და ტინქტურებისაგან ამზადებენ 10%-იან მალამოებს; ასევე 10%-იანი მალამოები მზადდება: აზოტმჟავას D1 განზავებისაგან, ასკორბინმჟავას D3 განზავებისაგან, ციმციფუგასაგან, ანაქროლი გოგირდისაგან, ლეშურასაგან, ამერიკული ჰიაფერასაგან (*Phytolacca Americana*, ფერაფერასაგან), სულემის D3 განზავებისაგან, დარიშხანმჟავას D3 განზავებისაგან.

გამონაკლისს შეადგენენ: ქლორეტონის 0,5%-იანი მალამო; ცინაზარი-სის (ვერცხლისწყლის წითელი სულფიდის - HgS), გრაფიტის, ჰეპარ სულფურის, მერკურიუს ბიოდატუმის (ვერცხლისწყლის დიოდიდის) 1% მალამოები.

2%-იანი მალამოები მზადდება ბენზოეს მჟავასაგან, კარბოლის მჟავასაგან. 3%-იანი მალამოები მზადდება ფუტკრისაგან, სალიცილ-მჟავასაგან, ესპანური ბუზანკალასაგან (იხ. ლექსიკონი წიგნის ბოლოს), კროტონ ტიგლიუმისაგან.

ჰომეოპათიური მალამოს შემადგენელი ძლიერმოქმედი და შხამიანი ნივთიერების კონცენტრაცია აუცილებლად უნდა იყოს მითითებული სიგნატურაზე.

ჰომეოპათიური მალამოები მზადდება მალამოების მომზადების საერთო წესის მიხედვით, რომელიც მოცემულია რუსეთის XI სახელმწიფო ფარმაცოპეის ზოგად სტატიაში „მალამოები“, საქართველოს პირველ გამოცემა სახელმწიფო ფარმაცოპეის ზოგად სტატიაში „მალამოები“.

ვაზელინისფუძიანი და 5%-ზე მეტი ნაყენის შემცველი მალამოების მომზადების დროს ნაყენს წინასწარ შეასქელებენ ნახევარ მასამდე ან ვაზელინში ჩაამატებენ 5-10%-მდე უწყლო ლანოლინს ისე, რომ წონითი პროცენტი არ დაირღვეს. №16 ცხრილში, ქვემოთ, მოგვყავს უფრო ფართოდ გავრცელებული მარტივი და რთული მალამოების შემადგენლობა და გამოყენება.

ჰომეოპათიურ მალამოებში, ჩვეულებრივ, არ შეაქვთ სტაბილიზატორები, ანტიოქსიდანტები და კონსერვანტები. ეს უკანასკნელნი, ნორმატიული დოკუმენტის მიხედვით, ემატება მხოლოდ მაშინ, თუ მალამოს ფუძედ გამოყენებულია ჟელები (გელები), რომლებიც შეიცავენ წყალს; აგრეთვე ზეთი/წყალზე ტიპის ემულსიური ფუძეები. ასე მაგალითად: ჰიდროფილური მალამოები, რომელთაც უშვებს გერმანული ფირმა Heel, სტაბილიზებულია 12,5%-იანი ეთანოლით (% მოცულობით).

**ხშირად გამოყენებული მარტივი და რთული
ჰომეოპათიური მალამოების მაგალითები**

ცხრილი №16

დასახელება	შემადგენლობა გრამებში	გამოყენება	გამოყენების ხერხი
არნიკა 10%	Arnica D1 10,0 Vaselineum ad 100,0	დაჟეილობის დროს ჰემატომების გაწოვის დასაქარებლად	კანზე დაიტანენ თხელ ფენად 1-2-ჯერ დღეში. მკურნალობის კურსი 1-2 კვირა

ბელადონა 5%	Belladonna D1 10,0 Vaselinum ad 100,0	ანთებიით პროცესების დროს	კანზე დაიტანენ თხელ ფე- ნად 1-2-ჯერ დღეში. მკურნალობის კურსი 1-2 კვირა
ბრიონია 5 და 10%	Bryonia D1 5,0 (10,0) Vaselinum ad 100,0	რევმატიზმის, ართრიტის, ართროზების დროს	კანის დაზიანებულ ადგი- ლებზე წაისობენ და შეი- ზელენ ნაზი მოძრაობით ქვემოდან ზემოთ
ჰამამელისი 10%	Hamamelis D1 10,0 Vaselinum ad 100,0	ფლებიტების, ვენების ვარი- კოზული გაფართოების, ბუ- ასილის დროს	კანის დაზიანებულ ადგი- ლებზე წაისობენ და შეი- ზელენ ნაზი მოძრაობით ქვემოდან ზემოთ 2-ჯერ დღე-ღამეში
ჰიპერიკუმი 10%	Hypericum D1 10,0 Vaselinum ad 100,0	ნერვული ქსოვილის ტრავ- მული დაზიანება და მით გამოწვე- ული ჩხვლეტითი და ტეხვითი ტკი- ვილების დროს	კანის დაზიანებულ ადგი- ლებზე წაისობენ და შეი- ზელენ ნაზი მოძრაობით ქვემოდან ზემოთ 2-ჯერ დღე-ღამეში
კალენდულა 10%	Calendula D1 10,0 Vaselinum ad 100,0	დაოდვილობისა და ნახეთქების სამკურნალოდ	კანზე დაიტანენ თხელ ფე- ნად 1-2-ჯერ დღეში. მკურ ნალობის კურსი 1-2 კვირა
ლედუმ 10%	Ledum D1 10,0 Vaselinum ad 100,0	სახსრის ტკივი- ლის, მწერის ნაკბე- ნით გამოწვეული შეშუპებების და ტკივილების დროს	კანის დაზიანებულ ადგი- ლებზე წაისობენ და შეი- ზელენ ნაზი მოძრაობით ქვემოდან ზემოთ 2-ჯერ დღე-ღამეში
პროპოლისი 5%	Propolis D1 10,0 Vaselinum ad 100,0	ქრონიკული ეგზემისა და ნეიროდერმიტების კომპლექსური მკურნალობისას	კანზე დაიტანენ თხელ ფე- ნად 1-2-ჯერ დღეში. მკურნალობის კურსი 1-2 კვირა
რუს 5%	Rhus D1 10,0 Vaselinum ad 100,0	რევმატიზმის, პოდაგრის, ართ- რიტის, მყესების დაჭიმულობის დროს	კანის დაზიანებულ ადგი- ლებზე წაისობენ და შეი- ზელენ ნაზი მოძრაობით ქვემოდან ზემოთ 2-ჯერ დღე-ღამეში
ესკულუს 10%	Aesculus D1 10,0 Vaselinum ad 100,0	ბუასილის დროს	სწორ ნაწლავში შეაქვთ ტამპონით 1-2-ჯერ დღე- ღამეში. მკურნალობის კურსი 1-2 კვირა
ანემონი	Anemone D1 0,62 Tincturae Camphorae spi- rituosae 50%-	სისხლძარღვთა გამაფართოებე- ლი, ანტიბაქტერი- ული საშუალება.	სურდოს დროს ტურუნ- დებს მალამოთი დაიფენენ ცხვირში 5-10 წით-ით დღე- ში 3-4-ჯერ

	0,62 Vaselinum ad 25,0	შეთავსებადია სხვა ჰომეოპათიურ და ალოპათიურ საშუალებებთან	
ბრიონია პლუსი	Bryonia alba D2 Hypericum perf. D2 Ledum D2 Capsicum D2 aa Lanolinum adhydricum Vaselinum ad 100,0	ანთების საწინააღმდეგო, ანალგეტიკი, ხონდროპრომა- სტიმულირებელი საშუალება. სასურველია გრანულებთან „რუს პლუს“ შერწყმა	ყოველდღე დღეში 2-ჯერ წაისობენ თხელ ფენად მტკივნეულ უბნებზე
ლინინი	Acidum Boricum 3,0 Talcum 10,0 Zincum oxydum 10,0 Mentholum 7,5 Lanolinum Vaselinum ad 100,0	ანთების საწინააღ- მდეგო, გამტყუ- ებელი, ანტიბაქ- ტერიული, გამომ- შრობი საშუალება	კანის დაზიანებულ ადგი- ლებზე წაისობენ და შეი- ზევენ ნაზი მოძრაობით ქვემოდან ზემოთ 2-ჯერ დღე-ღამეში
რევმა-გელი	Rhus toxicodendron 0,5 Ledum 0,5 Symphytum ad usum exs- ternum 1,0 Aqua purificata Sol. Natrii hydroxydum Acrilum 10%	ჟელე გამოიყენება რევმატიზმის, კუნთებისა და სახსრების დეგენერაციული ცვლილებების დროს, კუნ- თების ავადმყო- ფური დაჭიმულო- ბის, ლუმბაგოს დროს	3-ჯერ დღეში წაისობენ და ნაზად შეიზევენ
ფლემინგის რთული	Mentholum 0,16 Calendula D1 0,44 Hamamelis D1 0,44 Zincum oxydatum 2,35 Aesculus glabra D1 0,44 Vaselinum ad 25,0	ბუასილის ყველა სახეობის და სურდოს დროს. ანთების საწინააღ- მდეგო, ჭრილობე- ბის მოსაშუშებე- ლი, სისხლდენის შემაჩერებელი. მა- ლამო თავსებადია ალოპათიურ და სხვა ჰომეოპათი- ურ საშუალებებ- თან	ბუასილის კოპებზე 1-3- ჯერ დღეში, სურდოს დროს ტურუნდებს მალამოთი დაიფენენ ცხვირში 5-10 წთ-ით დღე- ში 2-3-ჯერ
ურტიკა პლუსი	Calendula D2 Urtica dioica D2	ანთების საწინააღ- მდეგო, ანტიალერ-	დღეში 3-ჯერ წაისობენ თხელ ფენად

Bellis perennis D2 Hypericum D2 Lanolinum anhydricum Vaselineum ad 20,0	გიული, ქავილის სა-წინააღმდეგო, ნეიროჰუმორული საშუალება. გამოი- ყენება დიათეზის, ჯინჭრის ციების, ეგზემის, პიოდერ- მიის, ალერგიული რინიტისას	დაზიანებულ კანზე
-------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	------------------

3.8.2. თხევადი ოპოდელდოკი OPODELDOC LIQUIDA HOMOEOPATHICUS

თხევადი ოპოდელდოკი რბილი წამლის ფორმაა გარეგანი გამოყენებისათვის; იგი ჰომოგენური დისპერსიული სისტემაა, რომელიც წარმოადგენს ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებებისა და ფუძის ნარევს, როგორც წესი, თანაფარდობით 1:10.

ოპოდელდოკი წარმოადგენს ეთანოლიან ლინიმენტს.

ლინიმენტის ფუძის შემადგენლობაში შედის 2 ნაწილი საპნიანი სპირტი, 1 ნაწილი გაწმენდილი წყალი, 1 ნაწილი 93,9%-იანი ეთილის სპირტი. საპნიანი სპირტი - Spiritus saponatus შედგება: კალიუმის საპონი - 63,953 გ, 86%-იანი ეთილის ალკოჰოლი 27,83 გ, გაწმენდილი წყალი - 8,115 გ, ლავანდის ეთეროვანი ზეთი - 0,096 გრამი.

მომზადების ტექნოლოგია: ფუძეს და დედა ტინქტურას ურევენ მზა პროდუქტის კონცენტრაციებიდან (3-5-10 %) გამომდინარე, შესაბამისი რაოდენობებით. ოპოდელდოკების შემადგენლობაში შეიძლება შეტანილი იქნას ნაყენების ან მათი განზავებების ნარევი, ეთეროვანი ზეთები და სხვა სამკურნალო საშუალებები. სუნიანი და აქროლადი ნივთიერებები ემატება ბოლოს. ყველაზე ხშირად გამოყენებული ოპოდელდოკების მაგალითები მოცემულია №17 ცხრილში.

ხშირად ხმარებადი ოპოდელდოკები

ცხრილი №17

დასახელება	შემადგენლობა გ	ჩვენებები გამოყენებისათვის	გამოყენების წესი
არნიკა 10%	Arnica D1 10,0 Opodeldoc basis 90,0	დაჟეჟილობა, ნაღრმობი, და-ხურული ტრავმები	წასმა მტკივნეულ ადგილზე, შეზღუდვა ქვემოდან ზემოთ ნაზი მოძრაობით დღეში ორჯერ. წყლით ჩამოხანავა

ბრიონია 10%	Bryonia D1 10,0 Opodeldoc basis 90,0	რევმატიზმი, ართრიტები, ართროზები	წასმა მტკივნეულ ადგილზე, შეზღუდვა ქვემოდან ზემოთ ნაზი მოძრაობით დღეში ორჯერ. წყლით ჩამოხანვა
ჰიპერიკუმ 10%	Hypericum D1 10,0 Opodeldoc basis 90,0	ნერვული სისტემის დაზიანებით გამოწვეული ტრავმები, ტუჩებით და მხვლელები ტკივილების დროს. სიცივითა და ნესტით გამოწვეული ნევრიტების დროს	წასმა მტკივნეულ ადგილზე, შეზღუდვა ქვემოდან ზემოთ ნაზი მოძრაობით დღეში ორჯერ. წყლით ჩამოხანვა
ლედუმ 10%	Ledum D1 10,0 Opodeldoc basis 90,0	სახსრების ტკივილისას, მწერის ნაკბენის გართულების, მისი ქავილისა და შემუშების დროს.	წასმა მტკივნეულ ადგილზე, შეზღუდვა ქვემოდან ზემოთ ნაზი მოძრაობით დღეში ორჯერ. წყლით ჩამოხანვა
რუს 10%	Rhus D1 5,0 Opodeldoc basis 95,0	რევმატიზმი, პოდაგრა, ართრიტი, მყესების დაჭიმვა, ლუმ ბაგო	წასმა მტკივნეულ ადგილზე, შეზღუდვა ქვემოდან ზემოთ ნაზი მოძრაობით დღეში ორჯერ. წყლით ჩამოხანვა
ედას 401 M	Arnica D3 10,0 Hamamelis D3 Rhus toxicodendron D3 Basis sp. saponatus 90,0	დახურული ტრავმები, დაჟეჟილობა, სისხლჩაქცევები, კუნთების ტკივილი, ვენების გაფართოება და ანთეზები	მალამოს მცირე რაოდენობას წაისობენ დაზიანებულ ადგილზე და ქვემოდან ზემოთ ნაზი მოძრაობით შეიზღუდენ, იმეორებენ 2-3-ჯერ
ედას 402 M	Belladonna D3 Bryonia D3 Ledum D3 Rhus toxicodendron D3 Basis	სახსრების ანთეზა, იოგების დაჭიმვა, მწერის ნაკბენი და ქავილი	მალამოს მცირე რაოდენობას წაისობენ დაზიანებულ ადგილზე და ქვემოდან ზემოთ ნაზი მოძრაობით შეიზღუდენ, იმეორებენ 2-3-ჯერ

ჰომეოპათიური მალამოებისა და ოპოდელდოკების ხარისხის კონტროლი

მალამოებისა და ოპოდელდოკების ხარისხის კონტროლი ხდება ფარმაცოპეის ზოგადი სტატია „მალამოები“ მიხედვით. ისაზღვრება

გარეგნული სახე, ფერი, სუნი, სიმკვრივე და მშრალი ნაშთი (ოპოდელდოკების შემთხვევაში), pH-ის მნიშვნელობა (პოტენციომეტრული მეთოდით) ისაზღვრება ჰიდროფილურ ფუძეზე მომზადებულ მალამოებში, ერთგვაროვნობა, ნაწილაკების ზომა (მიკროსკოპული მეთოდით), დამხმარე ნივთიერებათა იგივეობა (ნორმატიული დოკუმენტის მიხედვით), ერთ შეფუთვაში მოთავსებული მასის სიზუსტე.

მშრალი ნაშთი ისაზღვრება შემდეგნაირად: დაახლოებით 2 გ ოპოდელდოკის თხევად მასას (ზუსტი წონა) ათავსებენ ტიგელში, რომელიც წინასწარ 100-105 გრადუსზე წინასწარ იყო გამომშრალი მუდმივ წონამდე. ორ უკანასკნელ წონას შორის სხვაობა 0,002 გ-ს არ უნდა აღემატებოდეს.

3.8.3. ჰომეოპათიური სუპოზიტორიები

ჰომეოპათიური სუპოზიტორიების შემადგენლობაში შედის ჰომეოპათიური სუბსტანციები, რომლებიც ფუძეში თანაბრად განაწილებული. ისევე, როგორც ალოპათიური სუპოზიტორიები, ისინი წარმოადგენენ ოთახის ტემპერატურაზე მყარ და სხეულის ტემპერატურაზე ლღობად ან ხსნად რბილ დოზირებულ წამლის ფორმებს, რომლებიც გამოიყენება სხეულის ღრუებში შესაყვანად.

განსაზღვრული შემადგენლობის სუპოზიტორიების ნორმატიულ დოკუმენტზე უნდა იყოს მითითებული: ერთი სუპოზიტორიის შემადგენელი კომპონენტები და მათი დოზები, გამოყენებული ჰომეოპათიური სამკურნალო საშუალებების განზავებები, ერთი სუპოზიტორიის მასა, რომელიც ბავშვებისათვის შეადგენს 1,0 გ, ხოლო მოზრდილთათვის - მიახლოებით 2,0 გ.

სუპოზიტორიების მომზადებისას აფთიაქში ფუძის სახით რეკომენდებულია კაკაოს ქონი, სამრეწველო წარმოებაში - ჰიდროგენიზებული ცხიმები (მყარი ცხიმები A და B ტიპის და სხვა). ალოპათიურ მედიცინაში გამოყენებისათვის ნებადართული ყველა ფუძე დასაშვებია ჰომეოპათიაშიც. ბავშვებისათვის სუპოზიტორიები მზადდება ან კაკაოს ცხიმზე, ან A ტიპის მყარ ჰიდროცხიმზე. როგორც წესი, ჰომეოპათიურ სუპოზიტორიებში არ შეაქვთ სტაბილიზატორი. დასაშვებია ისეთი დამხმარე ნივთიერებების დამატება, როგორიცაა უწყლო ლანოლინი, დექსტრინი, ცელულოზა, თაფლი.

სუპოზიტორიები მზადდება მოქმედი ფარმაცოპეის ზოგადი სტატია „სუპოზიტორიები“ მიხედვით. მომზადების ხერხებია: გამოგორების ანუ ხელით გამოძერწვის, ჩამოსხმისა და დაწნევის. ჰომეოპათიურ აფთია-

აქებში ამჟამად ჭარბობს გამოგორების მეთოდით მომზადების შემთხვევები.

მატრიცული (დედა) ტინქტურები, ხსნარები, შესაბამისი განზავების ტრიტურაციები სუპოზიტორიების მასაში შეაქვთ თანაფარდობით 1:10. სამკურნალწამლო საშუალების დასაწყავად გამოიყენება სტანდარტული ანუ ემპირიული წვეთმზომი, რომელიც დაკალიბრებულია (უნიფიცირებულია) მოცემულ სამკურნალო საშუალებაზე - მასის მიხედვით. თითოეულ სუპოზიტორიაზე იხმარება წინასწარ შესქელებული 2 წვეთი სითხოვანი ექსტრაქტი ან 20 წვეთი ტინქტურა.

სამკურნალო ნივთიერებები სუპოზიტორიების მასაში შეაქვთ ან პირდაპირ სუპოზიტორიის ფუძესთან შერევით, ან ჯერ მოსრესენ დისპერგირებისათვის შესაფერისი სითხის მცირე რაოდენობასთან და შემდეგ დაუმატებენ ფუძეს; სველი დისპერგირებისათვის გამოიყენება: გამლღვალა ფუძე, გაწმენდილი წყალი, წყალ-სპირტ-გლიცერინის ნარევი, მცენარეული ან ვაზელინის ზეთი და სხვა.

ჰომეოპათიური ნაყენები და სხვა სითხოვანი სამკურნალწამლო საშუალებები, რომლებიც არ შეიცავენ აქროლად მოქმედ ნივთიერებებს, ფუძეში შეტანამდე უნდა კონცენტრირდეს (შესქელდეს) ვაკუუმ-ასორთქლებელ აპარატში.

ფორმაში ჩამოსხმის მეთოდით მომზადების შემთხვევაში, თერმოლაბილური სამკურნალწამლო ნივთიერებები ფუძეს უნდა დაემატოს უშუალოდ სუპოზიტორიების ფორმირების წინ.

ისევე როგორც ალოპათიურისა, ჰომეოპათიური სუპოზიტორიების, ხარისხის კონტროლისას მოწმდება: გარეგნული იერსახე, ფერი, ერთგვაროვნება, ლღობის ტემპერატურა, სრული დეფორმაციის დრო, საშუალო მასა, ცალკეული სუპოზიტორიის წონაში გადახრა საშუალო მასიდან და სხვა; გადახრა არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს.

3.9. ჰომეოპათიური პრეპარატები ზეთის ფუძით OLEA HOMOEOPATHICAE

ჰომეოპათიური პრეპარატები ზეთის ფუძით წარმოადგენენ სამკურნალწამლო ფორმებს გარეგანი ხმარებისათვის. ისინი შედგება ერთის მხრივ ჰომეოპათიური სუბსტანციისაგან და მეორეს მხრივ, მცენარეული ან მინერალური ზეთისაგან. გამოყენებულია მცენარეული ზეთები - ატმის, გარგარის, ნუშის, ქლიავის, ზეთუნის; მინერალური ზეთებიდან გამოიყენება ვაზელინის ზეთი. რომელი ზეთი უნდა

გამოვიყენოთ კონკრეტულ შემთხვევაში, მითითებულია ნორმატიულ დოკუმენტში. №18 ცხრილში მოგვყავს ზოგიერთი ჰომეოპათიური ზეთის შემცველობა და გამოყენების წესი.

ჰომეოპათიური ზეთების მაგალითები

ცხრილი №18

დასახელება	შემადგენლობა	გამოყენება
ნაზისანი-ზეთი ჰომეოფარმა, რუსეთი	Teucreun D1 Thuja D1 Echinacea D1 in oleis	ცხვირისა და დანამატი ღრუების ანთებითი პროცესები - რინიტი, სინუსიტი, ფრონტიტი, ჰამორიტი. ცხვირხახაში წანაზარდების - პოლიპების, ადენოიდიდების დროს
ედას - 801 ტუიას ზეთი ჰომეოფარმა, რუსეთი	Thuja ocudentalis D6 in oleis	გარეგანი. გამოწყარის, ხალების, ქრონიკული რინიტის, ცხვირის პოლიპების, ადენოიდიდების, ოტიტების; ავტოზური სტომატიტების, პაროდონტოზის დროს. ზეთის მცირე რაოდენობას წაისვამენ კანის დაზიანებულ ადგილებზე დღეში 2-3-ჯერ. ინტრანაზალურად - 3-4 წვეთი ორივე ნესტოში 2-3-ჯერ დღეში. ოტიტების დროს ყურის ნიჟარის უკან, კანზე წაისვამენ ან გარეთა სასმენ მილში იდებენ ტურუნდებს, რომლებიც ზეთით არის დასველებული. პირის ღრუს დაავადებებისას - წაისვამენ ლორწოვანზე დღეში 3-ჯერ ჭამისა და პირის ღრუს გასუფთავების შემდეგ
ედას- 802 ლედუმ - ზეთი ჰომეოფარმა, რუსეთი	Ledum D3 in oleis	ართრიტების, კოლოს ნაკენის, რევმატიზმის, პოდაგრის ნაჩხველტი ქრილობების დროს

1:10-ზე თანაფარდობით მზადდება ბრიონიას, ციმციციფუგას და სხვა ზეთები.

1:20-ზე თანაფარდობით მზადდება აკონიტის, სპონგიას და სხვა ზეთები, რადგან ისინი შეიცავენ ძლიერმოქმედ ნივთიერებებს .

ნორმატიული დოკუმენტის მიხედვით, ზეთები შეიძლება სხვა კონცენტრაციითაც მომზადდეს; მაგალითად: ქლორეტონი - 0,5%, აპის , კანთარის - 3% და ა. შ.

მეთოდი 1

ერთი წონითი ნაწილი მცენარეული ნედლეული თავსდება თავდახურულ ჭურჭელში და ხდება მისი შესველება 0,25 წონითი ნაწილი

93,9%-იანი ეთანოლით. ახურავენ თავს და სტოვებენ 12 საათით, შემდეგ, შემდეგ მას შეურევენ 10 ან 20 ნაწილ ზეთს და 60-70° C-ზე აყოვნებენ 4 საათის განმავლობაში. მიღებულ ნარევს გამოწურავენ და ფილტრავენ. მიიღება 5 ან 10%-იანი ჰომეოპათიური ზეთი.

მეთოდი 2

ჰომეოპათიური ზეთი მზადდება 1 წონითი ნაწილი ეთეროვანი ზეთისა და 9 ან 19 წონითი ნაწილი ზეთის შერევით. შესაბამისად მიიღება 10 ან 5%-იანი ჰომეოპათიური ზეთი.

ხარისხის კონტროლი:

ჰომეოპათიური ზეთების ხარისხის კონტროლი ხორციელდება გარეგანი სახის მიხედვით, ფერის, სუნის, მჟავური რიცხვის, ჟანგადობის ინდექსის ან ზეჟანგობის რიცხვით; ამოწმებენ ერთგვაროვნობას, მასის სიზუსტეს ერთ შეფუთვაში და ა. შ. ხარისხის კონტროლის ნტდ-ია რუსული XI ფარმაცოპეა.

3.10. თვალის წვეთების მომზადების თავისებურებები ჰომეოპათიაში

ჰომეოპათიური თვალის წვეთები არის სითხოვანი წამლის ფორმა თვალში ინსტილაციისათვის. ისინი აუცილებლად უნდა მომზადდეს თვალის სითხის იზოტონური და უნდა შეიცავდნენ ერთ ან მეტ კომპონენტს ჰომეოპათიურ განზავებებში - ხსნარებს, ნაყენებს, გამო-ნაწვლილებს სხვადასხვა მცენარეული ან ცხოველური ნედლეულიდან და სხვ..

თვალის წამლის ფორმები მზადდება **ხერხი 2**-ით ახლადმომზადებული განზავებებიდან საინექციო წყლის ან სტერილური გაწმენდილი წყლის გამოყენებით (იხილე სათაური თხევადი განზავებების მომზადება ტრიტურაციებიდან - ხერხი 2). გამხსნელებად შეიძლება აგრეთვე გამოყენებული იქნას ნატრიუმის ქლორიდის იზოტონური ხსნარი ან ბუფერული გამხსნელები, რაც მითითებული უნდა იყოს კერძო ნორმატიულ დოკუმენტში.

3 გრამზე მცირე მასის განზავებების მომზადებისას საწყისი ხსნარებისა და პრეპარატების დოზირება ხდება წვეთობით. ამისათვის გამოიყენება სტანდარტული წვეთმზომები ან ემპირიული წვეთმზომი-პიპეტები (ეს არის ჩვეულებრივი პიპეტი, რომელიც დაკალიბრებულია). თუ ვიყენებთ მინის მილესილსაცობიან სტანდარტულ ფლაკონ-საწ-

ვეთურს, უნდა გავითვალისწინოთ მისი შევსების ხარისხი. ფლაკონზე მითითებული უნდა იყოს გახსნილი სამკურნალო ნივთიერების დასახელება, მისი პოტენცია, ნივთიერების შემცველობა 1 წვეთში და წვეთების რაოდენობა 1 გრამ ხსნარში.

შხამიანი და ძლიერმოქმედი ნივთიერებების ხსნარები D1, D2, D3 განზავებებში ინახება განსაკუთრებულ პირობებში, რომლებიც მითითებულია კერძო სტატიებში. ფერის ცვლილება, შემღვრევა, ნაფიფქის წარმოქმნა ჭურჭელზე ან ფთილების წარმოშობა ხსნარში მიუთითებს გაუვარგისებაზე.

ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად ასეთი ნივთიერებათა ხსნარები უნდა მომზადდეს ასეპტიკურ პირობებში და იყოს სტერილური.

ნაზალური წვეთებისათვის დადგენილია მიკრობიოლოგიური სისუფთავის ნორმები, თუმცა პერსპექტივაში შეიძლება მოთხოვნილი იქნეს მათი სტერილურობაც.

პოტენცირებას აწარმოებენ ზოგადი სტატიის მიხედვით ამ წამლის ფორმაზე. ჰომეოპათიური თვალის წვეთების მოსამზადებლად გამოყენებული პოტენციები ბოლო ორი ათობითი და ბოლო ასობითი განზავება აუცილებლად უნდა მომზადდეს ახლადმიღებულ გამობდილ წყალზე. ამავე მიზნით გამოიყენება ნატრიუმის ქლორიდის იზოტონური ხსნარი ან ხსნარი, რომელიც შეიცავს 0,2 ნაწილ ნატრიუმის ჰიდროკარბონატს; 8,8 ნაწილ ნატრიუმის ქლორიდს და 91 ნაწილ ახალმიღებულ გაწმენდილ წყალს. შეიძლება სამედიცინო გამოყენებისათვის ნებადართული სხვა გამხსნელიც, გარდა ეთანოლისა. ეთანოლის შემცველი განზავებების პოტენცირებისას თვალის წვეთების მომზადების დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნარჩენი ეთანოლის კონცენტრაცია არ უნდა იყოს 0,005 გ/1 გ -ზე მეტი.

დამხმარე ნივთიერებები ჰომეოპათიურ თვალის წვეთებში ემატება საბოლოო პოტენცირების შემდეგ. გარდა იზოტონირებისათვის გამოყენებული დამხმარე ნივთიერებებისა, გამოიყენება pH-ის ოპტიმალური მნიშვნელობის შესანარჩუნებელი ნივთიერებები და კონსერვანტები, რომლებიც კერძო ნორმატიულ დოკუმენტებშია მითითებული. კონსერვანტები ემატება მრავალდოზიან თვალის წვეთებში. ქირურგიაში გამოყენებული თვალის წვეთები მზადდება კონსერვანტების გარეშე.

თვალის სამკურნალო ფორმების სტერილიზაციას ახორციელებენ მოქმედი ფარმაცოპიის სტატიის „სტერილიზაცია“ და კერძო ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად.

3.11. ჰომეოპათიური წყლიანი გამონაწვლილები

ჰომეოპათიური გამონაცემები და მონახარშები (Infusa et decocta homoeopathicae) წარმოადგენენ სამკურნალო მცენარეული ნედლეულიდან მიღებულ წყლიან გამონაწვლილებს. მათ იყენებენ სხვადასხვა ჰომეოპათიური სამკურნალო პრეპარატების მოსამზადებლად. მაგალითად, გამომშრალი ნედლეულიდან მიღებული გამონაცემები და მონახარშები გამოიყენება ჰომეოპათიური საინექციო ხსნარების, თვალის წვეთების, გრანულების, სუპოზიტორიებისა და სხვათა მოსამზადებლად. ნედლი სამკურნალო მცენარეული ნედლეულიდან მიღებული გამონაცემები და მათი განზავებები გამოიყენება მხოლოდ ჰომეოპათიური საინექციო ხსნარების, ხოლო მონახარშები და მათი განზავებები - საინექციო ხსნარებისა და თვალის წვეთების მოსამზადებლად.

იმ წამლის ფორმების ზოგად და კერძო ფარმაკოპეულ სტატიებში, რომლებშიც შედიან გამონაცემები და მონახარშები, მითითებული უნდა იყოს სამკურნალო მცენარეული ნედლეულის დასახელება, ექსტრაქციის რეჟიმი და განზავების ხარისხი (პოტენცია). გამოიყენება მხოლოდ ის სამკურნალო მცენარეული ნედლეული, რომელიც ნებადართულია ჰომეოპათიაში გამოსაყენებლად და პასუხობს ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

დაწვრილმანებულ ნედლეულს წყალთან დააყოვნებენ. თუ არაა მითითებული ნედლეულის დაწვრილმანების ხარისხი, ფოთლებს, ყვავილებს, ბალახებს აქუცმაცებენ 4 მმ-მდე; ყლორტებს, ქერქებს, ფესვებს, ფესურებს, ბოლქვებს, ტუბერებს, ტუბერ-ბოლქვებს - 3 მმ-მდე; ნაყოფებსა და თესლებს - არაუმეტეს 2 მმ-მდე.

სააფთიაქო პირობებში წყალთან დაყოვნებისათვის იყენებენ საინფუნდირო აპარატებს, რომლებიც დამზადებულია ფაიფურისაგან, მინისაგან, უჟანგავი ფოლადისაგან ან სხვა მასალისაგან, ან მომინანქრებულია. ყველაზე ხელმისაწვდომია ფაიფურის საინფუნდირო ჭურჭელი. ნედლეულის ჩაყრამდე ჭურჭელს 15 წუთით ახურებენ 90 გრადუს ტემპერატურამდე. ექსტრაქციის პროცესში ნედლეულისა და ექსტრაგენტის ნაზავს ხშირად ურევენ.

ჰომეოპათიურ წყლიან გამონაწვლილებსა და მათ განზავებებში, როგორც წესი, არ გამოიყენება კონსერვანტები. წყლიანი გამონაწვლილის მიღების ტექნოლოგიური სქემა წარმოდგენილია №19 ცხრილში.

მცენარეული ნედლეულის სხვადასხვა სახეობიდან წყლიანი გამოწვლილების მომზადების განსაკუთრებული შემთხვევები მოცემულია ფარმაცოპეულ სტატებში.

გამონაცემებისა და მონახარშების ხარისხს საზღვრავენ გარეგანი დათვალიერებით, ფერით, სუნით, იგივეობის რეაქციებით. ხარისხის სხვა მაჩვენებლები დგინდება ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად.

**ჰომეოპათიური წყლიანი გამონაწვლილების მომზადება
სამკურნალო მცენარეული ნედლეულიდან**

ცხრილი №19

მომზადების სტადიები და ტექნო- ლოგიური პარამეტრები	ნედლეულის სახეობა (მომზადების მეთოდი)			
	გამომშრალი ნედლეული (მეთოდი 1.1-1.2)*		ნედლი მცენარეული ნედლ. (მეთ.2.1-2.2)**	
	გამონაცემები (1.1)	მონახარ- შები (1.2)	გამონაცემები (2.1)	მონახარშები (2.2)
გაწმენდილი წყლის დამატება	1:10	1:10	$X=M(400-A)/100$, სადაც X არის წყლის რაოდენ- ობა, M -ნედ- ლეულის მასა, A- მასის დანა- კარგი შრობისას %-ში	$X=M(300-A)/100$, სადაც X არის წყლის რაოდენ- ობა, M -ნედ- ლეულის მასა კგ, A- მასის დანაკარგი შრობისას %-ში
წყლის ტემპერატურა 18-20 გრადუსი წყლის ტემპერატურა 37 გრადუსი მდულარე წყალი	პირველად 3- 5-ჯერ მეტი, ვიდრე ნედლეულია იგივე 15 წუთის შემდეგ დანარჩენი მოცულობა	— — მთელი მოცულო ბა	— მთელი მოცულობა —	მთელი მოცულობა — მთელი მოცულობა
დაყოვნება, წთ წყლის ტემპერატურა 18-20 გრადუსი წყლის ტემპერატურა 37 გრადუსი მდულარე წყალი	15 — 5	— — 30	— 60 —	120 — 30 (უკუმაცივირიან ჭურჭელში)

გაცივება	სრული გაცივება ოთახის ტემპერატ.	—	—	—
გაფილტვრა, ანუ ნაზად გაწურვა	სტერილურ დოლ-ბანდში ან ნარმაში	სტერილურ დოლბან-დში ან ნარმაში ცხელი სახით გაწურვა	სტერილურ დოლბანდში ან ნარმაში გაწურვა დაყოვნების დასრულების შემდეგ	სტერილურ დოლბანდში ან ნარმაში გაწურვა დაყოვნების დასრულების შემდეგ
აწონვა - სასურველ მასამდე მიყვანა***	გ ა ც ი ვ ე ბ ი ს შ ე მ დ ე გ			

* გამონაცემები და მონახარშები გამომშრალი მცენარეული ნედლეულიდან მზადდება მასური მეთოდით 1 ნაწილი მცენარეული ნედლეული და 10 ნაწილი გაწმენდილი წყალი (ეს არის 8 ფიტა ანუ D1), D2 განზავება მიიღება 1 ნაწილი წყლიანი გამონაწვლილისა და 9 ნაწილი გაწმენდილი წყლისაგან - ნჯღრევითა და პოტენცირებით.

** გამონაცემების D1 განზავება მზადდება 4 ნაწილი გამონაცემისა და 6 ნაწილი გაწმენდილი წყლისაგან; მონახარშების კი - 3 ნაწილი მონახარშისა და 7 ნაწილი გაწმენდილი წყლისაგან.

*** თუ მომზადებული გამონაცემის ან მონახარშის მასა რეცეპტში გამოწერილზე ნაკლებია, მცენარეულ ჩენჩოს მიუმატებენ ოთახის ტემპერატურის საჭირო რაოდენობის წყალს და კვლავ ნაზად გამოწურავენ.

3.12. დაფერმენტებული ჰომეოპათიური დედა ტინქტურები

დაფერმენტებული ჰომეოპათიური დედა (მატრიცული) ტინქტურები წარმოადგენენ ნედლი ან გამომშრალი სამკურნალო მცენარეული ნედლეულისაგან მიღებულ წყლიან გამონაწვლილებს. მათ ლებულობენ დაფერმენტებით - ტემპერატურის, pH-ის, დაყოვნების ხანგრძლივობის, მორევის რეჟიმის და სხვა დადგენილი პარამეტრების პირობებში. ისინი გამოიყენება სხვა ჰომეოპათიური წამლის ფორმების მოსამზადებლად.

ნაყენები მზადდება მაცერაციით თაფლთან, თაფლისა და ლაქტოზის ნარევეთან ან ახლადმომზადებულ რძის შრატთან ერთად მჭიდროდ თავ--

დაცობილ მინის ან თიხის ჭურჭელში. რძის შრატის მიღება ხდება ძროხის უმაღლესი ხარისხის, ახლადმოწველილი რძისაგან; რძეს აადულებენ, გააცივებენ და შეადელებენ მიკროორგანიზმებით *Lactobacillus plantarum* 3 დღის განმავლობაში დაახლოებით 25⁰ ტემპერატურაზე. ამ „დედოს“ დაუმატებენ 10 მლ ძროხის ახალ რძეს ყოველ 1 ლ დედოზე.

დაქუცმაცებული მცენარეული ნედლეულის ნაწილაკების ზომა მითითებული უნდა იყოს შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტში. დაქუცმაცების ხარისხის არმითითებისას ნედლ მცენარეს აქუცმაცებენ ფაფისეზური მასის მიღებამდე, ხოლო გამომშრალს ისე, რომ გაიცრას 1,5 მმ ნასვრეტებიან საცერში. მაცერაციის ტემპერატურულ რეჟიმს ინარჩუნებენ თერმოსტატის საშუალებით. მაცერატს ურევვენ დღეში ორჯერ. მაცერაციის სხვადასხვა მეთოდების დროს კომპონენტებს შორის თანაფარდობა 100 გ ნედლეულზე წარმოდგენილია ცხრილში №29.

100 გრამ ნედლეულზე კომპონენტების თანაფარდობა მაცერაციის სხვადასხვა მეთოდების დროს

ცხრილი №20

კომპონენტი	მასა გრამებში													
	მეთოდის ნომერი ფარმაკოპეული სტატიის მიხედვით													
	1.1	1.2	1.3	1.4	1.5	2.1	2.2	3.1	3.2	3.3	3.4	3.5	4	
თაფლი	0,75	0,75	0,75	0,75	0,75	0,75	0,75	-	-	-	-	-	-	
ლაქტოზა	0,75	0,75	0,75	0,75	0,75	-	-	-	-	-	-	-	-	
გაწმენდილი წყალი	50	75	125	200	275	500	500	-	25	75	110	225	300	
რძის შრატი	-	-	-	-	-	-	-	50	50	50	15	50	200	

ერთი სერიის დაფერმენტებულ ნაყენს, როგორც წესი, ამზადებენ 1-დან 3 კგ-მდე. ნედლი მცენარეული ნედლეულიდან ნაყენები მზადდება 1.1-1.5; 2.1; 3.1-3.5 მეთოდების გამოყენებით. ეს მეთოდები აღწერილია რუსულ ჰომეოპათიურ ფარმაკოპეულ სტატიამში. გამომშრალი მცენარეული ნედლეულიდან ნაყენების მოსამზადებლად იყენებენ 2.2 და 4 მეთოდებს.

დაფერმენტებული ჰომეოპათიური ნაყენების მომზადება წარმოდგენილია №21 ცხრილში.

**სხვადასხვა მეთოდებით დაფერმენტებული ნაყენების
მომზადების ძირითადი სტადიები**

ცხრილი №21

მომზადების სტადია და ტექნოლოგიური პარამეტრები	მომზადების მეთოდები ფარმაკოპეული სტატიის მიხედვით			
	1.1-1.5	2.1-2.2	3.1-3.5	4.0
<p>მაცერეცია: ტემპერატურა ხანგრძლივობა (დღე-ღამე) ჯერადობა ნედლეულის მასა (კგ) გამოყენებული ექსტრაგენტის მოცულობა)</p>	<p>37⁺ 5 3,5 ერთჯერადად ერთბაზად მთელი მასა ერთბაზად მთელი მოცულობა</p>	<p>37⁺0,5 7 7 ნედლეულს ყოფენ 7 ნაწილად ერთბაზად მთელი მოცულობა</p>	<p>37⁺ 5 3,5 ერთჯერადად ერთბაზად მთელი მასა ერთბაზად მთელი მოცულობა</p>	<p>37⁺ 5 3,5 ერთჯერადად ერთბაზად მთელი მასა ერთბაზად მთელი მოცულობა</p>
<p>pH⁻-ის კონტროლი</p>	<p>ყოველდღიურად დილა-სა- ღამოს</p>	<p>ყოველდღიურად დილა- -საღამოს 7 დღე- ღამის მანძილზე, ნედლეულის შემდეგი ნაწილის მაცერაციის დროს</p>	<p>რძის შრატის შერევის- თანავე და შემდეგ, როგორც 1.1- 1.5 მეთოდებში</p>	<p>ყოველდღიურად დილა- -საღამოს 7 დღე- ღამის მანძილზე, ნედლეულის შემდეგი ნაწილის მაცერაციის დროს</p>
<p>გაცივება: ტემპერატურა ხანგრძლივობა (სთ) ჯერადობა</p>	<p>არაუმეტეს 4 გრადუსი ცელციუსი 2 საათი დილა- საღამოს</p>	<p>არაუმეტეს 4 გრადუსი ცელციუსი 2 საათი საღამოს 7 დღე- ღამის მანძილზე, ნედლეულის შემდეგი ნაწილის დამა- ტებისა და მაცერაციის დროს</p>	<p>არაუმეტეს 4 გრადუსი ცელციუსი 2 საათი დილა- საღამოს</p>	<p>არაუმეტეს 4 გრადუსი ცელციუსი 2 საათი საღამოს 7 დღე- ღამის მანძილზე, ნედლეულის შემდეგი ნაწილის დამა- ტებისა და მაცერაციის დროს</p>
<p>არევა (გულდასმით)</p>	<p>გაცივებამდე და შემდეგ</p>	<p>გაცივებამდე და შემდეგ</p>	<p>გაცივებამდე და შემდეგ</p>	<p>გაცივებამდე და შემდეგ</p>

		ნედლეულის შემდეგი ნაწილის მაცერაციის დროს		ნედლეულის შემდეგი ნაწილის მაცერაციის დროს
გამოწურვა - რამდენი დღის შემდეგ მასალა	3,5 სტერილური ქსოვილი	ნედლეულის შემდეგი ნაწილის დამატებისა და მაცერაციის შემდეგ - დილით ყოველ 24 საათში	3,5 სტერილური ქსოვილი	ნედლეულის შემდეგი ნაწილის დამატებისა და მაცერაციის შემდეგ - დილით ყოველ 24 საათში
გამოწურული ნედლეულის შრობა	ჰაერზე	ჰაერზე	ჰაერზე	ჰაერზე
გამოწურული ნედლეულის ნაცრის მიღების t	700	700	700	700
დაყოვნების ტემპერატურა	3,5 დღე-ღამის განმავლობაში მაცერაციის შემდეგ 18-20 გრადუსზე	ნედლეულის მეშვიდე ნაწილის დამუშავების შემდეგ 18-20 გრადუსზე	3,5 დღე-ღამის განმავლობაში მაცერაციის შემდეგ 18-20 გრადუსზე	3,5 დღე-ღამის განმავლობაში მაცერაციის შემდეგ 18-20 გრადუსზე
ხანგრძლივობა (დღე-ღამე)	3,5	არანაკლებ 1/12- 1/8 (2-3 საათი)	3,5	არანაკლებ 1/12- 1/8 (2-3 საათი)
გაფილტვრა	სტერილურ ქსოვილში	სტერილურ ქსოვილში	სტერილურ ქსოვილში	სტერილურ ქსოვილში
ხარისხის კონტროლი**	ფილტრატის მოცულობის განსაზღვრა, pH-ის განსაზღვრა	ფილტრატის მოცულობის განსაზღვრა, pH- ის განსაზღვრა	ფილტრატის მოცულობის განსაზღვრა, pH-ის განსაზღვრა	ფილტრატის მოცულობის განსაზღვრა, pH- ის განსაზღვრა
ფილტრატის შერევა ნაცართან	0,05 გ 100 მლ ფილტრატთან	0,05 გ 100 მლ ფილტრატთან	0,05 გ 100 მლ ფილტრატთან	0,05 გ 100 მლ ფილტრატთან
დაყოვნება: პირობები ხანგრძლივობა	გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 6 თვისა***	გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 6 თვისა***	გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 6 თვისა***	გრილ, სინათლისაგან დაცულ ადგილას არაუმეტეს 6 თვისა***

* - pH-ის მნიშვნელობის ზრდის შემთხვევაში მაცერატს ათავსებენ ოთახის ტემპერატურაზე.

** - ფილტრატი, როგორც წესი, მღვრიეა.

*** - დაყოვნებისას წარმოქმნილ ნალექს არ იყენებენ.

პოტენციები (გამზავებები) დაფერმენტებული დედა ნაყენებიდან მზადდება წონითი მეთოდით.

D1 ან C1 განზავებების მისაღებად 1 ნაწილ დედა ტინქტურას შეავსებენ 9 ან 99 ნაწილი გაწმენდილი წყლით და აწარმოებენ პოტენცირებას. მომდევნო პოტენციები მიიღება წინა განზავების 1 გრამზე 9 ან 99 გრამი გაწმენდილი წყლის დამატებით და პოტენცირებით.

ყველა მატრიცული ნაყენი, რომელი მეთოდითაც არ უნდა იყოს იგი მიღებული, ინახება სინათლისაგან დაცულ ადგილას, ისე, როგორც ყველა ნაყენი საზოგადოდ (იხ. რუსული სახელმწიფო ფარმაცოპეა, XI გამოცემა, ტომი II, გვ. 148). შენახვის განსაკუთრებული პირობები მოცემულია კერძო ფარმაცოპეულ სტატიაში.

დაფერმენტებული ნაყენები ინახება 6 თვის განმავლობაში შენახვისას მასში წარმოშობილ ნალექთან ერთად, მხოლოდ ნალექს - არ გამოიყენებენ.

დაფერმენტებული ნაყენების ხარისხი შემდეგი პარამეტრებით განისაზღვრება: გარეგანი სახე, ფერი, სუნი, იგივეობა, გამოწველილი ნივთიერებების რაოდენობრივი შემცველობა (ნორმატიული დოკუმენტის შესაბამისად), ფარდობითი სიმკვრივე, მშრალი ნაშთი (ისაზღვრება 5 გრამ პრეპარატში), pH-ის მნიშვნელობა, მძიმე ლითონების შემცველობა, მატრიცული დაფერმენტებული ნაყენების მოსამზადებლად გამოყენებული რძის შრატის შეფერილობა და სიმღვრივის ხარისხი (ეტალონები შედარებისათვის მოცემულია რუსული სახელმწიფო ფარმაცოპეა, XI გამოცემა, ტომი I -ში).

თავი 4.

ჰომეოპათიური წამლის ფორმების შიდასააფთიაქო ხარისხის კონტროლი

აფთიაქში მომზადებული ჰომეოპათიური წამლის ფორმების ხარისხის კონტროლისათვის რიგ ქვეყნებში, უფრო კი ევროკავშირის სახელმწიფოებში უკვე შემუშავებულია სპეციალური ნორმატიული დოკუმენტები; რომელ ქვეყნებსაც ასეთი ჯერ არ გააჩნია, მას შეუძლია ისარგებლოს ამ დოკუმენტებით.

რუსეთის ფედერაციის ჯანდაცვის სამინისტროს 16.07.97 წ. № 214 ბრძანების თანახმად, ჰომეოპათიურ აფთიაქებში შემოტანილი სამკურნალო სუბსტანციები და საშუალებები, მათი წარმოშობისა და წყაროს მიუხედავად, ექვემდებარებიან კონტროლს მიღებისას.

აფთიაქში შეიძლება მომზადდეს წამლის ფორმები, შიდასააფთიაქო დანამზადები, დაფასოებული საშუალებები, კონცენტრატები და ნახევარფაბრიკატები; ისინი ექვემდებარებიან კონტროლს. კონტროლის სახეობა: წერილობითი, ორგანოლეპტური, კონტროლი გაცემის დროს, გამოკითხვითი, ფიზიკური და ქიმიური.

ფარმაცევტ-ანალიტიკოსი, რომელიც მუშაობას იწყებს ჰომეოპათიურ აფთიაქში აქ მომზადებული წამლის ხარისხის კონტროლისათვის, ვალდებულია გაიაროს სტაჟირების კურსები სათანადო საგანმანათლებლო ლიცენზიის მქონე ფარმაცევტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ორგანიზაციაში.

მოსახლეობიდან შემოსული სამკურნალო-მცენარეული ნედლეული მიღებისთანავე გადის კონტროლს „გარეგნული ნიშნების“ მიხედვით სახელმწიფო ფარმაკოპეის ან სხვა ნორმატიული დოკუმენტის სტანდარტით. მხოლოდ ამის შემდეგ ანალიზისათვის ეგზავნება ტერიტორიულ საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიას.

სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლის ერთ-ერთი მოთხოვნაა ნტდ-ის მოთხოვნების დაცვა (სათანადო საწარმოო პრაქტიკა - წამლის ხარისხის კონტროლი წარმოების პროცესში).

წერილობითი კონტროლის წარმოების დროს ჰომეოპათიური საშუალებების პასპორტებში უნდა იყოს მითითებული თანმიმდევრობით აღებული სამკურნალო საშუალებათა ჰომეოპათიური დასახელებები.

ორგანოლეპტური კონტროლი ითვალისწინებს წამლის ფორმების შემოწმებას შემდეგი მაჩვენებლებით: ადწერა, სუნი, ერთგვაროვნობა, მექანიკური ჩანართების არარსებობა (თხევად ფორმებში). ჰომეოპათიური

მალამოებისა და აბების ერთგვაროვნება ისინჯება მასის დოზებად დაყოფამდე, რისთვისაც გამოიყენება სახელმწიფო ფარმაცოპეა, ფარმაცოპეული სტატია, დროებითი ფარმაცოპეული სტატია.

ფიზიკური კონტროლი მდგომარეობს წამლის ფორმის მასის ან მოცულობის გაზომვაში, ცალკეული დოზების მოცულობისა და მასის გარკვევაში, არაუმეტეს 3 დოზისა.

მოწმდება:

1. ფასოვკის ან შიდასააფთიაქო დანამზადის ყველა სერია, არანაკლებ 3 შეფუთვისა;
2. გრანულების რაოდენობის განსაზღვრა წონის ერთეულში - ცალობით.

ქიმიური კონტროლი გულისხმობს თვისობრივ და რაოდენობრივ ანალიზს.

თვისობრივ ანალიზს აუცილებლად ექვემდებარება:

1. გაწმენდილი წყალი - ყოველდღე, ყველა სამარაგო ჭურჭლიდან, ყველა სამუშაო ადგილზე; წყალი ისინჯება ქლორიდებზე, სულფატებზე, კალციუმის მარილებზე. გაწმენდილი წყალი ყოველკვარტალურად იგზავნება საკონტროლო-ანალიზურ ლაბორატორიაში სრული ქიმიური ანალიზისათვის.
2. სამარაგოდან საწარმოო ოთახში გამოტანილი ჰომეოპათიური ნაყენები, ტრიტურაციები, ხსნარები, განზავებები; აგრეთვე ნებისმიერი საეჭვო საშუალება.
3. სამრეწველო წარმოების სამკურნალო საშუალებები, რომლებიც შემდეგ ფასოვდება აფთიაქში და აფთიაქში დამზადებული შიდასააფთიაქო დანამზადების და დაფასოებების ყველა სერია.

შერჩევით რაოდენობრივ ანალიზს ექვემდებარება: მეოთხე ათობითი ჰომეოპათიური განზავებები, რომლებიც შეიცავენ შხამიან და ძლიერმოქმედ არაორგანულ, ორგანულ ნაერთებს, ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს.

სრულ ქიმიურ კონტროლს ანუ თვისობრივსა და რაოდენობრივ ანალიზს ექვემდებარება:

- არაორგანული და ორგანული სუბსტანციების ყველა თხევადი ჰომეოპათიური განზავება და მათი ტრიტურაციები მესამე ათობითი განზავებიდან. როცა მათზე არ არსებობს ანალიზის მეთოდისა, ისინი, როგორც გამონაკლისი, უნდა მომზადდეს

ფარმაცევტ-ანალიტიკოსის ან ფარმაცევტ-ტექნოლოგის „მეთვალყურეობის“ ქვეშ.

- სპირტის კონცენტრაცია, როცა იგი აფთიაქში ზავდება და აუცილებლობისას - საწყობიდან მიღებულიც.
- ჰომეოპათიური გრანულების ყველა სერია ტესტზე „დაშლადობა“, შესაბამისი მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნათა შესაბამისად.

ჰომეოპათიური სამკურნალწამლო ფორმების მომზადებისას გადახრის დასაშვები ნორმები:

10% სამკურნალო სუბსტანციის შემცველობის ანუ პირველი ათობითი განზავების დროს, გადახრა დასაშვებია 5%-მდე.

1% სამკურნალო სუბსტანციის შემცველობის ანუ მეორე ათობითი განზავების დროს, გადახრა დასაშვებია 5%-მდე.

0,1% სამკურნალო სუბსტანციის შემცველობის ანუ მესამე ათობითი განზავების დროს, გადახრა დასაშვებია 10%-მდე.

ჰომეოპათიური სამკურნალწამლო საშუალებების შენახვის ვადები მოცემულია №22 ცხრილში.

ჰომეოპათიური სამკურნალწამლო ფორმების შენახვის ვადები ცხრილი №22

სამკურნალწამლო საშუალებები	შენახვის ვადა	შენახვის პირობები
ჰომეოპათიური გრანულები	2 წელი	სინათლისაგან დაცულ მშრალ ადგილას
ჰომეოპათიური შუალედური წყალ-სპირტოვანი განზავებები (პოტენციები)	6 თვე	სინათლისაგან დაცულ ადგილას, კარგად თავდახურულ ტარაში

ინგრედიენტთა შეუთავსებლობა ჰომეოპათიურ რეცეპტში

ჰომეოპათიურ წამლის ფორმებში არ არსებობს ფიზიკური და ფიზიკურ-ქიმიური შეუთავსებლობა. მათთვის უფრო დამახასიათებელია კომპონენტების ფარმაკოლოგიური შეუთავსებლობა და პრეპარატის

შეუთავსებლობა პაციენტის კონსტიტუციურ განსაკუთრებულობასთან, როცა არასწორად ხდება პრეპარატის შერჩევა მსგავსების პრინციპით.

ცნობილია „აპის“-ის, „რუს ტოქსიკოდენდრონ“-ის, გველის შხამებისა და მჟავების და სხვა სამკურნალო საშუალებების შეუთავსებლობა. არაა რეკომენდებული ერთი და იმავე ბოტანიკური ჯგუფის მცენარეებიდან მიღებული საშუალებების ერთდროულად დანიშვნა. „კარბო ვეგეტაბილის“ შეუთავსებელია „კარბო ანიმალის“-თან. „აკონიტის“ მოქმედება, მაგალითად, ბათილდება მჟავებით, ამიტომ არ შეიძლება მასთან ერთად ავადმყოფს მიეცეს მჟავე სასმელები. შეუთავსებელია ასევე ნივთიერებათა შემდეგი შერწყმა: კალციუმ კარბონიკუმი - ბარიუმ კარბონიკუმთან; კალციუმ კარბონიკუმი - აციდუმ ნიტრიკუმთან; დულკამარა - ბელადონასთან, ლახეზისთან; ნუქს ვომიკა - იგნაცასთან, ცინკუმთან; პოდოფილუმი - მერკურიუსთან; სილიცა - მერკურიუსთან; ლიკოპოდიუმი - კალციუმ კარბონიკუმთან, კოფეასთან და სხვა.

ჰომეოპათიაში არის ისეთი სამკურნალო ნივთიერებები, რომლებიც ხსნიან სხვა საშუალებების მიერ გამოწვეულ გამწვავებებს. მიღებულია მათ ანტიდოტები ვუწოდოთ. მაგალითად, აკონიტის ანტიდოტია ლიმონის წვენი (3 წვეთი შაქრის კვნიტაზე); ბელადონას, პულსატილას, ხამომილას ანტიდოტია ყავის მარცვლების მონახარში (1 ჩაის კოვზი ურძეოდ და უშაქროდ). ყველა ჰომეოპათიური წამლის უნივერსალური ანტიდოტია ქაფურის ნაჯერი ხსნარი - 1 წვეთი შაქრის კვნიტაზე.

PHARMACEUTICAL HOMEOPATHY

Homeopathy is a form of alternative medicine that treats with heavily diluted preparations that are thought to cause effects similar to the symptoms presented, first expounded by German physician Samuel Hahnemann in 1796. Homeopathic remedies are prepared by serial dilution with shaking by forceful striking („succussion”) after each dilution under the assumption that this increases the effect of the treatment; this process is referred to as „potentization” or „dynamization.” Dilution often continues until none of the original substance remains.

Homeopathic remedies are prescribed on the principle that „Like cures like”(Similia similibus curentur”).

Apart from the symptoms of the disease, homeopaths use aspects of the patient’s physical and psychological state in recommending remedies. Homeopathic reference books known as repertories are then consulted, and a remedy is selected based on the index of symptoms. Homeopathic remedies are generally considered safe, with rare exceptions.

Homeopathic remedies generally contain few or no pharmacologically active ingredients, and for such remedies to have proposed that water has a memory that allows homeopathic preparations to work without any of water are well understood.

In producing of remedies homeopaths use a process called „dynamisation” or „potentisation” whereby a substance is diluted with alcohol or distilled water and then vigorously shaken by ten hard strikes against an elastic body in a process called „succussion”. While Hahnemann advocated using substances which produce symptoms similar to those of the disease being treated, he found that material doses would intensify the symptoms and exacerbate the condition, sometimes causing what amounted to dangerous toxic reactions. He therefore specified that the substances be diluted. Hahnemann believed that the process of succussion activated the vital energy of the diluted substance. For this purpose, Hahnemann had a saddle maker construct a special wooden striking board covered in leather on one side and stuffed with horsehair. Insoluble solids, such as quartz and oyster shell, are diluted by grinding them with lactose (trituration).

In regular use in homeopathy are three potency scales: **decimal scale** - D or X, diluting the substance to ten times its original volume each stage. Hahnemann never used this scale, but it was very popular throughout the 19-th century and still is in Europe; **centesimal or C scale** – diluting a substance by a factor of 100 at each stage. The centesimal scale was favored by Hahnemann for most of his

life; in the last ten years of his life, Hahnemann developed a **quintamillesimal (Q) or LM scale** diluting the drugs 1 part in 50 000 parts of diluent. The extremely high dilutions in homeopathy have been a main point of criticism. Homeopathic remedies are usually diluted to the point where there are no molecules from the original solution left in a dose of the final remedy,

Complied with the German Homoeopathic Pharmacopoeia (GHP) preparations and dosage forms are produced by the general and specific methods.

Preparations and dosage forms are produced using only the vehicles GHP, except where otherwise prescribed in the „Specific methods of production”.

Homeopathy use following dosage forms: mother tinctures from expressed plant juices, from fresh plant material, from dried plant material, from animal material; solutions; triturations; liquid preparations made from triturations; tablets; pilules (globules, globuli); parenteral preparations (liquid dilutions for injection); liquid preparations for cutaneous application (externa); ointments; suppositories; eye drops; mixtures; LM potencies; heat-treated mother tinctures; Zimpel's spagyric mother tinctures; Krauss' spagyric mother tinctures; buffered aqueous mother tinctures; heat-treated and fermented aqueous mother tinctures; cold treated aqueous mother tinctures; globuli Velati; co-potentised mixtures; G1 mother tinctures (organ preparations); mother tinctures (organ preparations); mother tinctures (nosodes).

სუბსტანციები, რომლებიც ოფიცინალურია
გერმანიის ჰომეოპათიური ფარმაცოპეით
(monographs GHP)

Abies alba spag. Zimpel
Acalipta indica
Achillea Millefolium
Achillea Millefolium ferm. 33d
Achillea Millefolium spag. Zimpel
Acidum aceticum
Acidum arsenicosum
Acidum benzoicum e resina
Acidum boricum
Acidum citricum
Acidum formicicum
Acidum hexachloroplatinicum
Acidum hydrochloricum
Acidum hdrofluoricum
Acidum isovalerianicum
Acidum lacticum
Acidum nitricum
Acidum oxalicum
Acidum phosphoricum
Acidum picrinicum
Acidum salicylicum
Acidum sulfuricum
Aconitum Napellus
Aconitum Napellus Rh
Acorus Calamus
Actaea spicata
Adhatoda vasica
Adlumia fungosa
Adonis vernalis
Adonis vernalis ferm 33d
Aesculinum
Aesculus hypocaustanum
Aesculus hypocaustanum ex cortice, ethanol. Decoctum
Aethusa cynapium
Agropyron repens
Ailanthus altissima
Alchemilla vulgaris
Alchemilla vulgaris ex herba siccata
Aletris farinosa

Allium cepa
Allium cepa ferm. 34a
Allium sativum
Allium ursinum
Aloë
Alpinia officinarum
Aluminium oxydatum
Amanita phalloides
Ambra grisea
Ammi visnaga
Ammonium bromatum
Ammonium carbonicum
Ammonium chloratum
Ammonium jodatum
Anagallis arvensis
Anamirta cocculus
Anethum graceolens
Angelica archangelica var. archangelica spag.Zimpel
Angelica archangelica ethanol. Decoctum
Antimonite
Apatite
Apis mellifica
Apsinum
Apocynum cannabinis
Aquilegia vulgaris
Aralia racemosa
Arctostaphylos Uva-ursi
Argentite
Argentum colloidal
Argentum metallicum
Argentum nitricum
Arisaema triphyllum
Aristolochia clematitis
Arnica montana
Arnica Montana e flore H 10%
Arnica Montana ex herba ad usum externum
Arnica Montana ex planto tota
Arnica Montana ex planto tota Rh
Arsenum jodatum
Artemisia abrotanum
Artemisia absinthium
Artemisia cina
Artemisia vulgaris
Arum maculatum

Asa foetida
Asarum europacum
Asparagus officinalis
Asterias rubens
Atropa Bella-donna
Atropa Bella-donna Rh
Atropinum sulfuricum
Auri solutio colloidalis
Aurum chloratum
Aurum jodatum
Aurum metallicum
Avena sativa
Avena sativa ferm. 33c

Barium carbonicum
Barium chloratum
Barium iodatum
Bellis perennis
Berberis vulgaris
Berberis vulgaris e fructibus
Betula pendula e foliis
Betula pendula ex cortice, ethanol. Decoctum
Betula pendula ferm. 34e
Bismuthum metallicum
Bismuthum subgallicum
Bismuthum subnitricum
Blatta orientalis
Brassica oleraceae plata non florescente
Bromum
